

GRUNDLAGEN DER VERSI- CHERUNGSWIRTSCHAFT

Dr. Kachaber Djakeli

Die Versicherungswirtschaft auf
dem Weg ins nächste Jahrtausend

*J – Matthias Graf von der Schulenburg
Susanne Wähling*

დაზღვევის ეკონომიკის
საფუძვლები

კახაბერ ჯაყელი

დაზღვევის ეკონომიკა მომავალი
ათასწლეულის გზაზე

*ი. – მათიას გრაფი ფონ დერ შულენბურგი
სუზან ველინგი*

ნაშრომი რეკომენდირებულია დასაბეჭდად ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის სხდომისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ

რედაქტორი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ბივი გამსახურდია

რეცენზენტები:

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ნატო კაკაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი თამარ გამსახურდია

© კახაბერ ჯაყელი

ISBN 99928-5144-9

სარჩევი

წინასიტყვაობა	9
Vorwort	11
კახაბერ ჯაყელი (ეკ. მეცნიერებათა კანდიდატი) დაზღვევის ეკონომიკის საფუძვლები	
თავი I დაზღვევის თეორია	13
✓ 1.1. დაზღვევის არსი	13
1.2. სადაზღვევო საქმის ისტორია	15
თავი II რისკი	19
2.1. ცნება რისკის ანუ, შესაძლო საფრთხის შესახებ	19
2.2. რისკის განსაზღვრა დაზღვევის ეკონომიკაში	22
თავი III სადაზღვევო საქმის მოდელირება და ალბათობის თეორია	24
3.1. სადაზღვევო მოდელირება	24
3.2. ზარალის გამომწვევ მისეზთა მოდელირება	26
3.3. ზარალის გამომწვევი მიზეზები, ტარიფები და სატარიფო მახასიათებლები დაზღვევაში	27
3.4. სადაზღვევო შემთხვევის ექსპერიმენტი	32
3.5. სადაზღვევო ტარიფების ევოლუცია	33
თავი IV ალბათობის თეორიის საფუძვლები	36
4.1. ალბათობის თეორიის ისტორია	36
4.2. ბლეს პასკალი – ალბათობის თეორიის ფუძემდებელი	38
4.3. ალბათობის მათემატიკური საფუძვლები	43
თავი V ალბათობის გამოთვლის პროცესი	48
5.1. მარტივი ალბათობის გაანგარიშება.....	48
5.2. ალბათობის სიმჭიდროვისა და განაწილების ფუნქციები	49
5.3. განაწილების ალბათობის მაჩვენებლები	51

თავი VI ზარალის თანხა და მისი ანაზღაურება დაზღვევაში	52
6.1. ზარალის თანხის გადანაწილება	52
6.2. საერთო ზარალის გადანაწილება	54
6.3. რისკის დაზღვევა თუ გადაზღვევა	57
თავი VII სადაზღვევო სტატისტიკის ამოცანები.	..57
თავი VIII ერთჯერადი რისკების სადაზღვევო ტექნიკური გაფორმება	60
8.1. დაზღვევის საბოლოო პროდუქტის გაფორმების მიმოხილვა	60
8.2. სადაზღვევო შემთხვევა	61
8.3. შეფასება	63
თავი IX სადაზღვევო მენეჯმენტი	64
9.1. სადაზღვევო ორგანიზაციის სტრუქტურა და მუშაობის ფორმა	64
9.2. სამუშაო პროცესი სადაზღვევო ორგანიზაციებში	72
თავი X დაზღვევის მიკრო და მაკროეკონომიკური მნიშვნელობა	76
✓ 10.1. დაზღვევის მიკროეკონომიკური ფუნქციები	76
10.2. დაზღვევის მაკროეკონომიკური მნიშვნელობა	80
შემოკლებათა განმარტება	82
გამოყენებული ლიტერატურა	83
პროფესორი გრაფი მათიას ფონ დერ შულენბურგი სუზან ველინგი	
დაზღვევის მკონომიკა მომავალი ათასწლეულის გზაზე	87
გამოყენებული ლიტერატურა	109

**დაზღვევის ეკონომიკის
საფუძვლები**

კახაბერ ჯაყელი

წინასიტყვაობა

სტაბილური ქვეყნის აშენება განვითარებული დაზღვევის ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია. /ხვალინდელი დღის შიში რომ არ გვექონდეს, საჭიროა კარგად გავაანალიზოთ მოსალოდნელი საფრთხე, დავშალოთ იგი მარტივ ნაწილებად, შემდგომ შევაფასოთ იგი და ძლიერ სადაზღვევო ორგანიზაციას მივაკითხოთ იმ სანუკვარი პროდუქტის მისაღებად, რასაც დარწმუნებულობა ჰქვია. მხოლოდ სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემულ აბსტრაქტულ ფასეულობას, „დარწმუნებულობას“, შეუძლია მშვიდი ძილი გვაჩუქოს.

/აღამიანს მრავალგვარი საფრთხე ახვევია გარს. ავადმყოფობა, უბედური შემთხვევა, ავტოავარია, ხანძარი და სეტყვა თავისთავად ტრაგიკული მოვლენებია, მაგრამ უფრო ტრაგიკული ამ მოვლენების ფინანსური მხარეა. /ავადმყოფობის შედეგად ლოგინად ჩავარდნილი ოჯახის მარჩენალი, ნახანძრალი შენობები, დასეტყვილი ზვარი მართლაც, რომ იმ უკანასკნელ იმედზე მოგვაგონებს, რაც მხოლოდ დაფინანსების ისეთ მექანიზმს გააჩნია, როგორც დაზღვევაა. წარმოიდგინეთ მიღიხარტ ექიმთან და მკურნალობაში იხდით საკმაოდ დიდ თანხებს, რომლებიც მნიშვნელოვნად შემცირდებოდა თქვენ რომ დაზღვეული იყოთ. ყოველი დაზღვეულის ხარჯები ექიმთან მისვლის დროს, არა როგორც ერთი პაციენტის, არამედ მის იმდენჯერ შემცირებულ ხარჯებად განიხილება, რამდენი კაციცაა მასთან ერთად დაზღვევაში გაერთიანებული. აქედან გამომდინარე, დაფინანსების მსგავსი მექანიზმი ორმხრივი მომგებიანობით გამოირჩევა.

/დაზღვევის ეკონომიკის პრინციპები ალბათობის თეორიას და არამარტო მას ეყრდნობა. დასავლეთში კარგად ცნობილი „ორგანიზირებადი ქაოსის“ თეორიები ახალ მიმართულებებს ამკვიდრებს დაზღვევის ეკონომიკაში. დიდი ძვრებია მოსალოდნელი ჯანმრთელობის დაზღვევის საკითხებშიც. აშშ-ში დანერგილი managed-care-ს პრინციპები ევროპაში სულ უფრო და უფრო მეტ თანამზრახველს ჰპოულობს. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ახალი ტიპის სადაზღვევო სისტემები უფრო დიდ სტაბილურობას და ანაზღაურებას ჰპირდება მასში გაწევრიანებულ მოქალაქეებს.

ვერ ვიტყვი, რომ დაზღვევა საქართველოში ახალი დარგია. XIX საუკუნის საქართველოში, ისევე როგორც საფონდო და სა-

საქონლო ბირჟა, სადაზღვევო ორგანიზაციებიც არსებობდნენ. საინტერესოა შევნიშნოთ, რომ ჩვენი დიდი კლასიკოსი „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ავტორი მიხეილ ჯავახიშვილი ერთი პერიოდი სადაზღვევო ორგანიზაციის აგენტადაც მუშაობდა და სამუშაო პროცესში დაგროვილი გამოცდილება გარკვეულ წილად მის რომანებსაც დაეტყო.

გასაბჭოების შედეგად მრავალრიცხოვანი სადაზღვევო კომპანიები ერთ დიდ სახელმწიფო დაზღვევად გარდაიქმნა.

1991 წლიდან საქართველოში ახალი სადაზღვევო ორგანიზაციები იქმნება. მათი მუშაობის კრიტიკული შესწავლა და გამოცდილების გაანალიზება აუცილებელ პროცესს შეადგენს. ამის წინაპირობას სადაზღვევო საქმის თეორიისა და საფუძვლების შესწავლა წარმოადგენს.

წიგნში ორი ნაშრომი არის გაერთიანებული. ერთი მათგანი ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, 1997-98 წლების DAAD-ის სტიპენდიანტის კახაბერ ჯაყელის ნაშრომი „დაზღვევის ეკონომიკის საფუძვლები“ დაზღვევის მათემატიკისა და დაზღვევის მენეჯმენტის საკითხების შესწავლას ემსახურება. ბ-ნი კახაბერი წლების განმავლობაში მუშაობდა ჰანოვერის დაზღვევის ეკონომიკის ინსტიტუტში პროფესორ გრაფ ფონ დერ შულენბურგის ხელმძღვანელობით. რაც შეეხება გამოჩენილი გერმანელი მეცნიერების, გერმანიის ბუნდესტაგისა და ჰემბოლტის პრემიის ლაურეატის პროფესორ გრაფ ფონ დერ შულენბურგისა და მისი ასისტენტის სუზან ველინგის შრომას „დაზღვევის ეკონომიკა მომავალი ათასწლეულის გზაზე“ უდაოდ ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვითარდება დაზღვევის ეკონომიკა გაერთიანებულ ევროპაში და მსოფლიოში. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნში მოცემული სტატიები დინამიურობითა და სიმძაფრით გამოირჩევა. რაც იმას მეტყველებს, რომ ავტორები შესანიშნავი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები არიან.

საბოლოო ჯამში ვიმედოვნებთ, რომ ამ შესანიშნავი წიგნით უფრო გაღრმავდება დაზღვევის ეკონომიკის პრობლემების კვლევა ჩვენს ქვეყანაში, და რაც მთავარია, გაიზრდება სადაზღვევო კულტურა, რომელიც სტაბილურობას მოუტანს ჩვენი ერის სახალხო მეურნეობრივ პროცესებს.

Vorwort

Nach dem Zerfall der Sowjetunion hat Georgien seine Unabhängigkeit zurückgewonnen und sein Staatswesen wiederhergestellt, das 3000 jährige Geschichte umfasst und eins der ältesten in der Welt ist. Nach den zahlreichen Kämpfen, politischen Unruhen und wirtschaftlichen Krisen hat Georgische Republik den Aufbau des Staates begonnen. Seither kämpft der Nachfolgestaat des kommunistischen Imperiums gegen die Schwierigkeiten der Umstrukturierung.

Der Weg in die Demokratie und eine marktwirtschaftlich orientierte Wirtschaft ist dornig. Die Durchsetzung der demokratischen Grundsätze erfordert das Vorhandensein stabiler wirtschaftlichen Lage. Deshalb habe ich mir das Ziel gesetzt, die Bedingungen der wirtschaftlichen Stabilität zu studieren. Die Forschung hat mich zur Versicherungswirtschaft gebracht.

Die Entwicklung des Versicherungswesens ist eine wichtige Voraussetzung für die Herstellung der wirtschaftlichen und sozialen Stabilität in der Gesellschaft. Demzufolge wird der Entwicklung und der Verbreitung des Versicherungsmarktes eine wichtige Rolle zugeschrieben, was auch einen Teil der sozialen Politik des Staates darstellt. Private und soziale Versicherungen ermöglichen es, beim Eintritt des Versicherungsfalles (z.b. durch Feuer, Tod, Krankheit, Haftpflicht) die Prämien den Betroffenen auszuzahlen, was sie sehr materiell unterstützt. Meiner Meinung nach, soll das vorliegende Buch dazu beitragen, eine Lücke im georgischsprachigen versicherungswirtschaftlichen Fachbuchsektor zu beseitigen. Das Buch soll Studenten, Praktikern und allen, die sich mit der Versicherungswirtschaftslehre vertraut machen wollen, Hilfsmaterial und An-

regung sein.

Mir bleibt die angenehme Pflicht meinen Dank denjenigen zu sagen, die mich bei der Forschung und bei der Erstellung des Buches unterstützt haben. Ich bedanke mich beim Deutschen Akademischen Austauschdienst. Ich habe in Jahren 1997/1998 als DAAD-Stipendiat die Möglichkeit gehabt, am Institut für Versicherungsbetriebslehre Hannover als Doktorand zu studieren. Ohne diese Unterstützung wäre dieses Buch nicht zustande gekommen. In ganz besonderer Weise bin ich dem Lehrstuhlinhaber des Instituts für Versicherungsbetriebslehre und meinem wissenschaftlichen Betreuer Dr. Pr. J.-Matthias Graf von der Schulenburg verbunden, der mir nicht nur das Fach Versicherungswesen beigebracht hat, sondern mich auch mit der deutschen Kultur, Kunst und Geschichte vertraut gemacht hat. Der Artikel von Dr. Pr. J.-Matthias Graf v.d. Schulenburg und Susanne Wähling “ die Versicherungswirtschaft auf dem Weg ins nächste Jahrtausend” ist im vorliegenden Buch auf georgisch dargestellt.

Das vorliegende Buch wurde am Lehrstuhl für Finanzen und Bankwesen der Staatlichen I.- Dschawachischwili Universität Tbilissi redigiert und rezensiert. Der Redakteur des Buches ist der Mitglied des Vorstandsrates der Nationalbank Georgiens Dr. Pr. G. Gamsachurdia.

Das Buch wurde vom Wissenschaftlichen Rat der Staatlichen Universität Tbilissi erörtert und gebilligt.

Hannover-Tbilissi.

Kachaber Djakeli

I. დაზღვევის თეორია

1.1. დაზღვევის არსი

(დაზღვევის თეორია ითვალისწინებს შემთხვევითობის გაელენის თავიდან აცილებას რისკის გადანაცვლების მეშვეობით. შემთხვევითობას უწოდებენ გაუთვალისწინებელ მოვლენას, რომლის გაელენა ადამიანზე და მის სამეურნეო პროცესებზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

დაზღვევაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სოლიდარობის პრინციპი. სწორედ ამ პრინციპის მეშვეობით ერთი ადამიანის ან სამეურნეო (ორგანიზაციის) ერთეულის შესაძლო რისკი გადანაწილდება სხვა დანარჩენებზე. დაზღვევის არსი ცალკეული სუბიექტის ან სამეურნეო ერთეულის მიერ მიღებული ზარალის სხვა მრავალ სუბიექტზე გადანაწილებით მკენე შემთხვევითობის გაელენის გაუნებელყოფაში მდგომარეობს.

ეკონომიკის თვალსაზრისით, ეკონომიკური დაზღვევა სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს, რომელიც მკენე შემთხვევითობებისაგან იცავს ეკონომიკურ პროცესებს. პრაქტიკულად სადაზღვევო საქმიანობა განსაკუთრებული ტიპის სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. ამ ორგანიზაციებს სადაზღვევო ორგანიზაციებს უწოდებენ.

დაზღვევაში მონაწილეობენ შემდეგი ძირითადი მხარეები:

1. მზღვეველი ანუ სადაზღვევო ორგანიზაცია;
2. დამზღვევი ან უკვე დაზღვეული (კერძო ან იურიდიული პირი);
3. გადამზღვევი ორგანიზაცია.

დამზღვევს სადაზღვევო ორგანიზაციაში პერიოდულად შეაქვს წინასწარ განსაზღვრული თანხა. ამ თანხას სადაზღვევო პრემია ეწოდება. დაზღვეულის პერიოდული შენატანები სადაზღვევო პრემიის სახით რისკის ზარისხის მიხედვით არის გამოთვლილი.

რავარის რისკის-ზარისხი?

ყოველ შემთხვევითობას, კრიზისს, ინფლაციას, სიკვდილიანობას, ხანძარს, მიწისძვრას და ნებისმიერ საზიანო მოვლენას თავიანთი დადგომის ალბათობა გააჩნია. ყოველივე ამ მოვლენის სტატისტიკური შესწავლის შემდეგ ხდება ამ მასალის მათემატიკური

დამუშავება. რაც უფრო დიდია შემთხვევის ალბათობა, მით უფრო მეტია ამ მოვლენასთან დაკავშირებული რისკის ხარისხი. რაც უფრო მეტია რისკის ხარისხი, მით უფრო მეტი სადაზღვევო პრემიის გადახდა უწევს დაზღვეულს მზღვეველი ორგანიზაციისათვის.

სადაზღვევო პრემიის ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ღირებულების შეფარდებით, გადახდილი სადაზღვევო პრემიების რაოდენობაზე და ამ რაოდენობის დინამიკაზე. ასევე, დაზღვეული სუბიექტების ოდენობაზე. აქვე ხდება მზღვეველი ორგანიზაციის საორგანიზაციო ხარჯების და პრემიაზე პროცენტის განაკვეთის გათვალისწინება.

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩანს, რომ დაზღვევის ეკონომიკის სიძიძის ცენტრი რაღაც სავარაუდო ციფრის მიგნებაში მდგომარეობს. სადაზღვევო საქმის მთელი ტექნიკა მათემატიკაზე არის აგებული (დაფუძნებული). დაზღვევის ცალკეულ დარგებში რისკის ხარისხის (ალბათობის) შეფასება განსხვავებულია. ამის გამო ხდება რისკის კლასებად დაყოფა. სტატისტიკური ანალიზი, მანე შემთხვევითობის ჯერ სხვადასხვა ჯგუფებად, ხოლო შემდგომ ამ ჯგუფების კლასებად დალაგების საშუალებას გვაძლევს. აქედან ყალიბდება ყოველი კლასისათვის აუცილებელი სადაზღვევო პრემიის განაკვეთი. რისკის ყოველი კლასის შესწავლით და პრემიების გამოთვლით ყალიბდება ტარიფები დაზღვევის სახეების მიხედვით.

სადაზღვევო პრემია იყოფა ორ ტიპად:

I. ბრუტოპრემია

II. ნეტოპრემია

ბრუტოპრემია — ეს არის თანხა, რომელსაც უხდის დაზღვეული მზღვეველ ორგანიზაციას შესაძლო ზარალის დაფარვისათვის + ამ ორგანიზაციის მართველობის ხარჯები + გადასახადები + ამ ორგანიზაციის მოგება + მეწარმის მოგება + სარეზერვო კაპიტალში გადარიცხვები.

სარეზერვო ფონდი: სარეზერვო ფონდი არის სადაზღვევო საქმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. სარეზერვო კაპიტალის ოდენობა ყოველი ქვეყნის კანონმდებლობის მიერ არის დაკანონებული.

დაზღვევის ობიექტი არის სადაზღვევო ხელშეკრულებაში მოხსენიებული საზიანო შემთხვევის სახე, რომლისგანაც მიყ-

ენებული ზარალი სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას ექვემდებარება.

დაზღვევის სუბიექტი: არის სადაზღვევო ხელშეკრულებაში მოხსენიებული მხარეები – დამზღვევი და დასაზღვევი.

სადაზღვევო კელი: არის დაზღვეული ობიექტების ერთობლიობა, რომელიც მათემატიკური ფუნქციის სახით არის გამოხატული.)

12. სადაზღვევო საქმის ისტორია

ედუარდ ლლოიდი და შავი ყავა

იმ დროს, როდესაც ალბათობის თეორიის მამები ერთმანეთს თითოეულ ფორმულაზე ეკამათებოდნენ, ამ თეორიით ლამანშს მიღმა ერთი მეტად პრაქტიკული კაცი დაინტერესდა. მისი სახელი შემდგომში დაერქმევა მოწინავე სადაზღვევო, სატრანსპორტო, საავიაციო, საზღვაო გადაზიდვების, ტურისტული, საბანკო, სამრეწველო, საბითუმო და საცალო ვაჭრობის კომპანიებს.

ეს უდავოდ საინტერესო ფიგურა, რომელმაც მსოფლიოში ეკონომიკური აზრის განვითარებას ახალი მიმართულება მისცა ედუარდ ლლოიდი გახლდათ. წარმოიდგინეთ XVII საუკუნის ლონდონი. ქალაქის ძველი სიმბოლოების ახლო-მახლოს ხალხის უჩვეულო გამოცოცხლება შეინიშნება. ლონდონელები ახალი ყავახანის ანუ ყავის სახლის საზეიმო გახსნას ესალმებიან. მეპატრონე – ახლახანს გამდიდრებული სხარტი გონების კაცი ლლოიდი, ამ ახალი სამორინეს დაარსებაზე დიდ იმედებს ამყარებს და არც თუ ტყუილად. მაინც რად იქცა ყავახანა იმდროინდელი ინგლისისათვის. დღეს ამ თემაზე ინგლისელი მეცნიერები მრავალ საინტერესო ნაშრომს აქვეყნებენ, რომელთა სათაურები თითქმის ასეთია – “ყავა და რევოლუცია”, “ყავის როლი ლატიფუნდისტების ცხოვრებაში”, “ყავა და პოლიტიკონომია”. “ინგლისის დიდი სამრეწველო რევოლუცია და ყავა” და ა.შ.

მრავალი ბრიტანელი მკვლევარის აზრით ყავის გამოჩენამ თითქმის შესცვალა მათი აზროვნების პროცესი ინგლისსა და ევროპაში. არც არის გასაკვირი ამგვარი მტკიცება. ვისკით, ჯინით, რომითა და სხვა მაგარი სასმელებით გაღებული ინგლისელი, რომ სამრეწველო რევოლუციას, მანუფაქტურულ ინდუსტრიას და მოწინავე პოლიტიკონომიას ვერ შექმნიდა ეს როგორც ორჯერ-ორი ისე

ნათელია. ყავის გამოჩენამდე ინგლისური საზოგადოება მეფიდან დაწყებული ყმაგლეხამდე დამთავრებული თითქმის ყოველდღე მაგარი სასმელებით თვრებოდა, ამის მაგალითია ერთ-ერთი ცნობილი ჰუმანისტის ლორდ ჩესტერფილდის დაწერილი წიგნი “წერილები ჩემს ვაჟს”, (რომელიც ქართულადაც არის თარგმნილი). ხსენებულ ნაწარმოებში მოხუცი ლორდი თავის თავქარიან შვილს სთხოვს ევროპაში მოგზაურობის დროს განსაკუთრებით მოერიდოს თავისავე თანამემამულეებთან ინგლისელ არისტოკრატებთან მეგობრობას და არასდროს არ დალიოს მათთან. მეორე მხრივ ლორდი ურჩევს ვაჟს იმეგობროს ყოველმხრივ დახვეწილ ფრანგებთან და მათგან გადაიღოს ქცევისა და ჩაცმის სტილი.

ლონდონურ ყავის სახლებში სიფხიზლესა და აზროვნებას მოწყურებული საზოგადოება იკრიბებოდა. ყავის ზეგავლენით კიდევ უფრო გამოფხიზლებული ბრიტანელები ხანდახან იქვე იწყებდნენ ეკონომიკური, ფილოსოფიური, სამხედრო თუ საზღვაო ტრაქტატების წერას. ყავის სმის პროცესი ხშირად პოლიტიკის, ლიტერატურის დისპუტად გარდაიქმნებოდა, სადაც ხშირად გაისმოდა ახალი იდეები, მოწოდება სრულყოფისა და დემოკრატიისაკენ.

ყავის სახლები დიდი ბრიტანეთის სამეფო ხელისუფლებამ თავიდანვე აითვალწუნა და ერთხანს დახურა კიდევ. მაგრამ ქუჩაში გამოვარდნილმა ყავას მოწყურებულმა ინგლისელებმა ეს მონაპოვარი სწრაფად დაიბრუნეს და ყავის სმის დროს მათი “ფხიზელი საქმიანი კამათი” ბრიტანელთა ახალი გამარჯვებების საწინდარი გახდა.

ეხლა კი გასაგები უნდა იყოს თუ რაოდენ გამჭრიახი კაცი იყო ედუარდ ლლოიდი, როცა იგი ყავის სახლს აარსებდა. სხვა მის ადგილზე მყოფი ალბათ ამ მონაპოვარზე შეჩერდებოდა და ყავიდან მიღებული ფულის დათვლით იჯერებდა გულს. მაგრამ ედუარდ ლლოიდი მცირეზე მონადირე კაცი არ გახლდათ, მის ფანტაზიით სავსე გონებას ახალი საქმეები იტაცებდა.

იმ ხანად ლონდონში მრავალი მოგზაური, ვაჭარი, გემთმფლობელი თუ მეკობრე დაეხეტებოდა და ბევრი მათგანი

ლლოიდის ყავახანის ხშირი სტუმარი გახლდათ. ლლოიდი და მისი გუნდი ყურადღებით უსმენდნენ ამ ადამიანების მიერ მოთხრობილ სათავგადასავლო ისტორიებს და ამ ამბებით ტკებოდნენ. თვითონ ლლოიდი ხშირად რაღაცას თავისთვის იწერდა და მუდმივად ჩაფიქრებული ჩანდა.

ლლოიდის ბრძანებით ყავახანის მომტანი ქალებიც ყურადღებით უსმენდნენ ზღვაოსან სტუმრებს. მათ შეკრებილი ინფორმაცია მეპატრონესთან მიჰქონდათ. ლლოიდი გაოცებული იყო იმ აღმოჩენით, რაც მან გააკეთა. პასკალისა და სხვების ალბათობის თეორია ლლოიდის ხელში ბიზნესად იქცა. ყავის სახლის მეპატრონე მიხვდა, რომ ალბათობის თეორიაზე დაფუძნებულ სადაზღვევო ბიზნესს დიდი შესაძლებლობები გააჩნდა, მაგრამ ერთი პირობით. ეს პირობა გახლდათ დაწერილებითი ინფორმაციის ქონა გემის კონსტრუქციის, მისი ფაქტიური მდგომარეობის, კაპიტნის და მეზღვაურთა განსწავლულობის შესახებ. სწორედ დიდმა ინფორმაციამ, ყავის სმისას დაფუძილმა ამბებმა მიიყვანეს ლლოიდი ახალ წამოწყებასთან. გამჭრიახმა კაცმა იდეები საქმედ აქცია და სარისკო გზაზე დამღვარ გემთმფლობელებს, ვაჭრებსა და სხვა ჯურის ზღვაოსნებს მათი სანუკვარი საკუთრების დაზღვევა შესთავაზა.

1696 წელს ედუარდ ლლოიდი აარსებს გაზეთს "Lloyd's News". ამ გაზეთში მოცემულია სადაზღვევო ტარიფები, ინფორმაცია გემებისა და მათი ადგილმდებარეობის შესახებ. რა თქმა უნდა მეწარმეობაზე გადასულმა ინგლისმა ეს გაზეთი დაიტაცა და საქმეც დაიწყო. ინგლისის მთავრობამ სულ მალე ხსენებული გაზეთი ბუნდოვანი მიზეზების გამო აკრძალა, მაგრამ ლლოიდი ასე ადვილად დასაჩაგრი კაცი არ გახლდათ.

1726 წელს ლლოიდმა მეორე გაზეთი გამოუშვა, რომელსაც "Lloyd's List" უწოდა.

ამ გაზეთში მოცემული იყო ინფორმაცია მსოფლიო პორტებში გემების შემოსვლისა და გასვლის, გემების სადაზღვევო ტარიფების და ზღვაზე მომხდარი უბედურების შესახებ.

ამ გაზეთის ირგვლივ ლლოიდმა მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი და დღევანდელი სადაზღვევო კომპანია "New Lloyd"-ი,

ახალი ლლოიდი დაარსა, რომლის სადაზღვევო ტარიფებით მსოფლიო საზღვაო ვაჭრობა დაინტერესდა.

ეს ის დრო გახლდათ, როცა ვესტ და ოსტ ინდოეთის კომპანიები დიდი ბრიტანეთის იმპერიას ჰქმნიდნენ. ხალხის შემოსავალი ძირითადად საზღვაო მიმოსვლაზე, გადაზიდვებზე და ვაჭრობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომაც ლლოიდის შეთავაზებას ტვირთების გემების დაზღვევის შესახებ მრავალი გამოეხმაურა.

ლლოიდმა პირველმა შემოიღო და გამოიყენა სატარიფო მანასიათებლები საზღვაო გადაზიდვების დაზღვევისათვის. გემთმფლობელი იძულებული გახლდათ ლლოიდის აგენტებისათვის მიეცა უფლება გემის დათვალიერების, ინფორმაცია მისი კონსტრუქციისა და რეალური მდგომარეობის შესახებ. ამ მანასიათებლებს “New Lloyd”-ი რისკის შეფასებისა და შესაბამისად სადაზღვევო ტარიფის მიკუთვნებისათვის იყენებდა.

ლლოიდის პატენტის მფლობელი გემი ზღვაოსნებისა და ვაჭრებს მხრიდან დიდი აღიარებით სარგებლობდა. სოცოცხლის ბოლოს ედუარდ ლლოიდი ბრიტანეთის მეფემ აზნაურის ტიტულით და წოდებით “სერ” დააჯილდოვა. სერ ედუარდ ლლოიდის სიკვდილის შემდგომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სადაზღვევო ორგანიზაციებს ლლოიდები ეწოდათ.

XXI საუკუნის მიჯნაზე სერ ედუარდ ლლოიდის მიერ დაწყებული საქმე ახალ ელფერსა და მნიშვნელობას იძენს. კაცობრიობის ისტორია სავსეა რისკით, ადამიანის საფრთხესთან ბრძოლით. ოკეანის გადალახვა და სანუკვარ “ინდოეთში” მოხვედრა ძლიერ წააგავს დღევანდელი ადამიანის სწრაფვას კოსმოსის გადაფრენისა და საცხოვრებლად ვარგისიანი პლანეტისაკენ. როგორც ვხედავთ დღესაც გვჭირდება ადამიანი, რომელიც სერ ედუარდის მსგავსად გათვლის რისკს და მას კეთილგონიერების მასშტაბებს დაუმორჩილებს.

II რისკი

2.1. ცნება რისკის ანუ შესაძლო საფრთხის შესახებ

არცერთ სხვა მეცნიერებაში შესაძლო საფრთხის ანუ რისკის განსაზღვრას არ აქვს მინიჭებული იმგვარი მნიშვნელობა, როგორც დაზღვევის ეკონომიკაში.

თავად სიტყვა რისკი ქართულში დასავლეთიდან, კერძოდ, იტალიიდან არის გადმონერგილი. ძველმა მეზღვაურებმა „RISCO“ წყალქვეშა კლდეებს ანუ რიფებს შეარქვეს. ამ სიტყვამ შემდგომში საერთო საფრთხის მნიშვნელობა შეიძინა.


სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“ განეკუთვნება საფრთხის ამგვარი განსაზღვრა „საფრთხილო-გასაკრძალავი“. ძნელია იმის თქმა ცვლის თუ არა გამოთქმას „რისკი“, გამოთქმა „საფრთხე“.

რისკი უფრო ნაცნობი, შესწავლილი სახიფათო მოვლენების ერთობლიობაა, რომელთა შესახებ ვიცით და მიუხედავად ამისა არ ვეპუებით მათ. მაგალითად: მანქანით მგზავრობის დროს არსებობს სხვა მოძრავ თუ უძრავ სხეულებთან შეჯახების რისკი; ჩვენს მიერ აშენებულ სახლს ემუქრება ხანძრის საშიშროება; ადამიანებს ყოველთვის თავს დასტრიალებთ ავადმყოფობა, მოტეხილობა, საშიში ინფექციები; ბუნებრივი თუ სამეურნეო უბედურებანი.

გამოთქმა „საფრთხე“ ქართული ხასიათიდან გამომდინარე, ბევრი მოსალოდნელი ზიფათთან ერთად მოულოდნელ, შეუსწავლელ საშიშროებასაც შეიცავს. საფრთხის ამგვარი გაგება თავად საუკუნეების მანძილზე არამდგრადმა ჩვენმა საზოგადოებამ წარმოშვა. მარტო გულისა და გრძნობების კარნახით მომქმედ ადამიანებს მერწმუნეთ, უჭირთ საფრთხის იმგვარი მათემატიკური შეფასება და გათვალისწინება, როგორც ეს განვითარებულმა, გონების კარნახით მომქმედმა ადამიანთა ჯგუფებმა მოახერხეს.

მიუხედავად ამისა, დაზღვევის ეკონომიკისა და სადაზღვევო საქმიანობაში კონკრეტული მითითების შემდეგ „საფრთხე“ იგივე წარმატებით შეიძლება ვიხმაროთ, როგორც ქართულ ენაში საკმაოდ ფეხმოკიდებული „რისკი“.

რისკის მრავალი განსაზღვრება არსებობს.



ნახ. №2 განუსაზღვრელობა, გაუცნობიერებლობა, არამდგრადობა.

2.2. „რისკის“ განსაზღვრა დაზღვევის ეკონომიკაში

ყველა იმ „რისკს“ რომელსაც დაზღვევის ეკონომიკა შეაფასებს და დააზღვევს „დაზღვეული რისკი“ ჰქვია. დაზღვევის ხელშეკრულებებს ხშირად „რისკებსაც“ უწოდებენ.

ოჯახის წევრები ხშირად ჯანმრთელობის სადაზღვეო ხელშეკრულებაში ერთად, ხოლო საწარმოს მუშა-მოსამსახურენი ჯგუფურად დაიზღვევიან. ამ დროს სადაზღვეო ხელშეკრულებაში ერთ-ერთადი რისკები გაერთიანებულია. ასეთ გაერთიანებას დაზღვევის ტექნიკურ ერთეულს უწოდებენ.

დაზღვევის ტექნიკური ერთეულების (დ.ტ.ე.) სიმრავლე კოლექტიურ რისკს ქმნის.

საფრთხის მახასიათებლების მიხედვით დაზღვევის ეკონომიკა ერთმანეთისაგან განარჩევს ობიექტურ და სუბიექტურ რისკებს.

ობიექტურია რისკი, რომელიც გარკვეული ბუნებრივი მოვლენებიდან, საგნებიდან გამომდინარეობს. სუბიექტური ეწოდება იმ სახის რისკს, რომლის ძირითად მიზეზად თავად ადამიანი, მისი ხასიათი, ქცევის ნორმები გვევლინება.


რაც უფრო ღიღია „სუბიექტური რისკის“ გავლენა დაზღვევის ტექნიკურ ერთეულზე, დ.ტ.ე.-ზე, მით უფრო ძნელდება რისკიანობის განსაზღვრა მასში. ამიტომაც დაზღვევის ეკონომისტის ამოცანა დაზღვევის ტექნიკური ერთეულის „ობიექტური რისკებით“ მაქსიმალურ აღჭურვაში და „სუბიექტური რისკების“ შემცირებაში მდგომარეობს.

თანამედროვე დაზღვევის ეკონომიკა ცდილობს რა სადაზღვევო შემთხვევის სრულ შესწავლას, ახორციელებს „სუბიექტური რისკების“ შესწავლასაც. ამისათვის არსებობს დაზღვევის ეკონომიკის შემადგენელი დარგი, რომელსაც „სადაზღვევო გამოცდილების ტარიფირებას უწოდებენ“.

სადაზღვევო გამოცდილების ტარიფირება ახდენს ინდივიდუალური სადაზღვევო შემთხვევების შესწავლას და მის განზოგადობას. (ბონუს-მალუსის სისტემა, Bonus - Malus - System).

მორალური რისკი – განეკუთვნება სუბიექტური რისკის კატეგორიას, რადგანაც მისი წარმოშობა პიროვნებიდან გამომდინარეობს და არაობიექტურ ხასიათს ატარებს. მორალური რისკი დაზღვევის ეკონომიკის და საერთოდ საზოგადოების სტაბილურობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. მრავალი მეცნიერის აზრით, დაზღვეულ საქონელს ადამიანები ნაკლები გულისყურით და სიფრთხილით ეპყრობიან, ვიდრე დაუზღვეველს. ამ მხრივ გამონაკლისს არც დაზღვეული ჯანმრთელობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ დაზღვევის გაძვირებასთან, კერძოდ, სადაზღვევო პრემიის ზრდასთან არის დაკავშირებული.

რისკის კოლექტივში გაერთიანებულ დაზღვევის ტექნიკურ ერთეულებს მით უფრო დაბალი რისკიანობა (ანუ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობა: ხანძრის, ავადმყოფობის, ავარიის და ა.შ.) ახასიათებთ რაც უფრო ღიღია რისკის კოლექტივი.



ნახ. №2 განუსაზღვრელობა, გაუცნობიერებლობა, არამდგრადობა.

2.2. „რისკის“ განსაზღვრა დაზღვევის ეკონომიკაში

ყველა იმ „რისკს“ რომელსაც დაზღვევის ეკონომიკა შეაფასებს და დააზღვევს „დაზღვეული რისკი“ ჰქვია. დაზღვევის ხელშეკრულებებს ხშირად „რისკებსაც“ უწოდებენ.

ოჯახის წევრები ხშირად ჯანმრთელობის სადაზღვეო ხელშეკრულებაში ერთად, ხოლო საწარმოს მუშა-მოსამსახურენი ჯგუფურად დაიზღვევიან. ამ დროს სადაზღვეო ხელშეკრულებაში ერთ-ჯერადი რისკები გაერთიანებულია. ასეთ გაერთიანებას დაზღვევის ტექნიკურ ერთეულს უწოდებენ.

დაზღვევის ტექნიკური ერთეულების (დ.ტ.ე.) სიმრავლე კოლექტიურ რისკს ქმნის.

საფრთხის მახასიათებლების მიხედვით დაზღვევის ეკონომიკა ერთმანეთისაგან განარჩევს ობიექტურ და სუბიექტურ რისკებს.

ობიექტურია რისკი, რომელიც გარკვეული ბუნებრივი მოვლენებიდან, საგნებიდან გამომდინარეობს. სუბიექტური ეწოდება იმ სახის რისკს, რომლის ძირითად მიზეზად თავად ადამიანი, მისი ხასიათი, ქცევის ნორმები გვევლინება.

რაც უფრო ღიღია „სუბიექტური რისკის“ გავლენა დაზღვევის ტექნიკურ ერთეულზე, დ.ტ.ე.-ზე, მით უფრო ძნელდება რისკიანობის განსაზღვრა მასში. ამიტომაც დაზღვევის ეკონომისტის ამოცანა დაზღვევის ტექნიკური ერთეულის „ობიექტური რისკებით“ მაქსიმალურ აღჭურვაში და „სუბიექტური რისკების“ შემცირებაში მდგომარეობს.

თანამედროვე დაზღვევის ეკონომიკა ცდილობს რა სადაზღვევო შემთხვევის სრულ შესწავლას, ახორციელებს „სუბიექტური რისკების“ შესწავლასაც. ამისათვის არსებობს დაზღვევის ეკონომიკის შემადგენელი დარგი, რომელსაც „სადაზღვევო გამოცდილების ტარიფირებას უწოდებენ“.

სადაზღვევო გამოცდილების ტარიფირება ახდენს ინდივიდუალური სადაზღვევო შემთხვევების შესწავლას და მის განზოგადობას. (ბონუს-მალუსის სისტემა, Bonus - Malus - System).

მორალური რისკი – განეკუთვნება სუბიექტური რისკის კატეგორიას, რადგანაც მისი წარმოშობა პიროვნებიდან გამომდინარეობს და არაობიექტურ ხასიათს ატარებს. მორალური რისკი დაზღვევის ეკონომიკის და საერთოდ საზოგადოების სტაბილურობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. მრავალი მეცნიერის აზრით, დაზღვეულ საქონელს ადამიანები ნაკლები გულისყურით და სიფრთხილით ეპყრობიან, ვიდრე დაუზღვეველს. ამ მხრივ გამონაკლისს არც დაზღვეული ჯანმრთელობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ დაზღვევის გაძვირებასთან, კერძოდ, სადაზღვევო პრემიის ზრდასთან არის დაკავშირებული.

რისკის კოლექტივში გაერთიანებულ დაზღვევის ტექნიკურ ერთეულებს მით უფრო დაბალი რისკიანობა (ანუ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობა: ხანძრის, ავადმყოფობის, ავარიის და ა.შ.) ახასიათებთ რაც უფრო ღიღია რისკის კოლექტივი.

რისკის დიდი კოლექტივისათვის დამახასიათებელ რისკიანობას დაზღვევის ტექნიკურ რისკს უწოდებენ (des Versicherungs technische Risiko). იგი მოიცავს დაზღვევის ტექნიკური ერთეულების გაერთიანებულ რისკებს. დაზღვევის ტექნიკურ რისკს წინასწარ დაგეგმილი რისკიანობა გააჩნია. სადაზღვევო პერიოდის ბოლოს სტატისტიკური მასალა გვიჩვენებს თუ როგორი იყო რეალური განსხვავება დაზღვევის ტექნიკურ რისკსა და რისკის კოლექტივის რეალურ რისკიანობას შორის.


III სადაზღვევო საქმის მოდელირება და ალბათობის თეორია

3.1. სადაზღვევო მოდელირება

დაზღვევის ეკონომიკა აუცილებელ ფაქტებს ყოველდღიური ცხოვრებიდან აგროვებს. ეს მეცნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ყოფასთან, ადამიანების ქცევის ცვალებად წესებთან, ქვეყნის კანონმდებლობასთან, საზოგადოებრივ მორალთან, ეკონომიკის სიჯანსაღესთან და სხვა მრავალ ფაქტორთან.

მოდელირების მეშვეობით დაზღვევა ახდენს მეცნიერულ თეორიას და ყოველდღიურობას შორის კავშირს.

ნახ. №3




სადაზღვევო კვლევა რეალური პრობლემის მოძიებით იწყება. სიტყვა „მოძიებას“ ტყუილად არ ვხმარობთ. დაზღვევის ეკონომიკა არ განეკუთვნება ისეთ მეცნიერებებს, რომელთა შესწავლის საგანი საყოველთაო განსჯის ობიექტს წარმოადგენს. მაგალითისათვის, როცა ინფლაცია სახეზეა, ფინანსისტი-ეკონომისტების გარდა მასზე დიდი თუ პატარა მსჯელობს. ანუ ფინანსების მთავარი პრობლემა: ფულის მასის ოდენობა, მისი თანაფარდობა მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ), ფულადი აგრეგატების მდგომარეობა ადვილი შესამჩნევია.

დაზღვევის ეკონომიკის მთავარ პრობლემას სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობის შესწავლა ანუ რისკიანობა წარმოადგენს, შესაბამისად დაზღვევის ეკონომისტები სტატისტიკას, ბუნებრივ მოვლენებს, კანონმდებლობასა და საზოგადოების მორალურობას კომპლექსურად შეისწავლიან.

დაზღვევის მთავარი პრობლემის აღმოჩენის შემდეგ (ნახ. №3) მთავარია მისი შეძლებისგვარად სრული მოდელირება თეორიაში. ამ დროს, რეალურ და მეცნიერულ პრობლემებს შორის ადეკვატურობის ანუ იგივეობის პირობის დაცვა დაზღვევის ეკონომიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

რეალური პრობლემის განხილვა მეცნიერებაში საბოლოო ჯამში პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიას დასახავს. რაც საბოლოოდ ისევ რეალურ სფეროში უნდა იქნეს დანერგილი და გამოცდილი. ასეთ წრიულ სვლას მოკლებული მეცნიერული კვლევა არანაირი სარგებლის მომტანი არ შეიძლება იყოს.

მოდელის დამუშავების „სამკუთხა“ ტიპი ასევე გავრცელებულია დაზღვევის ეკონომიკაში. ამ შემთხვევაში სამი მხარე მონაწილეობს: მოდელი, მოდელის კონსტრუქტორი და რეალიზმი. მოდელის კონსტრუქტორს ორმხრივი კავშირები აქვს დამყარებული როგორც მოდელთან, ისე რეალობასთან. რაც შეეხება ურთიერთობას მოდელსა და რეალიზმს შორის, იგი აუცილებლად ადეკვატური უნდა იყოს.)




3.2. ზარალის გამომწვევ მიზეზთა მოდელირება

დაზღვევის ეკონომიკაში ზარალის გამომწვევ მიზეზთა მოდელირებას ერთ-ერთი მთავარი როლი აკისრია. დაზღვევის თეორიის თანახმად ზარალი არ შეიძლება გამოწვეული იქნას უცნობი მიზეზების შედეგად. ყველა მიზეზი შესწავლილი და გაანალიზებული უნდა იქნეს. ნახ. №5

ზარალის გამომწვევი მიზეზები წარმოგვიდგება როგორც რისკის მახასიათებლები ან რისკის ფაქტორები:

- 1) ბუნებრივი საფრთხე: წყალდიდობა, მეწყერი, ბუნებრივი ხანძრები და ა.შ.
- 2) ნივთიერი ან საგნობრივი რისკის ფაქტორები: ავადმყოფობა, კატასტროფა, შეცდომა და ა.შ.
- 3) პიროვნული ანუ სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც ხშირად ადამიანებს ქცევის ნორმებს წარმოადგენს
- 4) მაკროეკონომიკური ფაქტორები (ნახ. №5)

(დაზღვევის საბოლოო პროდუქტი ნომინალურ პროდუქტს წარმოადგენს. იგი საბოლოოდ ფულადი ფორმით გამოვლინდება.) ამიტომაც ზარალის მთავარ მახასიათებლად დაზღვევაში მისი არითმეტიკული რიცხონება და ზარალის რაოდენობა გამოიყენება. რისკიანობის თანამედროვე თეორია ზარალის ტრენდების (ზარალის გრაფიკული გამოსახულებების) განუწყვეტლივ. დახვეწას და გადაანგარიშებას ითვალისწინებს.



3.3. ზარალის გამომწვევი მიზეზები, ტარიფები და სატარიფო მახასიათებლები დაზღვევაში

სადაზღვეო გამოცდილებიდან გამომდინარე დაზღვევის ყოველ დარგს მაგ., სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ნათესი კულტურების, ხანძრის, პიროვნული პასუხისმგებლობის, საავტომობილო, შინაური ცხოველების დაზღვევას ზარალის გამომწვევი მკაცრად განსაზღვრული მიზეზები გააჩნიათ.

(სადაზღვევო ტარიფების შესადგენად პირველ რიგში ერთ-მანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ზარალის გამომწვევი რელევანტური და ირელევანტური მიზეზები.) შემდგომ ამისა რელევანტური მიზეზების ერთობლიობიდან უნდა ამოირჩეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ზარალის გამომწვევი ის მიზეზები, რომლებიც ზარალის არითმეტიკულ რიცხვნებისა და მისი თანხობრივი ოდენობის წინასწარმეტყველების (პროგნოზირების) საშუალებას მოგვცემს.)


[ამგვარ ზარალის გამომწვევ მნიშვნელოვან მიზეზებს - სატარიფო მახასიათებლებს უწოდებენ.]

მესამე ეტაპზე უნდა გაირკვეს ფუნქციური ურთიერთ-დამოკიდებულება სატარიფო მახასიათებლებსა და ზარალის მახასიათებლებს (ე.ი. მის არითმეტიკულ რიცხვნებსა და თანხობრივ ოდენობას) შორის.

მაგალითად, საავტომობილო დაზღვევაში (ან იმ ტიპის სადაზღვევო პროცესებში, რომლებიც ავტომობილთან არიან მჭიდროდ დაკავშირებული) შემდეგი ზარალის გამომწვევი რელევანტური მიზეზები არის წარმოდგენილი: მანქანის ტიპი და მისი სიმძლევრე, დანიშნულება და დანიშნულების ინტენსიურობა, მოქმედების რეგიონი, მძღოლის გამოცდილება და ავტომობილის მიერ განვლილი მანძილი.

ამ მიზეზებს შორის პრიორიტეტულია მანქანის სიმძლავრე და განვლილი მანძილის რაოდენობა, რადგანაც ისინი სადაზღვევო პერიოდის დასაწყისში სახეზეა და მათი გაკონტროლება სადაზღვევო კომპანიის მხრიდან სირთულეს არ წარმოადგენს.

საავტომობილო დაზღვევაში სატარიფო მახასიათებლებად ძრავის სიმძლავრე, განვლილი მანძილი, მანქანის ავარიულობის მაჩვენებელი (რაც მრავალ ქვეყანაში აუცილებელ საბუთებში არის მითითებული), მანქანის ასაკი, დანიშნულება და მძღოლის სამგზავრო გამოცდილება არის მიღებული, რადგანაც ისინი ზარალის გამომწვევ მიზეზებთან ყველაზე მჭიდრო კავშირში იმყოფებიან.



ნახ. №6 მოცემული ზარალის გამომწვევი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ქმნიან სატარიფო მახასიათებლებს ($y_1; y_2; y_3$), რომლებიც გვეხმარებიან შესაძლებელი ზარალის სიხშირისა (ზარალის არითმეტიკული ოდენობა) და ღირებულების გამოხატვაში. [პრაქტიკაში რელევანტური ზარალის მიზეზებს შორის სატარიფო მახასიათებლების არჩევა დაზღვევის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს.]

ზარალის მახასიათებლებზე სატარიფო მახასიათებლების გაყენის შემოწმება შემდეგნაირად შეიძლება:

ჩვენს ხელთ არსებული (ნახ. №6) სატარიფო მახასიათებლები $y_1; y_2; y_3$ ცნობილ სიდიდეებს წარმოადგენს. საავტომობილო დაზღვევაში მათ ადგილას სრულიად ნაცნობი სიდიდეები, როგორცაა ძრავის სიმძლავრე, განვლილი მანძილი, მანქანის ტიპი და ა.შ. შეიძლება ჩავსვათ. როგორია მათი ფუნქციური დამოკიდებულება ზარალის სიხშირესთან და მის ღირებულებასთან?

სტატისტიკური შესწავლის შედეგად ცნობილია, რომ მანქანის სიმძლავრე პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ზარალის ალბათობასთან.


აღვნიშნოთ მანქანის სიმძლავრე (ცხენის ძალის ოდენობა) – Y-ით, ხოლო ზარალი – B-ით. გვექნება ფორმულა

$$B = Y \cdot P$$

სადაც, P - პირდაპირპროპორციულობის გამომხატველია.

ასევე შეიძლება სხვა სატარიფო მახასიათებლების (სმ) ფუნქციური ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა ზარალის მახასიათებლებზე – N ზარალის სიხშირეზე (ანუ ზარალის არითმეტიკულ ოდენობაზე) და მის თანხობრივ ღირებულებაზე – S-ზე. ზარალის სიხშირე N, რომელიც ზარალის არითმეტიკულ-სტატისტიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს (ვთქვათ 5 ავარია, 10 ხანძარი, 2 ინფარქტი 1000 დაზღვეულ შემთხვევაზე) პრაქტიკაში ხშირად წლების განმავლობაში უმნიშვნელო ცვალებადობას განიცდის.

ზარალის ღირებულება S – ხშირად მერყეობს, რადგანაც ეს მაჩვენებელი ფასების სხვაობაზე, ინფლაციაზე, ეკონომიკურ ზრდაზე და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე არის დამოკიდებული.



ზარალის გამომწვევი მიზეზების თვით ზარალზე უშუალო გავლენის შესასწავლად განვიხილოთ ნახ. №7. მასზე შემდგომი მოვლენებია ასახული:

1. მზის გამოსხივება ($X_{1.1}$) ახდენს გავლენას ამინდზე ($X_{1.2}$);

2. ამინდი ($X_{1,2}$) ართულებს ან აიოლებს მანქანით მგზავრობის პირობებს ($X_{1,3}$);
3. ამინდი ($X_{1,2}$) გავლენას ახდენს კონიუნქტურული ციკლების წარმოებაზე და ტრანსპორტზე;
4. კონიუნქტურის ციკლები ($X_{4,1}$) გავლენას ახდენენ მგზავრობის ინტენსიობაზე;
5. კონიუნქტურის ციკლები ($X_{4,1}$) გავლენას ახდენენ ზარალის ღირებულებაზე ($X_{4,3}$) და მოცულობაზე ($X_{4,2}$);
6. ავტომობილით მგზავრობის სიხშირე (ინტენსიურობა) გავლენას ახდენს ზარალის სიხშირეზე;
7. ავტომობილით მგზავრობის ინტენსიურობა ($X_{2,1}$) გავლენას ახდენს ზარალის კომპენსაციაზე ($X_{4,4}$);
8. ზარალის საკონპენსაციო მოთხოვნილება ($X_{4,4}$) აშკარა გავლენას ახდენს კონიუნქტურის ციკლებზე ($X_{4,1}$).

3.4. სადაზღვევო შემთხვევის ექსპერიმენტი

ყველასათვის ცნობილი აზარტული თამაშები: რულეტტი, ლოტო და კამათელი ერთ მთავარ პრინციპს შეიცავს. რულეტში ციფრები 0 და 36-მდე, ლოტოში 1 და 49-მდე და კამათელში 1 დან 6-მდე თანაბარი ალბათობით იგებენ.

კამათლის ხუთიანზე (ფანჯი) ან ექვსიანზე (შაში) დაჯენა ისეთივე შემთხვევითობას წარმოადგენს, როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევის მოხდენა. არის განსხვავებაც კამათელსა და ბუნებრივი მოვლენის მოხდენა არ მოხდენას შორის. კამათლის სწორი ფორმა, მისი წახნაგების იდეალური დამუშავება, გეომეტრიული „კვადრატის“ პრინციპის დაცვა განაპირობებს ვთქვათ „შაშის“ დაჯენის ალბათობის გათანაბრებას კამათლის სხვა ციფრებთან (1,2,3,4,5). კამათლის თამაშის წინ ამიტომაც აუცილებლად უნდა შემოწმდეს მისი „სისწორე“. ე.ი. კამათლის თანაბარ ალბათობას მისი ფორმა განაპირობებს. იგივე პრინციპი შეუძლებელია პრაქტიკულად გამოვიყენოთ ვთქვათ, წვიმის, სეტყვის, ხანძრის და სხვა მოვლენების მოხდენის ალბათობის დადგენის დროს, რადგანაც ჩვენ არ ვიცით ამ მოვლენების „წახნაგების“ მდგომარეობა. უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ამ გლობალურ მოვლენებს ჯერ ჩვენთვის შეუცნობელი ნიშან-

თვისებები, ფორმა და ხასითი გააჩნიათ. ასეთი შემთხვევის კვლევა მხოლოდ და მხოლოდ სტატისტიკური დამუშავებით არის შესაძლებელი.

მოვლენების ბუნებრივი განმეორადობის სტატისტიკური შესწავლის საფუძველზე ჩატარებულ ექსპერიმენტს შემთხვევის ექსპერიმენტი ეწოდება.

დაზღვევაში შემთხვევის ექსპერიმენტის დროს ვსწავლობთ არა ზარალის გამომწვევ მიზეზებს, არამედ განმეორებადი მოვლენების აღრიცხვის შედეგად ვცდილობთ დავადგინოთ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობა.

3.5. სადაზღვევო ტარიფების ევოლუცია

დაზღვევაში არსებულ ტარიფებს თავინთი ჩამოყალიბების ისტორია გააჩნიათ. მაგალითად, სატვირთო ავტომანქანების სავალდებულო დაზღვევაში (Kraft fahrzeughaftpflichtversicherung) არსებული ტარიფი თავიდან ერთი სატარიფო მახასიათებლით – ძრავის სიმძლავრით იყო წარმოდგენილი. ზარალის სხვა მიზეზები მხოლოდ მოულოდნელი შემთხვევის სახით იყვნენ განხილული. მოგვიანებით ტარიფში როგორც ერთ-ერთი სატარიფო მახასიათებელი მანქანის მდგომარეობა, მგზავრობის ინტენსიურობა და სხვა სატარიფო მახასიათებლები იქნა წარმოდგენილი. საბოლოოდ მივიღეთ ტარიფი, რომელიც დღესაც წარმატებით გამოიყენება დაზღვევაში.


სატარიფო მახასიათებლების ცვლილება ზარალის მიზეზების დინამიკაზე არის დამოკიდებული. ტექნიკისა და საერთოდ ცხოვრების განვითარებასთან ერთად ზარალის ზოგიერთი მიზეზი თავის აქტუალობას კარგავს ან სრულიად ქრება ზ.გ.მ-ის ჩამონათვალთან.

სამაგიეროდ მის ადგილს სხვა ობიექტური და სუბიექტური ზ.გ.მ-ბი იკავებენ.

საავტომობილო ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებით ავტომობილების სიმძლავრე შეიძლება მომავალში დაზღვევის სატარიფო მახასიათებლებიდან გამოდევნილიც კი იყოს და მისი ადგილი ავტომობილების კლასმა, აღჭურვილობამ დაიკავოს. მომავლის „ძვირი“ და შესაბამისად უკეთ აღჭურვილი ავტომობილები ცხადია უფრო ნაკლებ რისკიანი იქნება, ვიდრე იაფი და მარტივი.

შესაბამისად ვაქცინაციის საყოველთაობამ შეამცირა ინფექციურ დაავადებათა სიხშირე, როგორც ევროპის ისე აზიის მოსახლეობას შორის. ხომ არ არის ეს მაგალითი მაჩვენებელი იმისა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევაში სატარიფო მახასიათებლებს მომავალში მედიცინის განვითარებასთან დაკავშირებით ცვლილება ელოდება.

ნაზ. №8



ზარალის გამომწვევი მიზეზების მეცნიერული გაანალიზების შემდეგ დაზღვევის ეკონომიკის უმთავრეს შესწავლის საგანს თვით ფაქტიური ზარალი წარმოადგენს.

ზარალის სტატისტიკური და ფინანსური აღრიცხვის თანახმად ვლებულობთ ორ სიდიდეს: ზარალის არითმეტიკული ოდენობის და ზარალის სიდიდეს. (ღირებულებით გამოხატულებაში) ამ მნიშვნელოვანი სიდიდეების გარდა დაზღვევის ეკონომიკას სხვა მაჩვენებლებიც სჭირდება, რომლებიც დიდ როლს ასრულებს სადაზღვევო პრემიისა და საერთოდ დაზღვევის ტარიფების გამოთვლაში.

$$(1) \text{ საერთო ზარალი} = \text{ზარალის სიდიდეების ჯამი} \quad (1)$$

$$(2) \text{ ზარალის კვეთი} = \frac{\text{საერთო ზარალი}}{\text{ზარალის არითმეტიკული ოდენობა}}$$

$$(3) \text{ ზარალის სიხშირე} = \frac{\text{ზარალის არითმეტიკული ოდენობა}}{\text{დაზღვევის ტექნიკური ერთეულების ოდენობა}}$$

$$(4) \text{ ზარალის მოთხოვნა} = \frac{\text{საერთო ზარალი}}{\text{დაზღვევის ტექნიკური ერთეულების ოდენობა}} =$$

$$= (2) \times (3)$$

ზარალის მოთხოვნა დაზღვევის თანხასთან მიმართებაში = (3) * (6)

$$(5) \text{ ზარალის ქვოტა} = \frac{\text{საერთო ზარალი}}{\text{პრემია}}$$

$$(6) \text{ ზარალის გრადუსიანობა} = \frac{\text{ზარალის კვეთი}}{\text{დაზღვევის თანხის მოცულობა}}$$

$$(7) \text{ ზარალის ნორმა} = \frac{\text{საერთო ზარალი}}{\text{დაზღვევის თანხა}}$$

ფორმულებით გამოხატულ ამ მაჩვენებლებს დაზღვევის ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები ჰქვიათ.

ზარალის კვეთს სხვაგვარად ზარალის საშუალო არითმეტიკული შეგვიძლია ვუწოდოთ. ზარალის მოთხოვნა (4) წარმოადგენს საერთო ზარალის დ.ტ.ე-ზე გადანაწილების მაჩვენებელს.

ზარალის გრადუსიანობა (6) წარმოაჩენს ზარალის მოცულობას სადაზღვევო თანხასთან მიმართებაში.

ზარალის ქვოტა (5) სადაზღვევო ბიზნესის ეფექტიანობაზე მეტყველებს.

ზარალის ნორმა (7) არის სადაზღვევო დაგეგმვის პროცესის აუცილებელი მიკროეკონომიკური მაჩვენებელი.

IV ალბათობის თეორიის საფუძვლები

4.1. ალბათობის თეორიის ისტორია

ალბათობის თეორია მათემატიკის შედარებით ახალი განშტოებაა. დამოუკიდებელ მეცნიერულ დარგად მის განვითარებას სათავე დაუდო პასკალისა და ფერმას მიწერ-მოწერამ 1654 წელს; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მანამდე დიდი ხნით ადრე მრავალ სწავლულს მოუკიდია ხელი აზარტულ თამაშთან დაკავშირებული ამა თუ იმ ამოცანის ამოხსნისათვის. ასე: ლუკა პაჩიოლი (1445–1514) თავის თხზულებაში „Summa de Arithmetica, Geometria, Proportioni e Proportionalita“ განიხილავდა ერთ ალბათობისეულ საკითხს. ოლონდ მცდარად გადაჭრა იგი. მაგრამ უკვე კარდანი (1501–1576) და გალილეი (1564–1642) მართებულად წყვეტდნენ სპეციალურ თეორიულ-ალბათობის საკითხებს. ალბათობის ცნება ძველთაგანვე იღებს დასაბამს, უკვე ანტიკური ხანის ფილოსოფოსებმა იცოდნენ იგი (გავიხსენოთ, რომ მეორე წერილში მოტანილია პლატონისეული ციტატა). ბუნების კანონები უამრავი შემთხვევითი ხდომილობის მეოხებით ვლინდებაო. ეს აზრი პირველად ძველბერძენ მატერიალისტებს გაუჩნდათ. რომაელმა პოეტმა-ფილოსოფოსმა ლუკრეციუსმა დაწვრილებით გადმოსცა ეს აზრი პოემაში „საგანთა ბუნებისათვის“, რომლის უმნიშვნელოვანესი ნაწყვეტები ციტირებულია პასკალისა და მიტონის საუბრისას მეოთხე წერილში (აგრეთვე შენიშვნებში). ალბათობის თეორიის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ ამა თუ იმ ამოცანას, უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის კამათლის თამაშის გამო. ეს თამაში ძველთაგანვე იტაცებდათ.

პასკალისა და ფერმას მიწერ-მოწერამ უდიდესი გავლენა იქონია მეცნიერების ამ ახალი დარგის შემდგომ განვითარებაზე.

1658 წელს გამოქვეყნდა პოლანდიელი მათემატიკოსისა და ფიზიკოსის ქრისტიან ჰიუიგენსის (1629–1695) თხზულება „აზარტული თამაშებისას გაანგარიშებათა წარმოებისათვის“ („De ratiociniis in ludo aleae“), სადაც დაწერილებითაა გადმოცემული ის საკითხები, რომელთაც ფერმა და პასკალი განიხილავდნენ (ავტორი ამკარად ეყრდნობოდა ამ ორი სწავლულის მიმოწერას); ოღონდ ამასთან ერთად წამოყენებულია ბევრი ანალოგიური საკითხიც. ჰიუიგენსის თხზულებასთან უშუალოდ არის დაკავშირებული შვეიცარიელი მათემატიკოსის იაკობ ბერნულის (1654–1705) ძირითადი ნაშრომი „ვარაუდის ხელოვნება“ („Ars conjectandi“), რომელიც ავტორის სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა, 1713 წელს. ნაშრომის პირველ ნაწილში ბერნული გადმოსცემს ჰიუიგენსის წიგნის შინაარსს და განმარტავს მას, სრულად ახსნილს წარმოგიდგენს იმ საკითხებს, ჰიუიგენსმა რომ დასვა, მაგრამ ვერ გადაჭრა. ყველაზე მნიშვნელოვანია ნაშრომის მეოთხე ნაწილი, სადაც გადმოცემულია დიდ რიცხვთა კანონი. მონმორტის (1678–1719) მთხზულება „ცდა აზარტული თამაშების ანალიზისა“ („Essai d'analyse sur lesjeux de hazard“), ცოტა უფრო მოგვიანებითაა დაწერილი, ვიდრე ბერნულის „ვარაუდის ხელოვნება“, მაგრამ გამოქვეყნებით უფრო ადრე გამოქვეყნდა (1708 წელს). ეს თხზულებაც ჰიუიგენსის ნაშრომს ეყრდნობა. ასე რომ, არაპირდაპირი გზით უკავშირდება პასკალისა და ფერმას მიწერ-მოწერას. იგივე ითქმის აბრაჰამ დე მუავრის (1667–1754) თხზულების გამოც, რომელსაც ეწოდება „შემთხვევითობის გაზომვისათვის, ანუ აზარტული თამაშისას შედეგების ალბათობათათვის“ („De Mensura sortis seu de Probabilitate Eventuum in Ludis a Casu Fortuito Pendentibus“). ხსენებული ნაშრომი დაიბეჭდა ჟურნალ Philosophical Transactions–ში 1711 წელს.

აზარტული თამაშის ამოცანებთან ერთად, ალბათობის თეორიის წარმოშობისთანავე, წამოიჭრა ისეთი პრობლემები, რაც დაკავშირებული იყო სიკვდილიანობის ცხრილების შედგენასთან და დაზღვევის საკითხებთან. ლონდონში უკვე 1592 წლიდან მოყოლებული ეწეოდნენ სიკვდილიანობის ზუსტ აღნუსხვას. ამ აღნუსხვის საფუძველზე ჯონ გრაუნტმა (1620–1674) 1662 წელს პირველად შეადგინა ცხრილი სიკვდილის, როგორც ასაკის ფუნქციის, ალბათობისა. რამდენიმე წლის შემდგომ ვან ჰუნდემ და ვან დე ვიტმა პოლანდიაში

ანალოგიური განგარიშებანი განხორციელეს, რაც სამისდღეშიორენტის გამოსათვლელად გამოიყენეს. უფრო დაწვრილებით ეს საკითხები 1693 წელს ჰალემ განიხილა. მაგრამ სავსებით ბუნებრივია, ვივარაუდოთ, უკვე პასკალს მიეძღვის ყურადღება, რომ ალბათობის თეორიას გარკვეული კავშირი აქვს სიკვდილიანობისათუ დაზღვევის კანონზომიერებებთან; სწორედ ამიტომ ზომადღთა დაზღვევასთან ალბათობის თეორიის კავშირზე ლაპარაკობს ბლემ პასკალი ფერმასთან და სხვა გამოჩენილ თანამედროვეებთან საუბრისას. აქედან იწყება მჭიდრო კავშირი ორ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინას, ალბათობის თეორიასა და დაზღვევის ეკონომიკას შორის.

4.2 ბლემ პასკალი – ალბათობის თეორიის ფუძემდებელი

ბლემ პასკალი კლერმონ–ფერანაში დაიბადა 1623 წლის 19 იენისს. მამამისი, საფინანსო–სასამართლო პალატის თავმჯდომარე, დიდად განსწავლული ადამიანი იყო. ბლემმა მეტად ნაადრევად, სამი წლისამ, დაკარგა დედა–ანტუანეტა ბეგონი; მას შემდეგ მამა თავად ზრდიდა პატარა ბლემს და კიდევ ორ ქალიშვილს – უფროსს, ჟილბერს, (შემდგომ ფლორენ პერიეს რომ გაჰყვა ცოლად) და უმცროსს, ჟაკლინს (ვინაც მერმის მონაზვნად აღიკვეცა.) პასკალს არც სკოლაში უსწავლია, არც უნივერსიტეტში, ყველაფერს მამამისი ასწავლიდა. ყრმობის ჟამსავე პასკალმა არაჩვეულებრივი ნიჭიერება გამოამჟღავნა: სულ 16 წლისა იყო, როცა დაწერა ტრაქტატი – „ცდა კონუსური კვეთის თეორიისა“. ეს ნაშრომი შეიცავს ცნობილ თეორემას, რის თანახმადაც სამი წერტილი კონუსურ კვეთში ჩახაზული ექვსკუთხედის მოპირდაპირე გვერდების გადაკვეთისა ერთ სწორ ხაზზე მდებარეობს. 1642 წელს, როცა 19 წელი შეუსრულდა, პასკალმა გამომთვლელი მანქანა შექმნა. შემდგომ წლებში კიდევ შვიდი ამგვარი მანქანა ააგო, ზოგიერთი შემონახულია კიდევ; იმ გამოფენაზე, 1962 წელს კლემონ–ფერანში რომ მოაწვეეს პასკალის გარდაცვალების მესამასე წლისთავის გამო, ერთ მათგანს კიდევ ნახავდით. პასკალი უნდა ჩაითვალოს კიბერნეტიკის პიონერად, რადგან მას თავისი გამოგონების პრინციპული მნიშვნელობა ესმოდა. ამას გვიდასტურებს მისი ნათქვამი: „გამომთვლელ მანქანას ძალუმს, შეასრულოს იმ-

გვარი მოქმედებანი, რანიც აზროვნებასთან უფრო ახლო არიან, ვიდრე ყოველივე ის, რისი უნარიც ცხოველებს შესწევთ“.

1648 წელს პასკალმა მრავალნაირი ვარიანტის სახით გაიმეორა ტორიჩელის ცდა და ამომწურავად ახსნა მიღებული შედეგები. დამატკიცა, რომ ჰაერის წნევა ზღვის დონიდან ათვლილი სიმაღლის მიხედვით იცვლება, მიაგნო ჰიდროდინამიკის ძირითად კანონს და ჰიდრავლიკური წნეხის აგების პრინციპს.

იმის გასაგებად, თუ რად მოჰყვა ამ გამოკვლევებს ესოდენ დიდი გამოხმაურება, ან რად გახდა ისინი ცხარე დისკუსიის საბაბი, უნდა ვიცოდეთ, რომ თავისი ცდებით ტორიჩელი არისტოტელეს მოძღვრებას უარყოფდა, მოძღვრებას, რის თანახმადაც ვაკუუმი შეუძლებელია, რადგან ბუნებას სიტარიელისა ემინიაო. ასე რომ, ტორიჩელის ცდები სქოლისტიკას ლახვარსა სცემდა. პასკალს კარგად ესმოდა, რა რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა ტორიჩელისა და თავისივე ექსპერიმენტებსაც მეცნიერული აზროვნებისათვის, ამიტომ მათ განსაკუთრებული გულმოდგინებითა და წინდახედულობით ატარებდა. მოურიდებლად აკრიტიკებდა იმათ, ვისაც ავტორიტეტისადმი თაყვანისცემის გამო თვალი დაბრმავებული ჰქონდა ფაქტის მიმართ. შემორჩენილია მონახაზი წინასიტყვისა, პასკალს რომ სურდა წაემძღვარებინა ტრაქტატისათვის, რომლის დაწერას ვაკუუმზე აპირებდა. წინასიტყვას ამ სიტყვებით ამთავრებს: *„რაგინდ დიდადაც უნდა ვაფასებდეთ ძველთა შეხედულებებს, მაინც მუდამ მეტი ფასი აქვს ჭეშმარიტებას, რაც უნდა ახალი იყოს იგი, რამეთუ ჭეშმარიტება სინამდვილეში ყველა შეხედულებაზე უფრო ხანიერია: უკეთუ გვეგონია, ჭეშმარიტება იმჟამად გაჩნდა, როცა მას კაცთა მიაგნესო, ეს იმას ნიშნავს, რომ არ გვეცოდნია მისი ბუნება“.*

მეცნიერული კვლევა-ძიებისას პასკალი მტკიცედ მისდევდა ექსპერიმენტულ მეთოდს და ცრურწმენათაგან თავისუფალ ლოგიკურ აზროვნებას, ოღონდ დარწმუნებული გახლდათ, რელიგიის საკითხებში ჭეშმარიტებას ვერ მიეწვდებითო ოდენ აზროვნების შემწეობით; საამისოდ რწმენაც არისო საჭირო.

პასკალის სულიერ ცხოვრებაში რელიგიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება 1646 წლიდან მოყოლებული – ბიოგრაფები აღნიშნავენ, ეს არისო ჟამი მისი „პირველი მოქცევისა“. მაინც იმჟამად რელიგია ჯერ კიდევ არ იყო ქვეული მისი სიცოცხლის უმთავრეს აზრად.

1652–1654 წლები პასკალის ცხოვრების ეგრეთ წოდებულ „საერო პერიოდს“ განეკუთვნება. 1653 წელს თავის დიდგვაროვან მეგობრებთან – ჰერცოგ დე როანესთან, კავალერ დე მერესთან და დამიენ მიტონთან – ერთად იგი პუატუსს მიემგზავრება. ამ მგზავრობისას დე მერემ პასკალს ორი შეკითხვა დაუსვა აზარტული თამაშების გამო; ამ კითხვებთან დაკავშირებით 1654 წელს პასკალს მიწერ–მოწერა ჰქონდა ფერმასთან. სწორედ მაშინ ჩაისახა ალბათობის თეორია.

პასკალის მიერ ფერმასთან მიწერილი პირველი წერილი დათარიღებულია 1654 წლის 29 ივლისით, მეორე – 24 აგვისტოთი, მესამე კი (სულ რამდენიმე პწკარი) – 1654 წლის 27 ოქტომბრით. ზემოთ უკვე ვთქვით, წერილები კავალერ დე მერეს მიერ დასმულ ორ კითხვას ეძღვნებაო. პირველი კითხვა ამგვარია: რამდენჯერ უნდა გავაგოროთ წყვილი კამათელი, რომ დუშამის ერთხელ მაინც მოსვლის ალბათობა ნახევარზე მეტი იყოს? ეს ამოცანა თავად დე მერემ ამოხსნა. მეორე კითხვა უფრო ძნელია. კავალერმა დე მერემ ვერ გასცა პასუხი. კითხვა ამგვარი გახლავთ. ორი მოთამაშე აზარტული თამაშითაა გართული; ორივეს ყოველი ხელის მოგების თანაბარი შესაძლებლობა აქვს; თამაშის დაწყებისას ფსონს თანაბრად არიან ჩასულნი; სანაძლეოს მოიგებს ის, ვინც პირველი დააგროვებს n მოგებულ ხელს. როგორ უნდა გავანაწილოთ სანაძლეო, თუ რაიმე მიზეზის გამო თამაში იმ დროს შეწყვეტეს, როცა ერთ მოთამაშეს a ხელი ჰქონდა მოგებული, მეორეს კი – b ხელი?

აქ უმჯობესია, მოვიტანოთ პირველი წერილის დასაწყისი სტრიქონები, რათა მკითხველმა თავადვე შეიქმნას წარმოდგენა ამ წერილების შინაარსსა და სტილზე.

„ძვირფასო ბ–ნო ფერმა! მოუთმენლობამ ამიტანა, და თუმცა ვერ ისევ ლოგინში ვწევარ, სული მძლევს, ხელთ კალამი ავილო და გამცნოთ, რომ წუხელ ბ–ნმა კარკავიმ გადმომცა თქვენი წერილი სანაძლეოს სამართლიანი განაწილების თაობაზე, წერილი, რამაც ენით უთქმელი აღტაცება მომგვარა. ბევრს აღარ გავაგრძელებ და პირდაპირ გეტყვით: თქვენ საკვებით სწორად გადაწყვიტეთ კამათლის მღერასთან დაკავშირებული ამოცანაც და სანაძლეოს სამართლიანი განაწილების საკითხიც. დიდად მიხარის,

რამეთუ ახლა, როცა ეგზომ გასაოცრად თანმხედლომი შედეგები მივიღეთ, მეტად აღარ მეეჭვება საკუთარი სიმართლე.

იმ მეთოდმა, რისი მეოხებითაც თქვენ განაწილების პრობლემა გადაწყვიტეთ, უფრო მეტად აღმაფრთოვანა, ვიდრე კამათლის მღერასთან დაკავშირებული ამოცანის ამოხსნამ. კავალერმა დე მერემ და ბ-ნმა რობერვალმა, ბევრმა სხვაგვარად სწორი პასუხი გასცეს ბოლოს დასმულ კითხვას. მაგრამ დე მერემ ვერ ამოხსნა სანაძღლოს განაწილების ამოცანა, ის კი არა, თავი და ბოლო ვერ გაუგო ამ საკითხს; აქამოდღე მე ერთმა ვიცოდი განაწილების სწორი თანაფარდობა.

თქვენი მეთოდი სრულიად მართებული გახლავთ; ოდესღაც, როცა ხელი მოვკიდე ხსენებული საკითხის კვლევას, მეც მაგდაგვარ გზას მიეყვებოდი. მაგრამ ათასნაირი შესაძლო კომბინაციის გამოთვლა დამლღელი იყო. ამიტომ შემდგომ სხვანაირი, უფრო მარტივი და მარჯვე მეთოდი ვიპოვე. მინდოდა, ეს მეთოდი თქვენთვისაც გამეცნო. ვისურვებდი, კვლავაც შეძლებისდაგვარად გამეზიარებინა ხოლმე თქვენთვის ჩემი აზრები. ეჭვი აღარ მეპარება, რომ ჩემ მიერ მიღებული შედეგი სწორია, რაკილა იგი განსაცვიფრებლად თანხვდება თქვენსას. როგორც ჩანს, ჭეშმარიტება ტულუზაშიც და პარიზშიაც ერთია“.

ეს წერილი დე მერეს მიერ წამოყენებულ მხოლოდ ორ ამოცანას ეხება, ალბათობის თეორიის ზოგად პრობლემათა გამო იქ არაფერია თქმული, სიტყვა „ალბათობა“ ნახსენებიც არაა.

იმავე 1654 წელს განეკუთვნება პასკალის შრომები ეგრეთ წოდებულ „პასკალის სამკუთხედზე“ და მასთან დაკავშირებულ კომბინატორიკისადმი ინტერესს განსაზღვრავდა ფრანგი სწავლულის თეორიულ-ალბათობითი გამოკვლევები.

მალე ამ სამი წერილის დაწერის შემდგომ, სახელდობრ, 1654 წლის 23 ნოემბერს, პასკალის სულიერ ცხოვრებაში მოხდა მკვეთრი გარდატეხა, რასაც ბიოგრაფები უწოდებენ მის „მეორე მოქცევას“. იმ დიდად მნიშვნელოვან ღამეს რელიგიური აღტკინების ჟამს გაკეთებული ჩანაწერები პასკალს მერმე სულ თან დაჰქონდა სახსოვარივით, კამზოლის სარჩულში ჰქონდა ჩაკერებული.

არ გასულა დიდი ხანი და პასკალი იეზუიტებთან თეოლოგიურ ბრძოლაში ჩაება, მტკიცედ დადგა იანსენისტების მხარეს.¹⁾ მახვილ-გონიერებით აღბეჭდილი ცხრამეტი ბრწყინვალე წერილი დაწერა. „წერილები პროვინციელისადმი“ – ასე ეწოდება ფრანგული მხატვრული პროზის ამ შედეგს. ეკვი არ არის, 1654 წლიდან მოყოლებული ვიდრე 1658 წლამდე პასკალს მთელი გულისყური ამ ბრძოლისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ოლონდ იმის მტკიცება, მეორე მოქცევის შემდგომ მთლიანად ჩამოსცილდა მათემატიკას და, საერთოდ, მეცნიერებასო, მცდარი გახლავთ. სწორედ 1658–1659 წლებში გამოიკვლია ციკლოიდი და ფრიად მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწია: განსაზღვრა ციკლოიდის ფართობი, სიმძიმის ცენტრი ციკლოიდის სეგმენტისა, მოცულობა და სიმძიმის ცენტრი ციკლოიდის სეგმენტის ბრუნვით, მიღებული სხეულისა, ამით ნიადაგი შეუშადა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის მეთოდის შექმნას. მართალია, იმით შემოიფარგლა, რომ თავისი აღმოჩენა ციკლოიდთან დაკავშირებულ გარკვეულ ინტეგრალთა გამო-სათვლელად გამოიყენა, მაგრამ უკვე აქაც ცნაურდებოდა ზოგადი ნიშნები, მეთოდისა, რაიც შემდეგ ლაიბნიცმა განავითარა. თავად ლაიბნიცი აღნიშნავდა, წარმოებულის ცნების დასადგენად ბიძგი მომცაო პასკალის ტრაქტატმა „წრის მეოთხედის სინუსისათვის“ („Traité de sinus du quart de cerole“).

1658 წელს პასკალი მუშაობდა თხზულებაზე „გეომეტრიული გონისა და დარწმუნების ხელოვნებისათვის“ (De L'esprit géométrique et de l'art de persuader). ამ ნაშრომის მეოხებით, მათემატიკოსისათვის აქსიომური მეთოდის მნიშვნელობის შეფასების

¹⁾ *იანსენიზმი* – რელიგიური მიმდინარეობა პოლანდიაში და საზოგადოებრივ-რელიგიური მოძრაობა საფრანგეთში, რაც XVII საუკუნეში წარმოიშვა კორნელიუს იანსენის (1585 – 1638) მოძღვრების საფუძველზე. იანსენი უარყოფდა ადამიანის ნების თავისუფლებას; მისი მოძღვრების თანახმად, რჩეულთ ხსნა უწერიათ, ცოდეილთ კი – საუკუნო წაწყმედა. საფრანგეთში იანსენიზმი გამოხატავდა მოსახლეობის იმედგაცრუებას კათოლიციზმის გამო და იეზუიტების სიძულვილს, იგი გვეკვლინებოდა ახსოლუტიზმისადმი ოპოზიციის თავისებურ ფორმად. პასკალმა თავისი „წერილებით პროვინციელისადმი“ ერთობ ძლიერად შეარყია იეზუიტთა ორდენის ავტორიტეტი საფრანგეთში. – რუს. გამოცემის რედ. შენიშვნა.

მხრივ, ავტორმა გაუსწრო თავის საუკუნეს. ნათქვამის დასტურად მოვიტანთ ზემოხსენებული თხზულების ერთ ალაგს: „ყოველივე უნდა დამტკიცებულ იქნეს, ხოლო დამტკიცებისას არ შეიძლება რაიმეს გამოყენება, თვინიერ აქსიომათა და ადრე დასაბუთებულ თეორემებისა. არასოდეს ბოროტად არ უნდა გამოვიყენოთ ის გარემოება, რომ სხვადასხვა რამ ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება; ამიტომ განსასაზღვრავი სიტყვა განსაზღვრებით უნდა შეეცვალოს გონებაში“.

პასკალის ყველაზე უფრო ცნობილი თხზულება, რომლის გასრულება არ დასცალდა, მისეული აფორიზმების კრებულია. ეს კრებული ავტორის სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნდა და „აზრები“, ეწოდება („Pensee“). იმის ცხადსაყოფად, რომ პასკალი-მორალისტი და პასკალი-მეცნიერი განუყოფელი არიან, იმ აფორიზმთაგან მხოლოდ ერთს მოვიტან: „მთელი ჩენი ღირსება – აზროვნებაა, სწორედ აზრი გვაძალღებს ჩვენ და არა დრო და სიერცე, რომლებშიც ჩაკარგულნი ვართ, როგორც ქრთილის მარცვლები. მაშ, ვეცადოთ ვიაზროვნოთ ღირსეულად. აი, ზნეობის საფუძველთა საფუძველი“.

პასკალის შემოქმედება, თუმცა იგი დასრულებული არაა და წინააღმდეგობათა შემცველია, ამჟამადაც, სამასი წლის შემდგომაც, შეგვიძლია მოლაპლაპე ჩირაღდანს შევადაროთ.

4.3. ალბათობის მათემატიკური საფუძვლები

ალბათობის მათემატიკური ცნება, ნებისმიერი სხვა ცნების მსგავსად, ერთბაშად როდი წარმოშობილა. პასკალისა და ფერმას მიმოწერაში ის ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი. საგულისხმოა, რომ ჰიუიგენსი ძირითად ცნებად ალბათობას კი არა, მათემატიკურ მოლოდინს ხმარობს. მათემატიკურ მოლოდინს კი ასე განმარტავს: “უკეთუ იმ შემთხვევათა რიცხვი, რომელთა დროსაც a თანხას ვიგებ, უდრის p -ს, ხოლო იმ შემთხვევათა რიცხვი, რომელთა დროსაც b თანხას ვიგებ – q -ს, თანაც ყველა შემთხვევა თანაბარ-შესაძლოა, მაშინ ჩემი მოლოდინის მნიშვნელობა ტოლია – $(pa + qb)/(p+q)$ (იხ. [30]. გვ.8). ალბათობის განსაზღვრა პირველად იაკობ ბერნულის “Ars conjectandi”-ში გვხვდება. ბერნულის თანახმად, ალბათობა არის „დარწმუნებულობის ხარისხი და ისე შეე-

ფარდება უტყუარობას, როგორც ნაწილი – მთელს”. ეს განსაზღვრა უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე მათემატიკური, მაგრამ ბერნული ალბათობის ევრეთწოდებულ კლასიკურ განსაზღვრასაც იძლევა ზოგად ხაზებში: „...ხდომილობის ალბათობა ეს არის ხელშემწყობ შემთხვევათა რიცხვის შეფარდება ყველა შესაძლო შემთხვევის რიცხვთან, თანაც ყველა შემთხვევა თანაბარშესაძლო უნდა იყოს”. ეს კია, ბერნული ცოტა სხვაგვარად გამოთქვამს ამ აზრს; ზემოთ-მოტანილი ფორმულირება კი ლაპლასისა (1749-1827) გახლავთ.

ამ ფორმულირებას შეიცავს მისი ფუძემდებლური შრომა „ალბათობის ანალიტიკური თეორია” (*Théorie analytique de la probabilité*), რომელმაც არა მარტო შეაჯამა ალბათობის კლასიკური თეორიის მონაპოვარი, ძლიერი დერიტაც გამოდგა მისი შემდგომი განვითარებისათვის. ამგვარსავე განსაზღვრას შეიცავს ლაპლასის მეორე შრომაც „ნარკვევი ალბათობის ფილოსოფიისა” (*Essai philosophique sur la probabilités*) [31], გვ. 4, 7), სადაც გვხვდება მკაფიო, დაწვრილებითი, საინტერესო და ამალეღვებელი მსჯელობა ალბათობის ცნებასთან დაკავშირებულ პრინციპულ საკითხთა გამო. თუმცა ზემოთმოტანილ დეფინიციას პასკალის ნამდვილ წერილებში ვერ იპოვით, ამ კლასიკური განსაზღვრის შეტანა შეთხზულ წერილებში ანაქრონიზმად მაინც არ მიმაჩნდა, რადგან პასკალი სინამდვილეში ამგვარ გაგებას ემყარებოდა დე მერეს მიერ დასმული საკითხების გადაჭრისას. ზემოთმოტანილი განსაზღვრა პრაქტიკული თვალსაზრისითაც დამაკმაყოფილებელი გახლდათ მანამდე, ვიდრე ალბათობის თეორია უმთავრესად აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ ელემენტარულ საკითხებს იკვლევდა. ხოლო პრინციპული თვალსაზრისით თუ განვსჯით, ეს დეფინიცია არადამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ პასკალის მიერ ამ დეფინიციის სასარგებლოდ მეორე წერილში მოშველიებული საბუთები დღესდღეობითაც მართებულია, ისე რომ, რაიმე ნაკლს არ შეიცავს.

სინამდვილეში ეს განსაზღვრა იმიტომ როდია ნაკლოვანი, რომ მანკიერი წრის ნიშნითაა აღბეჭდილი, თავი და თავი ის გახლავთ, რომ განსაზღვრად არ ჩაითვლება. იგი არ პასუხობს კითხვაზე, რა არის ალბათობა; მხოლოდ მეთოდს გვთავაზობს უმარტივესი შემთხვევებისას ალბათობის გამოსათვლელად (თანდართული ტერმინოლოგიის მიხედვით, „კლასიკურ ალბათურ ველთა” შემთხვევისას).

ალბათობის თეორიის შემქმნელნი სხვაგვარ აზრს არც აქსოვდნენ ალბათობის თეორიის ცნებაში; ალბათობის დეფინიციად ისინი მიიჩნევდნენ იაკობ ბერნულის ზემოხსენებულ განსაზღვარს, რის თანახმადაც ალბათობა იგივე ჩვენი დარწმუნებულობის ხარისხია. ალბათობის ფორმალური დეფინიციის საჭიროებას დიდად არცა გრძნობდნენ რადგან ალბათობას ძირითად ცნებად თვლიდნენ, თავისთავად ცხადი რომ იყო და განსაზღვრა არ სჭირდებოდა. ნამდვილ მიზნად ის ესახებოდათ, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით სასურველი ხდომილების ალბათობა გამოეანგარიშებინათ. თუ მათემატიკის განვითარების იმჟამინდელ დონეს გავითვალისწინებთ, ეს არც უნდა გაგვიკვირდეს: აკი რიცხვის, ფუნქციის, ზღვარის ცნებებიც ასევე არ ჰქონდათ გარკვეული, ამ სიტყვის თანადროული გაგებით. მაგრამ მაშინ არც მის საჭიროებას გრძნობდნენ.

საქმის ვითარება ძირეულად შეიცვალა XIX საუკუნეში, როცა სახე იცვალა თვით მათემატიკამ და მათემატიკური სიმკაცრის ცნებამ, წარმოშვა თანადროული კონცეფციები მათემატიკასა და რეალობასთან მისი მიმართებისა. ამ შეხედულობათა თანახმად, ყოველი განშტოება მათემატიკისა უნდა აიგოს აქსიომურად, მისი რეალური წარმოქმნისაგან აბსტრაქციონით; იგი უნდა ვითარდებოდეს თავის თავში ჩაკეტილ თეორიად, რომელიც არ შეიცავს ლოგიკურ წინააღმდეგობათ და რომლის ძირითად ცნებებს ვერ განსაზღვრავთ (და ეს არცაა საჭირო); ამ ცნებებში ის შინაარსი იგულისხმება, რასაც ფარულად უკვე შეიცავს აქსიომები, ხოლო გარედან რაიმე შინაარსის შეტანა იმ ცნებებში არ შეიძლება.

ამგვარი აქსიომური გზით აგებული მათემატიკური თეორია შეიძლება გარემომცველი სინამდვილის აბსტრაქტულ მოდელად იქნეს გამოყენებული. ამ კონცეფციის თანდათანობითმა განხორციელებამ გარდაქმნა მათემატიკა და ბიძგი მისცა ხსენებული მეცნიერების სწრაფ აღმასვლას. განვითარდა სიმრავლეთა თეორია, თეორიები ნამდვილი და კომპლექსური ცვლადის ფუნქციებისა, ტოპოლოგიისა, თანადროული ალგებრისა და ფუნქციური ანალიზისა, იშვა მათემატიკური ლოგიკა. ყოველივე ამან ძირფესვიანად უცვალა სახე თანადროულ მათემატიკას. მათემატიკის პრინციპულ საკითხთა გამორკვევამ დიდად შეუწყო ხელი ამ მეცნიერების გამოყენებას

საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში.

ალბათობის თეორია ფრიად დიდხანს განზე უდგა ამ უზარმაზარ გარდაქმნას, ასე იყო აგერ XX საუკუნის პირველ ათწლეულებამდე. თუმცა XIX საუკუნეში გაუსმა, ლაპლასმა, პუასონმა, ჩებიშევა, მარკოვმა, ბერტრანმა, პუანკარემ და მრავალმა სხვამ ალბათობის თეორია გაამდიდრეს კვლევის ახალი მიმართულებებით, ზოლო მის პრაქტიკულ გამოყენებას ბუნებისმეტყველებაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში და ეკონომიკაში ფუნდამენტური მნიშვნელობა მიენიჭა, ალბათობის თეორიის საფუძვლების დარგში თვალსაჩინო პროგრესი მაინც არ შეინიშნებოდა.

ამის გამო მათემატიკოსთა უმრავლესობა აგერ ამ საუკუნის დამდეგს ჯერაც არ ცნობდა ალბათობის თეორიის მათემატიკის თანასწორუფლებიან ღვიძლ ნაწილად; საეჭვო ღირებულების მქონე მეცნიერებად მიიჩნევდნენ, სადაც მათემატიკისა და ფიზიკის შუა, ან მათემატიკისა და ფილოსოფიის შორის ათავსებდნენ. ამ ჩამორჩენას რომ ზიანი მოჰქონდა, ეს ჯერ კიდევ 1900 წელს აღნიშნა დავიდ გილბერტმა. მან მათემატიკის უმნიშვნელოვანეს გადაუჭრელ პრობლემათა სია შეადგინა და ამ სიაში ალბათობის თეორიის აქსიომური დაფუძნების პრობლემაც შეიტანა, რითაც ხელი შეუწყო ამ თეორიის აღორძინებას XX საუკუნის მათემატიკის ღონემდე.

პირველი საგულისხმო ცდა*) ამ ამოცანის გადასაწყვეტად 1919 წელს განახორციელა რიჰარდ ფონ მიზესმა (1883–1953). მართალია, მის მიერ შემოთავაზებულ სისტემას შედეგი არ მოჰყოლია და ამჟამად უფრორე ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დისკუსია აღძრა და მრავალმა მათემატიკოსმა ამ პრობლემას ყურადღება მიჰაყრო. ალბათობის თეორია ზუსტ აქსიომურ საფუძველზე დაამყარა, თანადროულად მათემატიკის მოთხოვნების შესატყვისად გამართა და

*) პირველად ამ პრობლემის გადაჭრა ს.ბერნშტეინმა (1880–1968) სცადა 1917 წელს; იხ. მისი „ალბათობის თეორიის აქსიომური დაფუძნების ცდა.“ ხარკოვის მათემატიკური საზოგადოების უწყებანი, 15, 209–274 (1917). – რუს. გამოცემის რედ. შენიშვნა.

მას საეხებით დამაკმაყოფილებელი სახე პირველად ა.კოლმოგოროვმა*) მისცა 1933 წელს (დაიბადა 1903 წ.)

აქსიომური წესით აგებული ალბათობის კოლმოგოროვისეული თეორიის მიხედვით შემთხვევითი ხლომილობანი განიხილებიან, როგორც ერთგვარი სიმრავლენი, ხოლო მათი შესაბამისი ალბათობანი გვევლინებიან მათზე განსაზღვრულ ნორმირებულ ზომად. მათემატიკური მოლოდინი ამ თეორიაში უბრალოდ ლებეგის ინტეგრალია (აბსტრაქტული). ამრიგად, ალბათობის თეორია რომ თეორიულ—სიმრავლისეულ საფუძველზე დაამყარა, უფრო ზუსტად — სიმრავლეთა თეორიისა და ზომის თეორიის საფუძველზე, ამით კოლმოგოროვმა ლოგიკურადაც დამაკმაყოფილებლად დაასაბუთა ხსენებული თეორია და თანაც იგი თანადროული მათემატიკის სისხლძარღვთა სისტემაში ჩართო. ამით კი შესაძლებელი გახდა, მათემატიკის განვითარებული დარგები ალბათობის თეორიის საჭიროებისათვის გამოგვეყენებინა. სისადავისა და ბუნებრიობის წყალობით, აგრეთვე ზემოთაღნიშნულ უპირატესობათა გამო კოლმოგოროვის თეორია მალე საყოველთაოდ მიღებული შეიქნა, იგი გვევლინება მტკიცე საფუძველად ალბათობის თეორიის აგებისათვის ბოლო 40 წლის მანძილზე.**)

ალბათობის თეორიის საფუძველების გამორკვევამ არა მარტო ხელი შეუწყო ამ თეორიის, როგორც მათემატიკური მეცნიერების განვითარებას, არამედ სხვა მეცნიერულ დარგებში და პირველ რიგში დაზღვევის ეკონომიკაში მისი გამოყენების დიდი შესაძლებლობაც შექმნა. მას შემდეგ ეს თეორია სწრაფად ვითარდება და მისი გამოყენების არეც ნელ—ნელა მოიცავს ისეთ ახალ უმნიშვნელოვანეს დისციპლინებს როგორცაა: რისკის მენეჯმენტი, ჯანმრთელობის, ენერგომატარებლების, ხანძრის, სატრანსპორტო

**) ისევე, როგორც ყოველი მეცნიერული აღმოჩენა, კოლმოგოროვის თეორიაც წინამორბედთა ცდებს ემყარებოდა.

*) ზოგიერთი პრობლემა, დაკავშირებული ფიზიკასთან (კერძოდ, კვანტურ მექანიკასთან), სტატისტიკასთან და სხვა მეცნიერებებთან, მოითხოვდა კოლმოგოროვის თეორიის განვითარებას და პირობითი ალბათობათა ცნების შემოღებას. თავისი თეორიის ამ ლოგიკური განვითარების შესაძლებლობაზე თვით კოლმოგოროვიც მიუთითებდა, თუმცა დამუშავებით ეს იდეა არ დაუმუშავებია.

საშუალებების, სიცოცხლის, გადაზიდვების, ფინანსური ოპერაციების დაზღვევა და გადაზღვევა.

V ალბათობის გამოთვლის პროცესი

5.1. მარტივი ალბათობის გაანგარიშება

შემთხვევის ცვალებადობის შესწავლა მთავარ როლს თამაშობს ალბათობის გამოთვლაში. ჩავატაროთ შემდეგი ექსპერიმენტი: ა) კარგად ცნობილი „გერბისა“ და „ციფრის“ („არიოლი და რეშკა“ წარსულში) მონეტით თამაშის დროს შემთხვევა „გერბი“ – W_1 , ხოლო „ციფრი“ – W_2 -ით აღვნიშნოთ. შემთხვევის ცვალებადობა გამოვხატოთ ცვლადი $X(W)$ -ით გვექნება შემდეგი შემთხვევები $X(W_1)=0$ და $X(W_2)=1$. 0 და 1 ამ შემთხვევებში შემთხვევის რეზულტატური მაჩვენებელია.

მონეტით თამაშის დროს „გერბისა“ და „ციფრის“ დაჯენის ალბათობა თანაბარია და იგი შემდეგნაირად შეიძლება ჩაიწეროს

$$P[X(W_1)=0]=\frac{1}{2} \quad (1) \quad \text{ხოლო} \quad P[X(W_2)=1]=\frac{1}{2} \quad (2)$$

P – თავად ალბათობის მაჩვენებელია.

ფორმულები (1) და (2) შეიძლება შემოკლდეს და მარტივი სახით ამგვარად ჩაიწეროს:

$$P[X=0]=\frac{1}{2} \quad \text{და} \quad P[X=1]=\frac{1}{2} \quad \text{ან}$$

$$P[W_1]=\frac{1}{2} \quad \text{და} \quad P[W_2]=\frac{1}{2}$$

$$P[0]=\frac{1}{2} \quad \text{და} \quad P[1]=\frac{1}{2}$$

ბ) კამათლის თამაშის დროს, „ექსიანის“ (შაში), „ხუთიანის“, „ოთხიანის“, „სამიანის“, „ორიანის“ და „ერთიანის“ დაჯენის ალბათობა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

$$P[6]=\frac{1}{6}, \quad P[5]=\frac{1}{6}, \quad P[4]=\frac{1}{6}, \quad P[3]=\frac{1}{6},$$

$$P[2] = \frac{1}{6} \quad \text{და} \quad P[1] = \frac{1}{6}$$

ე.ი. შემთხვევის ცვლადი პირველ მაგალითში $X(W_1)$ გამოხატავს მონეტის ერთ-ერთ გვერდზე დაჯენის ალბათობას $P[X(W_1)]$ -ს მეორე მაგალითში შემთხვევის ცვლადი მარტივად ჩაწერეთ და იგი საბოლოო რეზულტატის სახით ჩავსვით ალბათობის გამომხატველ ფუნქციაში, მაგალითად: $P[\text{შაში}] = \frac{1}{6}$; და

$$P[\text{ფანჯი}] = \frac{1}{6} \text{ ა.შ.}$$

დაზღვევის ეკონომიკაში ზარალის არითმეტიკული რიცხვნება (ზარალის სისშირე) და ზარალის ღირებულება შემთხვევის მნიშვნელოვან ცვლადებად არის მიღებული. ამავე დროს, ზარალის არითმეტიკულ რიცხვნებას შემთხვევის წყვეტის ცვლადი, ხოლო ზარალის ღირებულებას შემთხვევის განგრძობითი ცვლადი შეიძლება ვუწოდოთ.

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითები მონეტისა და კამათლის შესახებ ალბათობის თეორიას განეკუთვნება. მათი მოდელირება დაზღვევის კვლევას სწორ მეთოდებს აძლევს. მაგალითისათვის თუ ქალაქ N-ში 1000 სახლია და ხანძრის შემთხვევას ამ ქალაქებში ჩვენ $X(\alpha)$ -თი გამოვხატავთ, მაშინ თითოეული ცალკეული სახლისათვის ხანძრის ალბათობა გამოიხატება ფორმულით:

$$P[X(\alpha)] = \frac{1}{1000}$$

ეს ფორმულა, რომელიც ერთი სახლის დაწვის ალბათობას გამოხატავს დაზღვევის ეკონომიკაში ალბათობის კვლევის შესავალს წარმოადგენს.

5.2. ალბათობის, სიმჭიდროვისა და განაწილების ფუნქციები
ალბათობის ფუნქციას შემდეგი სახე გააჩნია:

$$f(x) = \begin{cases} P_i & \text{როცა } X = X_i \\ 0 & \text{ყველა მარტივი } X\text{-თვის} \end{cases} \quad (i=1,2, \dots)$$

ზარალის განაწილების მაჩვენებლებს შეიცავს ე.წ. „ზარალის დაფა“, რომელზეც ზარალის არითმეტიკული რიცხოვნების, ზარალის აბსოლუტური და ნორმირებული სიხშირეების ფუნქციური მიმართულება არის მოცემული.

ზარალის რიცხოვნება დზღვევის ტექნიკურ ერთეულზე გადაანგარიშებით (1)	ხელშეკრულებების (აბ- სოლუტური) ოდენობა ზარალთან მიმართებაში (2)	სიხშირე (ნორ- მირებული) (3)
0	103704	0,865
1	14075	0,117
2	1766	0,0147
3	255	
4	45	
5	6	
6	2	
7	0	0,0000
	119 853	1,00000

ნახ. №9 ზარალის განაწილება

„ზარალის დაფა“ ნახ. №9 შეეიცარულ სადაზღვევო კომპანიას განეკუთვნება. დაზღვევა ხსენებული პერიოდისათვის აერთიანებს 119853 სადაზღვევო ხელშეკრულებას. დაფის (1) ჯგუფში მარტივად რომ ვთქვათ, ზარალის რიცხოვნება (არითმეტიკული) არის მოცემული. (2) ჯგუფში ვხედავთ, რომ 103704 სადაზღვევო ხელშეკრულება ზარალისაგან თავისუფალი გახლდათ, 14075 ხელშეკრულებაში მხოლოდ ერთი ზარალი შეიმჩნეოდა. (3) ჯგუფში ემპირიული განაწილება არის მოცემული. ამგვარი ემპირიული განაწილება ალბათობის გამოთვლის წესს ემორჩილება და შეიძლება ზარალის ოდენობის სტატისტიკური ტესტებით იქნეს გადამოწმებული.

ალბათობისა და ზარალის განაწილების ფუნქციებთან ერთად შეიძლება დავაღვინოთ და გამოვიყენოთ სიმჭიდროვის ფაუნქცია დაზღვევაში. მას ასეთი სახე გააჩნია:

$$P[-\infty < X \leq b] = \int_{-\infty}^b f(x)dx$$

როდესაც X არ არის უარყოფითი და ნაკლებია ან ტოლია b -სი, მაშინ $f(x)$ სიმჭიდროვის ფუნქციას წარმოგვიდგენს.

ალბათობა იმისა, რომ ცვლადი X გარკვეულ ინტერვალს (a,b) იცავს სხვა ცვლედებთან მიმართებაში, წარმოგვიდგება სიმჭიდროვის ფუნქციის ინტეგრალის სახით:

$$P[a < X \leq b] = \int_a^b f(x)dx$$

განაწილების ფუნქცია $F(x)$ წარმოდგენილია შემთხვევის ცვლადის X -ის განაწილების ალბათობის სახით, რომელიც შემდეგ ფორმას მიიღებს.

$$F(x) = P[X \leq x]$$

ალბათობა იმისა, რომ შემთხვევის ცვლადი X არის ინტერვალში a, b სადაც $a < x < b$ მოგვცემს შემდეგ სახეს:

$$P[a < x < b] = F(b) - F(a)$$

განაწილების ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს:

$$F(x) = P[X \leq x] = \sum_{\{i | x_i \leq x\}} f x_i = \sum_{\{i | x_i \leq x\}} P_i$$

საბოლოოდ ეს ასეც შეიძლება ჩაიწეროს:

$$F(x) = P[X \leq x] = \int_{-\infty}^x f(y)dy$$

დაზღვევის ეკონომიკაში შემთხვევის წყვეტი და განგრძობითი ცვლადები ხშირად ერთად განიხილება.

5.3. განაწილების ალბათობის მაჩვენებლები

დაზღვევის ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტის დროს შემთხვევის ცვლადის განაწილების ფუნქცია ფუნქციონალური პარამეტრებით უნდა გამოვსახოთ. ფუნქციონალური პარამეტრები შემთხვევის ცვლადის X -ის და მისი მოხდენის ალბათობის ე.ი. მულალოდნელობის ღირებულების $E[m(x)]$ მათემატიკური გამოთვლით მიიღება.

მოსალოდნელობის ღირებულება - ფორმულით ასე გამოიხატება:

$$E[m(x)] = \int_{-\infty}^{\infty} m(x) dF(x)$$

თუ მასში შემთხვევის წვეტ ცვლადს, ვთქვათ ზარალის რიცხოვნებას ჩავსვამთ, ფორმულა შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$E[m(x)] = \sum_i X_i P_i$$

განგრძობითი ცვლადის, ვთქვათ ზარალის თანხის შემთხვევაში ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

$$E[m(x)] = \int_{-\infty}^{\infty} m(x) f(x) dx$$

მოსალოდნელობის ღირებულებასთან ერთად დაზღვევაში შუალედური ღირებულების გამოთვლაც ხდება.

შუალედური ღირებულება $m(x)$ საშუალებას გვაძლევს ზარალის რაოდენობის განაწილების დროს გამოეთვალოთ ზარალის რაოდენობის საშუალო ღირებულება, ხოლო ზარალის ღირებულების განაწილების დროს ზარალის თანხობრივი ოდენობა:

$$m(x) = E[x] = \int_{-\infty}^{\infty} x dF(x)$$

VI ზარალის თანხა და მისი ანაზღაურება დაზღვევაში

6.1. ზარალის თანხის განაწილება

ზარალის სიდიდეს შემთხვევა განსაზღვრავს. თუ დაზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევა ანაზღაურებას მთლიანად ექვემდებარება, მაშინ მას ზარალის შეუზღუდავ დაზღვევას უწოდებენ. დაზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის ანაზღაურების თანხას სადაზღვევო თანხა ეწოდება. ხშირად სადაზღვევო თანხა, ანუ ზარალის ანაზღაურება უფრო მცირეა, ვიდრე თვით ზარალი.

გაცემული სადაზღვევო თანხა დიდ გავლენას ახდენს ზარალის თანხის გადანაწილებასა და მის მოცულობაზე.

უნდა ჩაეთვალოთ, რომ ზარალის თანხის ნორმალურ გადანაწილებას აქვს ადგილი მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

$$-\infty < X < +\infty$$

ზარალის თანხის გადანაწილების ფუნქცია $F(x)$ შემდეგ ინტერვალში მოქმედებს: $[a, b]$. ასეთ ინტერვალს დაზღვევაში ორმხრივს უწოდებენ.

სიმჭიდროვის ფუნქცია $f(x)$ ზარალის თანხის გადანაწილების ფუნქციას $F(x)$ მუდამ თან ახლავს.

სიმჭიდროვის ფუნქცია $f(x)$ ასევე ინტერვალში $[a, b]$ მოქმედებს.

სიმჭიდროვის ფუნქცია:


$$f_{a,b}(x) = \frac{f(x)}{b - a}; \quad \text{სადაც } a \leq X \leq b$$

$$\int_a^b f(x) dx$$

ზარალის გადანაწილების ფუნქცია:

$$F_{a,b}(x) = \int_a^x f_{a,b}(y) dy; \quad \text{სადაც } a \leq X \leq b$$

გრაფიკული გამოსახულებით სიმჭიდროვის ფუნქცია შემდეგ სახეს მიიღებს:



ნახ. 10

ზარალის გადანაწილების $N(x; j; Z)$ სიმჭიდროვის ფუნქცია.

დაზღვევის ეკონომისტები ამბობენ, უბედური შემთხვევების დაზღვევაში ზარალის თანხების ემპირიული გადანაწილება ერთ შემთხვევაზე გათვლით – ადვილად და თვალსაჩინოდ, ლოგარითმული მეთოდით შეიძლება.

ჯანმრთელობის დაზღვევაში ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს: ზარალის გადანაწილების ფუნქცია სახეს იცვლის სხვადასხვა ავადმყოფობის შემთხვევაში. აქდან გამომდინარე, ამ ფუნქციების შესწავლა დიდ მნიშვნელობას ატარებს.

6.2. საერთო ზარალის გადანაწილება

რისკის პრემიის გამოთვლა

სადაზღვევო პრემიის კალკულაციის პროცესი ორ ნაწილად იყოფა: რისკის პრემიის კალკულაცია და ბრუტო პრემიის კალკულაცია.

ბრუტო პრემია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- 1) რისკის პრემის (ნეტო) + დარწმუნებულობის წანამატი = რისკის პრემია
- 2) რისკის პრემია + წარმოების ხარჯებისათვის წანამატი + მოგება + დაზღვევის გადასახადისათვის წანამატი = ბრუტო პრემია

რისკის პრემიის კალკულაცია დაზღვევის უმთავრესი ამოცანაა. საერთო ზარალის გადანაწილების შესწავლისა და გამოთვლის შემდეგ შეიძლება (იხილეთ საერთო ზარალის გადანაწილების გამოთვლა) ნეტო რისკის პრემიის გაანგარიშება.

მოსალოდნელი ზარალის ალბათობის ექვივალენტი და საერთო ზარალის გადანაწილების მაჩვენებელი დაზღვევის ტექნიკურ ერთეულზე (დ.ტ.ე.) პირდაპირპროპორციულ, ურთიერთდამოკიდებულ სიდიდეებს წარმოადგენენ. ნეტო რისკის პრემიის გამოთვლა დაზღვევაში დიდი ხანია სადავო აღარ არის.

შედარებით სირთულეს დარწმუნებულობის წანამატის (sicherheitszuschlag) საზოგადო გამოთვლა წარმოადგენს.

დარწმუნებულობის წანამატის ოდენობა დასაზღვევი ობიექტის მაკროეკონომიკური მდგომარეობით არის დასაბუთებული.

დაზღვევამ რისკის გაუვნებელყოფისათვის, მისი ექვივალენტური პრემია უნდა მიიღოს. დარწმუნებულობის წანამატის გამოთვლისას შემდეგი ფორმები და პრინციპები გამოიყენება:

1) ბრუტო გასაშუალებელი ფასეულობის პრინციპი:

$$\text{ბრპ} = M(x) + \lambda_1 M(x) \quad \lambda_1 > 0$$

სადაც, λ_1 გასაშუალებულ ფასეულობას წარმოადგენს.

2) სეკურიანტო მიახლოებების პრინციპი:

$$\text{ბრპ} = M(x) + \lambda_2 V(x)$$

სადაც, $V(x)$ სეკურიანტო მიახლოების მაჩვენებელია.

3) სტანდარტული გადახრის პრინციპი:

$$\text{ბრპ} = M(x) + \lambda_3 \sqrt{V(x)} \quad \lambda_3 > 0$$

სადაც, λ_3 გადანაწილების მიღების პარამეტრია.

დარწმუნებულობის წანამატი აქ ზარალის გადანაწილებიდან გარკვეული სტანდარტული გადახრის მაჩვენებლით გამოითვლება.

4) სეკურიანტო კოეფიციენტის პრინციპი:

$$\text{ბრპ} = M(x) + \lambda_4 \frac{\sqrt{V(x)}}{M(x)} \quad \lambda_4 > 0$$

ამ ფორმულაში გასაშუალებელი ფასეულობის და სტანდარტული გადახრის პრინციპები არის ურთიერთდაკავშირებული.

დარწმუნებულობის წანამატი არის პრემიის ნაწილი, რომელიც დიდ როლს თამაშობს დამზღვევის სამეურნეო პროცესებისა და მისი ლიკვიდურობის ამაღლებისათვის. ზარალისა და ანაზღაურების თანხების გადანაწილება ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.

ამ პროცესის თვალსაჩინო წარმოდგენისათვის შეიძლება შემდეგი ცხრილი გამოვიყენოთ:


ცხრილი №1

ზარალის ოდენობა	ანაზღაურების ოდენობა
$\bar{P} = (P_0; P_1 \dots P_n \dots)$	$\bar{P}^* = (P_0^*; P_1^* \dots P_k^* \dots)$
M(P) გასაშუალებული ფასეულობის პრინციპი	$M(\bar{P}) = \alpha \cdot M(P)$
სავარიანტო მიახლოების პრინციპი	$V(\bar{P}) = \alpha^2 \cdot V(b) + \alpha(1 - \alpha) \cdot M(\bar{b})$

სადაც, $\bar{P}_n (n=1,2,\dots)$ არის ზარალის მოხდენის ალბათობა, ხოლო $P_k^* (1,2,\dots,n)$ არის K ანაზღაურების ე.ი. სადაზღვევო თანხის გადახდის ალბათობა.

ნახ №11 ასახავს ზარალის ოდენობას და ანაზღაურების გადანაწილებას.

ნახ. №11



ზარალის გადანაწილება $\bar{P} = (0,50;0,30;0,10;0,10)$ და ზარალის ანაზღაურების გადანაწილება $\bar{P}^* = (0,69;0,24;0,6;0,01)$.

6.3. რისკის დაზღვევა თუ გადაზღვევა

მოსალოდნელი ზარალის გადანაწილებისას სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ თანხის უკმერისობის ან რისკის ზრდის დროს ხდება სადაზღვევო კომპანიის მიერ რისკების სხვა უფრო ღიდ კომპანიაზე გადაზღვევა.

როდესაც სადაზღვევო კომპანიას კარგად აქვს შესწავლილი ამა თუ იმ ზარალის გადანაწილების სისტემა, მაშინ მას გადაზღვევის მექანიზმის გამოყენება ერთჯერადი რისკების გადანაწილებისათვის შეუძლია გამოიყენოს. ასეთ დროს, სადაზღვევო კომპანია ნაკლებ პრემიას მიიღებს, მაგრამ იგი ნაწილობრივ მაინც განთავისუფლდება ღიდ რისკებისაგან.

VII. სადაზღვევო სტატისტიკის ამოცანები

დაზღვევის ტექნიკური მოდელირება და ალბათობის თეორია ზარალის ალბათობის და გადანაწილების შესწავლაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.


კვლევის პროცესი დაზღვევის ეკონომიკაში გარდა ამ დისციპლინებისა ძირითადად სტატისტიკაზე არის დაფუძნებული.

დაზღვევის ეკონომიკაში ფართოდ არის გამოყენებული სტატისტიკური მოდელირების და ტესტების სისტემა, რომელიც რისკის მოდელირების ჩამოყალიბებაში გვეხმარება.

ნახ. №12-ზე გამოსახული მეთოდი ზარალის თანხის გადანაწილების გაგრძელებად გვევლინება. პირველ რიგში დამზღვევი ქმნის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობილ მოდელს:

დაზღვევის ტექნიკური მოდელის შექმნა სტატისტიკური მეთოდების საფუძველზე და სადაზღვევო პრემიის გამოთვლა

ნახ. №12



ა) განვიხილოთ ჯანდაცვის დაზღვევის მაგალითი. ქალაქ N-ში ცხოვრობს 20000 ადამიანი. აქედან (ბავშვების, მოხუცების და სპეციალური ჯგუფების გამოკლებით) სადაზღვევო პრემიას იხდის 10000 კაცი. ქალაქის მთელი მოსახლეობა დაზღვეულია. სადაზღვევო პრემიის ოდენობა ავლნიშნოთ X-ით, ხოლო ქალაქის საავადმყოფოსა და პოლიკლინიკების მიერ შეთავაზებული მომსახურეობის ფასები სამედიცინო პროცესების ნორმალური დინამიკის დროს ავლნიშნოთ Y-ით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია შემდეგი ფუნქცია გამოვიყვანოთ:

$$10000 X = 20000 Y$$

ე.ი. 10000 კაცი თავისი ყოველთვიური სადაზღვევო პრემიით უნდა ინახავდეს 20000 კაცის ჯანდაცვის ღირებულებას. ნორმალური სამედიცინო სიტუაციის დროს. ამ უკანასკნელში ჩვენ ვგულისხმობთ ცხოვრების მდორე, ნორმალური სელი პროცესს, როცა არანაირი საშიში ინფექციები, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფები არ არღვევს მოქალაქეთა სიმშვიდეს.

$$X = \frac{20000Y}{10000} = 2Y$$

ე.ი. ხსენებული ორუცნობიანი განტოლება თავისუფლად შეგვიძლია ერთუცნობიანად გადავაქციოთ.

დაეუბრუნდეთ საწყის განტოლებას:

$$10000(\text{დაზღვეული}) \times 2Y = 20000 Y$$

აქედან გამომდინარე, სადაზღვევო პრემია ორჯერ მეტი უნდა იყოს ნორმალური სიტუაციის დროს არსებული სამედიცინო ფასებზე. მაგრამ, ყველაფერი ასე მარტივად არ გამოიყურება. სადაზღვევო კომპანია თავისი სპეციფიკურობისა და საგადასახადო პოლიტიკის გათვალისწინებით ქალაქ N-ის გადამხდელ 10000 კაცს მნიშვნელოვნად უმცირებს სადაზღვევო პრემიის თანხას, გადააზღვევს რა რისკის გარკვეულ ნაწილს გადამხდელ კომპანიაში.

$$10000 X(2Y - Z_1) \leq 20000 Y$$

ამ შემთხვევაში Z_1 არის პრემიის ის გაიაფება, რომლის საშუალებასაც სადაზღვევო კომპანიას რისკების გადაზღვევა მისცემს.

ხსენებული განტოლებები სადაზღვევო მოდელს წარმოადგენენ. მოდელის რეალობასთან ადეკვატურობის გამოცდა ორი მეთოდით ხდება:


- 1) ადეკვატური მიახლოების მეთოდი – ითვალისწინებს იმ მოდელის საბოლოო შერჩევას, რომელიც მაქსიმალურად მიუახლოვდა რეალურ პარამეტრებს. ამ შემთხვევაში, მიახლოებითობა შეფარდებით და შედარებით ხასიათს ატარებს. სხვადასხვა რეგიონში კონკრეტული მოდელი სახეს იცვლის და ამიტომაც სტატისტიკური მონაცემების მუდმივი გამოყენება საშუალებას მოგვცემს ყოველი ქვეყნისა ან რეგიონისათვის ოპტიმალური მოდელი შევქმნათ.
- 2) ამორჩევითი შემოწმების მეთოდი – ახდენს დაზღვევის ტექნიკური ერთეულების ამორჩევით შემოწმებას. ვთქვათ, შემოწმდება ყოველი მეასე (დ.ტ.ე.). შერჩევითი შემოწმებები კარგად არის აპრობირებული სტატისტიკასა და მარკეტინგში. ამგვარად, შერჩევითი შემოწმება ადეკვატურობის დადგენაში კარგ შედეგებს მოგვცემს.

VIII. ერთჯერადი რისკების სადაზღვევო ტექნიკური გაფორმება

8.1. დაზღვევის საბოლოო პროდუქტის გაფორმების მიმოხილვა

დაზღვეული ერთჯერადი რისკი სადაზღვევო საქმის მთავარ განვითარებულ ფასეულობას წარმოადგენს. სახელშეკრულებო სამართლის მიერ ეს პროცესი საზღვევის პირობების გთვალისწინებით იმართება. სადაზღვევო ორგანიზაციის მთავარ ამოცანას სწორედ სადაზღვევო პროდუქტის ბაზარზე გეგმაზომიერი მიწოდება წარმოადგენს. ამ პროცესს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მიზანმიმართულება გააჩნია: 1) სადაზღვევო პროდუქტის გასაღების ზრდა და 2) სადაზღვევო ტექნიკის სრულყოფა.

დაზღვეული ერთჯერადი რისკების გაფორმება შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:



82. სადაზღვევო შემთხვევა

სადაზღვევო მომსახურება ტრადიციულად დაზღვევის ცალკეული სახეებით მიეწოდება მომხმარებელს. დაზღვევის ცალკეული სახეები ერთის მხრივ სადაზღვევო შემთხვევის (ხლო-მიღების) განსხვავებული მიზეზებითა და პირობებით გამოიწვევა. დაზღვეული მოვლენების სიმრავლეთა კრიტერიუმები დაზღვევის

ტექნიკური ერთეულისათვის უცვლელი სიდიდეებს არ წარმოადგენს.

უცვლელ სიდიდეებს, განმსაზღვრელ კრიტერიუმებს დაზღვევის ცალკეული სახეებისათვის საფრთხის ის სახეები წარმოადგენენ, რომლებიც განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საერთო ზარალში.

სადაზღვევო შემთხვევას იმგვარ მოვლენას უწოდებენ, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებაში დამზღვევს და დაზღვეულს ამ მოვლენის მოხდენამდე კანონიერების სრულ დაცვით აქვთ განსაზღვრული და რომლისთვისაც დაზღვეულის დამზღვევისათვის წინასწარ გადახდილი აქვს სადაზღვევო პრემია.

სადაზღვევო შემთხვევას გარკვეული მახასიათებლები გააჩნია, რომელთა გათვალისწინებით დგინდება დაზღვევის სახე და პირობები. სადაზღვევო შემთხვევის მახასიათებლებია:

1. მიზეზები
2. შედეგები
3. საგნობრივი მიმართება
4. ადგილი
5. დრო

1. მიზეზების ერთობლიობას წარმოადგენს დაზღვეული საფრთხე, რომლებიც საბოლოო ჯამში იწვევენ სადაზღვევო შემთხვევის მოხდენას. ხანძარი, სეტყვა, აფეთქება, ჩამოვარდნა და ა.შ. გარკვეული მიზეზების ჯამია.

2. სადაზღვევო შემთხვევის შედეგები შეიძლება შემდეგი ტიპის საზღაურს (ანაზღაურებას) ითვალისწინებდეს: ა) ნივთობრივი ანაზღაურება; ბ) 100%-ანი ანაზღაურება დაზღვეული საგნის საამორტიზაციო თანხის გათვალისწინებით; გ) ნაწილობრივი ანაზღაურება.

3. სადაზღვევო საქმის საგნობრივ მიმართება განსაზღვრავს 1) დაზღვევის მიმართულებას; 2) ტარიფებს; 3) ნივთმტკიცებას აღზღვევაში.

4. სადაზღვევო შემთხვევის ადგილი სხვადასხვა მნიშვნელობის მატარებელია: 1) უძრავი ქონების; 2) მოძრავი ქონების; 3) სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაზღვევის დროს.

თუ პირველ ორ შემთხვევაში საქმე აწ უკვე განმტკიცებული ნაცნობ სიდიდესთან გვაქვს, უკანასკნელ შემთხვევაში დაზღვევა უფლებამოსილია ინფორმირებული იქნეს დაზღვეულის შორი გადაადგილების შესახებ, რაც გარკვეულ წილად თავის მნიშვნელობას სადაზღვევო კალკულაციებზეც მოახდენს.

5. შემთხვევის დრო – სადაზღვევო კალკულაციის უმნიშვნელოვანესი პირობაა, ამიტომაც მისი განსაზღვრა აუცილებელია.

8.3. შეფასება

დაზღვევასთან დაკავშირებით შეფასება და ღირებულების შემდეგ სახეებს ვიყენებთ:

1. საცვლელი ფასი
2. ეფექტურობა
3. საბოლოო ფასი
4. ნორმირებული ფასი

1) საცვლელი ღირებულება გამოხატავს ფასებს, რომლითაც ხდება პროდუქტის გასხვისება-გაყიდვა. საცვლელი ღირებულება საბაზრო ფასის ფორმას იღებს;

2) ეფექტურობა – სუბიექტურ ხასიათს ატარებს და იგი სადაზღვევო პროცესების მომგებიანობისა და წამგებიანობის ამსახველია;

3) გაფორმებული სადაზღვევო ხელშეკრულებაში მოხსენებულ ფასს ხშირად საბოლოო ფასს უწოდებენ;

4) ნორმირებული ფასი დაზღვევაში წინასწარ მითითებული რეალური ფასებია, რომელთა გათვასლიწინებითაც ხდება სადაზღვევო კონტრაქტების გაფორმება – ჯანმრთელობის დაზღვევასა და მასთან დაკავშირებულ მათემატიკურ გათვლებში.

IX სადაზღვევო მენეჯმენტი

9.1. სადაზღვევო ორგანიზაციის სტრუქტურა და მუშაობის ფორმა (გერმანული მოდელი)

სადაზღვევო ორგანიზაციის სტრუქტურა შეიცავს რამოდენიმე აუცილებელ ქვეგანაყოფს, რომლებიც შეიძლება მოქმედების ხასიათის მიხედვით ორ ნაწილად დავყოთ. ეს ნაწილებია საგარეო სამსახური და შიდა სამსახური.

სადაზღვევო სამსახურის საგარეო სამსახური ახორციელებს სადაზღვევო პოლისების განთავსებას, მომხმარებლის ინფორმაციულ მომსახურებას, სამომხმარებლო ბაზრის ათვისებას და მასთან დაკავშირებულ ყველა სხვა პროცესებს.

სადაზღვევო ორგანიზაციის შიდა სამსახური ასრულებს სადაზღვევო პროცესების კონტროლს, ინფორმაციის მათემატიკურ-სტატისტიკურ გადამუშავებას, სადაზღვევო ინფორმაციის მეცნიერულ კვლევას, სადაზღვევო ბაზრის შესწავლას და მონაცემთა გადამუშავებას.

დაზღვევის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ხორციელდება სტრატეგიული და ოპერატიული მართვის მეშვეობით.

სადაზღვევო პროცესების წარმართვა წამყვან სადაზღვევო კომპანიებში შიდა სამსახურების შემდეგი კონკრეტული განყოფილებების მეშვეობით მიმდინარეობს:

1) *საგნობრივი ნიშნითა და ზარალის ხასიათით განსაზღვრული განყოფილება* მოწოდებულია მოემსახუროს კონკრეტული მოთხოვნილების მქონე მომხმარებელს და გაითვალისწინოს მათი საქმიანობის სპეციფიკა.

ამ განყოფილების მოვალეობაა, საქმის ღრმა ცოდნით, ვითარების გათვალისწინებით:

- ა) პოლისების განთავსება
- ბ) ხელშეკრულებების დადება მომხმარებელთან
- გ) ინფორმაციის შენახვა და გადამუშავება
- დ) მომხმარებლისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება.

საგნობრივი ნიშნით დალაგებული განყოფილებები შეიძლება იყოს: სატრანსპორტო გადაზიდვების, უძრავი ქონების, კრედიტების, ავტომობილების, ჯანმრთელობის, ენერგომატარებლების და სხვა ადამიანის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი დაზღვევის რგოლები.

ზარალის ხასიათით და ფორმით განსაზღვრული დაზღვევის განყოფილებებია: დაზღვევა ხანძრისაგან, ავადმყოფობისაგან, სიკვდილისაგან, მწვავე ინფექციებისაგან, წყალდიდობისაგან, სეტყვისაგან და ა.შ.

ამგვარად სადაზღვევო ორგანიზაციის საგნობრივი ნიშნითა და ზარალის ხასიათით განსაზღვრული განყოფილებები, დაზღვევის პროცესებზე მკაცრად სპეციალიზირებული რგოლებია, რომელთა მიზანი მომხმარებელთა მაქსიმალურად ხარისხიან მომსახურებაში მდგომარეობს.

2) საგარეო სამსახური

სადაზღვევო ორგანიზაციის მნიშვნელოვან რგოლს ხშირად გასაღების განყოფილებასაც უწოდებენ. იგი მეთვალყურეობას უწევს დაზღვევის ისეთ აუცილებელ სამსახურებს, როგორცაა დაზღვევის ბროკერი, კომპიაჟორი და სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენელი. საგარეო სამსახურს კონტროლთან ერთად ხშირად ახალი კადრების მოზიდვა, სადაზღვევო ქსელის გაფართოება და კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაც ევალება.

3) დაგეგმვისა და მართვის სამსახური

სადაზღვევო ორგანიზაციები ეწევიან თავიანთი საქმიანობის ოპერატიულ და სტრატეგიულ დაგეგმვას. ამ სფეროში დაგეგმვის შემდეგი აუცილებელი ინდიკატორები გამოიყენება:

ა) სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის სიხშირე და მისი სეზონური ასევე პერსპექტიული დინამიკა

ბ) რისკის ჯგუფებად დაყოფილი მოსახლეობის შემოსავლიანობის და გადამხდელუნარიანობის მაჩვენებლები

გ) სადაზღვევო კომპანიის (ორგანიზაციის) მოგება-ზარალის დინამიკა გასული საანგარიშსწორებო წლის განმავლობაში

დ) სადაზღვევო ორგანიზაციების ტარიფები და მათი დინამიკა

ე) სადაზღვევო ორგანიზაციის მოქმედების რეგიონის პრობლემატიკის გაანალიზება

ვ) სადაზღვევო სფეროების ფასების დინამიკა (ვთქვათ ჯანმრთელობის დაზღვევაში ჯანდაცვის ფასებისა და ტარიფების დინამიკა)

4) სადაზღვევო ორგანიზაციის შიდა კანცელარია

5) საანგარიშო განყოფილება – ამ ჯგუფს განეკუთვნება სათავო ოფისის სააგენტოების და ფილიალების ფინანსური მონაცემების შეგვერება, ბალანსის გამოყვანა და ეგრეთწოდებული „ორმაგი ბუღალტერიის“ გაძღოლა. საანგარიშო განყოფილება ყოველ ცალკეულ კლიენტზე ქმნის პერსონალურ ბანკ-ბარათს, სადაც სადაზღვევო პროდუქტის მომხმარებელთა პერსონალური ბუღალტერია არის მოცემული. ამგვარი ბანკ-ბარათების შენახვა, მათი კომპიუტერული მომსახურება და ჩანაწერების დაცვა საანგარიშო განყოფილების მოვალეობაა.

6) მოგების განყოფილება, ანუ Profit centers – თანამედროვე დასავლური სტრუქტურის თითქმის ყოველი რგოლისათვის არის მიღებული. მოგების იგივე ფინანსური განყოფილება მთავარ ყურადღებას ხარჯებზე ამახვილებს და ამ ხარჯების შემცირებას ისახავს მიზნად. ფინანსური რგოლის მთავარი მიზანი სადაზღვევო კომპანიის ფინანსების ეფექტურ განთავსებაში და შესაბამისად მაქსიმალური მოგების მიღებაში მდგომარეობს.

7) გადაზღვევის განყოფილება

გადაზღვევის რგოლის მნიშვნელობა ძალზე დიდია დაზღვევაში. გადაზღვევის განყოფილება ახდენს ზომაზე უფრო მაღალი რისკების განხილვას და მათ გადაზღვევას დიდ სადაზღვევო გადამზღვევე კომპანიებში. გადამზღვევე კომპანიები აზღვევენ რა სადაზღვევო კომპანიებს მსოფლიოში ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტიად გვევლინებიან. შესაბამისად სადაზღვევო კომპანიების გადამზღვევე განყოფილება მოწოდებულია დააკავშიროს მზარდი რისკების მქონე სადაზღვევო შემთხვევის სახე დიდ სადაზღვევო კაპიტალთან.

ძლიერი სადაზღვევო კომპანიები არ ახდენენ ყველაფრის გადაზღვევას. ეს რომ ასე არ იყოს სადაზღვევო ორგანიზაციები მხოლოდ გადამზღვევე ორგანიზაციების ბროკერებად და ფილიალებად გადაიქცეოდნენ და შესაბამისად გადამზღვევე კომპანიებიც

ჩვეულებრივი დამზღვევი ორგანიზაციების დონეზე ჩამოვარდებოდნენ.

სადაზღვევო კომპანიები ამორჩევით გადაზღვევენ რისკებს გადამზღვევ ორგანიზაციებში და "იტოვებენ" იმგვარ რისკებს რომელთა მოხდენის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები მათ თავიანთი ძალებით გაუმკლავდებიან.

შესაბამისად გადამზღვევი ორგანიზაციები ისეთ დამოკიდებულებაში იმყოფებიან სადაზღვევო კომპანიებთან, როგორი ურთიერთობითაც სადაზღვევო კომპანიები განიხილავენ თავიანთ კლიენტებს. ურთიერთობის ამ ფორმას "ალბათობის თეორიით" განსაზღვრული პრინციპები და გამოცდილება არეგულირებს. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველი გადაზღვეული შემთხვევა არ არის თავისთავად ზარალის მომტანი გადამზღვევ ორგანიზაციისათვის, პირიქით იგი მოგების მომტანია. გადაზღვეული შემთხვევების მოხდენის ალბათობა თავისთავად უტოლდება ან დაბალია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობის ნორმალურ პირობებში. გადამზღვევი ორგანიზაციის მიერ ერთ დიდ რისკის ჯგუფად შეკრული „გადაზღვეული შემთხვევები“ უკვე იმდენად საშიში აღარ არის. მათი ალბათობა რაოდენობის მატებასთან ერთად მცირდება და შესაბამისად ფინანსური მოგება მოაქვს დაზღვევისა და გადაზღვევის რგოლებისათვის.

მ) უცხოეთის განყოფილება

სადაზღვევო მომსახურების რაოდენობრივი და ტერიტორიული მასშტაბების გავრცობა ყველა სადაზღვევო ორგანიზაციის სანუკვარ მიზანს წარმოადგენს. საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით უცხოურ სადაზღვევო კომპანიას უფლება აქვს დააფუძნოს თავისი ფილიალი საქართველოში მხოლოდ ქართულ მხარესთან შემდეგი წილობრივი შეფარდებით 49%-51%-თან, რაც ქართული მხარის წილობრივ უპირატესობას ადასტურებს. ამგვარი კანონები მრავალ ქვეყანაში მოქმედებს, ისინი რა თქმა უნდა ზღუდავს უცხოური სადაზღვევო კომპანიების აქტიურ საქმიანობას შესაბამის ბაზარზე. მიუხედავად ამისა სადაზღვევო კომპანიები საზღვარგარეთ ფილიალების დაფუძნებაზე ენერგიას და ფინანსებს არ იმშურებენ. საქართველოში მომქმედი სადაზღვევო კომპანიები *ენიკი*, *იმედი* უცხოური კაპიტალის წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე

არის შექმნილი. რა თქმა უნდა დასავლეთევროპის ისეთი განთქმული სადაზღვევო კომპანიები, როგორცაა *ლლოიდი, კონკორდია, ჰანოვერიშე ლებენ, Aok, ბავარია* დიდი სტაბილურობითა და მუშაობის თითქმის საუკუნივანი გამოცდილებით გადამწყვეტ პირობად მოიაზრება, მაგრამ უცხოური სადაზღვევო კომპანიები ასევე კაპიტალის გადინების მნიშვნელოვან და ამავე დროს საშიშ ბერკეტს წარმოადგენს. ამიტომაც საკუთარი დაზღვევის ბაზარზე ეროვნული კაპიტალით შექმნილი მსხვილი სადაზღვევო კომპანიის ქონა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად უნდა იქცეს.

დღეს მრავალი დასავლეთევროპული სადაზღვევო კომპანია აფუნებს თავის წარმომადგენლობებს აღმოსავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. 1999 წლის 3 თებერვალს ჰანოვერში დიდი მათემატიკოსის და ფილოსოფოსის, დაზღვევის ერთ-ერთი მკვლევარის ფონ ლაიბნიცის სახლმუზეუმში ჩატარებულმა კონფერენციამ, რომელზედაც ამიერკავკასიის სადაზღვევო ბაზარს ამ წიგნის ავტორი წარმოადგენდა – შეაჯამა გერმანული სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანიების აღმოსავლეთ ევროპაში, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში განვითარების მარცენებლები. ლაიბნიცაუსში ჩატარებული კონფერენციის მონაცემებით გერმანულმა მსხვილმა გადამზღვევმა ორგანიზაციებმა რუსეთის, პოლონეთის, ბულგარეთის ტერიტორიაზე საანგარიშო წელი მართალია მოგებით დაამთავრეს, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს მიეზიდათ პოტენციური მომხმარებლის 30%-ზე მეტი.

აღნიშნული ფაქტი მტყვევლებს პირველ რიგში სადაზღვევო კულტურის განუვითარებლობით ხსენებულ რეგიონებში და ნათლად გვანახებს იმ სირთულეებს, რომლებსაც სადაზღვევო კომპანიების ფილიალები აწყდებიან საზღვარგარეთ საქმიანობის დროს.

9) მონაცემთა ელექტრონული გადამუშავების განყოფილება

სწრაფად ცვალებადი მონაცემებით მდიდარ სადაზღვევო ორგანიზაციას, რომელსაც მრავალი ფიზიკური, იურიდიული პირი და მათთან დაკავშირებული სამეურნეო პროცესები აქვს დაზღვეული, აუცილებელია ჰქონდეს მონაცემების შენახვისა და გადამუშავების ეფექტური სისტემა.

მონაცემთა ელექტრონული გადამუშავების განყოფილებას პირველ რიგში ევალება მონაცემთა საიმედო შენახვა – “დამახსოვრება”. მრავალ სადაზღვევო კომპანიაში მონაცემთა დაცვის სამმაგი სისტემა არის შექმნილი, რომლის მეშვეობით სადაზღვევო კომპანიის სტაბილურობა მატულობს.

მონაცემთა ელექტრონული გადამუშავება სრულდება პრინციპით – “სრული ინფორმაცია ყოველ საშუალო ადგილს თანაბრად მიეწოდება”.

მონაცემთა გადამუშავებისას დიდი მნიშვნელობა ეთმობა ზარალის რიცხოვნების აღრიცხვას, დამუშავებას და მის განკერძოებულად შენახვას. საბოლოო ჯამში ყოველი მონაცემი დამუშავებული სახით სტატისტიკურ განყოფილებაში იყრის თავს.

10) სპეციალური განყოფილებები:

- ა) წარმოების ორგანიზაციის განყოფილება – მისი ამოცანა სადაზღვევო კომპანიის ცალკეული ჯგუფების ურთიერთშეთანხმებულ მუშაობის მიღწევაში მდგომარეობს. მრავალი ჯგუფი და განყოფილება სწორედ ამ რგოლის მეშვეობით ერთიანდება მონოლითურ ერთი მიზნით გამთბარ კოლექტივად. წარმოების ორგანიზაციისას სადაზღვევო კომპანიები მენეჯმენტის ჩვეულებრივ სახეს მიმართავენ.
- ბ) კანონმდებლობასთან ურთიერთობის შუალედური რგოლი – სადაზღვევო ორგანიზაციების ცალკეულ განყოფილებებში იურისტები არიან დასაქმებული. ეს განსაკუთრებით სადაზღვევო კომპანიის იმ საგარეო სამსახურში გაერთიანებულ განყოფილებებს შეეხებათ, რომლებიც უშუალოდ მომხმარებელთან ხელშეკრულების გაფორმებას აწარმოებენ. კანონმდებლობასთან ურთიერთობის შუალედური რგოლი სადაზღვევო ორგანიზაციის საშუალო პროცესის კანონთან მიმართებაში კორექტირებას ახდენენ.
- გ) მარკეტინგის განყოფილება - ამ ჯგუფში გაერთიანებული ადამიანები დაგეგმვისა და მარკეტინგის ამოცანებს ასრულებენ. ამ განყოფილების მარკეტინგული სექტორი დაზღვევის მარკეტინგით არის დაკავებული. 1957 წელს ამერიკიდან ევროპაში შემოჭრილი „მარკეტინგი“ სადაზღვევო კომპანიებმა სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციებისაგან ერთბაშად არ მიიღეს. ყველაფერი ეტაპობრივად მოხდა, ბოლო ათწლეულში სადაზღვევო

კომპანიები განსაკუთრებით დაინტერესდნენ „მარკეტინგით“ და მის ბაზაზე ახალი ეკონომიკური დისციპლინა დაზღვევის მარკეტინგი შექმნეს.

დაზღვევის მარკეტინგი ეკონომიკის შედარებით ახალი დარგია. მისი ამოცანა დაზღვევის პროდუქტის მომხმარებელთა მოთხოვნების მაქსიმალური შესწავლით, დაზღვევის ოფისების, წარმომადგენლობების, დაზღვევის აგენტებისა და კომპიაჟორების რეგიონის სივრცეზე ოპტიმალური განაწილებით მაქსიმალური ოდენობის სადაზღვევო პოლისების გაყიდვაში მდგომარეობს.

დ) *რეკლამის განყოფილება* – სადაზღვევო კომპანიებმა რეკლამის გამოყენება მე-17, მე-18 საუკუნეებში დაიწყეს. უძველესი დაზღვევის რეკლამად შეგვიძლია მივიჩნიოთ ლოიდის მამათაერის, ერთ-ერთი პირველი დამზღვევი ორგანიზაციის დამაარსებლის ედუარდ ლოიდის მიერ 1698 წელს ლონდონურ გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადება საზღვაო გადაზიდვების, გემების და სხვა ტრანსპორტის დაზღვევის შესახებ. რეკლამას მიმართავენ რევოლუციამდელ საქართველოში არსებული სადაზღვევო საზოგადოებები “როსსია” და სახელმწიფო დაზღვევის კომპანია. 1894 წელს გამოცემულ საქართველოს კალენდარში სხვა სარეკლამო განცხადებებთან ერთად სადაზღვევო კომპანიების რეკლამებიც არის მოცემული. დღესდღეობით სადაზღვევო ორგანიზაციები რეკლამებს ათავსებენ ინფორმაციის ყველა საშუალებებით.

სარეკლამო განყოფილების მთავარი მოვალეობა ფირმის იმიჯის მაქსიმალურად გაუმჯობესებაში მდგომარეობს. სადაზღვევო კომპანიის პროსპექტები, სატელევიზიო და საგაზეთო რეკლამები, შესაბამისი პროგრამა ინტერნეტში, ჩატარებული აქციები სოციალურად დაუცველთა დასახმარებლად და მხარდასაჭერად, სადაზღვევო კომპანიის სარეკლამო რგოლის პრეროგატივაა.

ე) *სტატისტიკის განყოფილება* – ხშირად მას დაზღვევის “საიდუმლო განყოფილებას” უწოდებენ.

სტატისტიკური მონაცემები უმნიშვნელოდ, მაგრამ მანც იცვლება გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. ამ მონაცემებზე დაკვირვებით სადაზღვევო კომპანია ახალ-ახალ ალბათობებს ითვლის, რაც შემდგომში მის მოგება ზარალზე აისახება. ბოლო

პერიოდის განმავლობაში რისკის სიხშირისა და სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობის კვლევას ახალი იმპულსი მიეცა. სადაზღვევო კომპანიები სტატისტიკისა და ალბათობის მკვლევარ მეცნიერებთან ერთად იღრმავებენ ცოდნას ამ სფეროში.

ვ) *სარევიზიო გაყოფილება* როგორც სხვა ორგანიზაციებში, ასევე სადაზღვევო კომპანიაში, შიდა რევიზიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიზნით შექმნილი ჯგუფი აწყობს გეგმაზომიერ შემოწმებებს კვარტალში ერთხელ და მოულოდნელ შემოწმებებს წლის განმავლობაში.

ზ) *კვალიფიკაციის ამაღლების რგოლი.*


სადაზღვევო კომპანიების საგარეო სამსახურს მიეკუთვნება:

- 1) დაზღვევის სააგენტოები თავისი პერსონალით
- 2) დაზღვევის უშტატო თანამშრომლები, რომლებიც მთავარი პროფესიონალური საქმიანობის გვერდით ახორციელებენ სადაზღვევო საქმიანობას.
- 1) დაზღვევის სააგენტოები ძლიერ კომპანიებს ქალაქებში და სოფლებში აქვთ დაფუძნებული. დიდ სადაზღვევო კომპანიებს ყოველ 50000 კაციან რაიონზე ერთი სადაზღვევო სააგენტო აქვთ გათვალისწინებული. დაზღვევის ასეთ სააგენტოებში მომსახურე პერსონალი ხშირად 1-2 კაცს აღწევს.
- 2) დაზღვევის უშტატო თანამშრომლები ნამდვილი პროფესიით ხშირად მაღაზიის, ტურისტული სააგენტოების, საგაზეთო ჯიხურების, ფოსტის თანამშრომლებს წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთი გეოგრაფიული მდებარეობით და პროფესიული მომზადებით სადაზღვევო კომპანიის პოლისის გასაღების მნიშვნელოვან და ამავე დროს იაფ რგოლს წარმოადგენენ.

ასეთი მიდგომა აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. დასავლეთ ევროპის წამყვანი სადაზღვევო კომპანიები გასაღების ამგვარ იაფ და ამავე დროს საშიშ ფორმას ნაკლებად მისდევენ.

9.2. სამუშაო პროცესი სადაზღვევო ორგანიზაციაში

ნახ. 13



როგორც ნახაზიდან ვხედავთ სამუშაო პროცესი სადაზღვევო ორგანიზაციაში შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:


ძირითადი მუშა პროცესი

სადაზღვევო კომპანიებში ეს პროცესი თითქმის ერთნაირად მიმდინარეობს და შედგება 4-5 ეტაპისაგან.

პირველადი გადამუშავება პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს ეტაპს წარმოადგენს. მომხმარებელი სადაზღვევო ორგანიზაციის საგარეო სამსახურს უგზავნის განაცხადს სადაზღვევო მომსახურების

მოთხოვნების შესახებ. ეს განაცხადი რომელიც სადაზღვევო ორგანიზაციის რეგიონალურ ბიუროში ბარდება ან იგზავნება, ამ ბიუროს მიერ ცენტრალურ ოფისს მიეწოდება. ცენტრალურ ოფისში არსებული დაზღვევის საგნისა და ზარალის ხასიათის მიხედვით სპეციალიზირებული განყოფილება შეისწავლის, შეამოწმებს განაცხადის საგანს – გაამზადებს სადაზღვევო პოლისს და უგზავნის მას მომხმარებელს. პარალელურად ხდება მომხმარებლის მიერ თანხის – სადაზღვევო პრემიის გადახდა.

ნახ.14



1. განაცხადის მსვლელობა მომხმარებლიდან ცენტრალურ ოფისამდე
2. სადაზღვევო პოლისის გზა ცენტრალური ოფისიდან მომხმარებელამდე
3. მომხმარებლის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდა.

საბოლოო გადამუშავება

სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ მომხმარებელზე გაცემული პოლისი მისგან მიღებული რისკი – სწრაფად გამომუშავდება და შეიტანება დაზღვევის ბალანსში სახელწოდებით “სარისკო ვალდებულებანი – შემოსავალი, ზარალი”. სადაზღვევო კომპანია საჭი-

როების შემთხვევაში კიდევ ერთხელ გადაამოწმებს დაზღვეულ პირს, მის აქტივებსა და პასივებს. მეორადი გადამუშავებისას რისკის გაზრდის შემთხვევაში სადაზღვევო ორგანიზაცია რისკის ნაწილს გადააზღვევს გადამზღვევ კომპანიაში. ე.ი. იგი შეელევა მოზიდული პრემიის ნაწილს და ამით შეამცირებს საკუთარ სარისკო ვალდებულებებს.

გადაზღვევას სადაზღვევო კომპანიები ჩვეულებრივ მომხმარებელთან ანუ პრემიის გადამხდელთან შეთანხმების გარეშე ახორციელებს. საბოლოო დამუშავების პროცესში მონაწილეობას იღებენ სადაზღვევო ორგანიზაციის სტატისტიკური, საანგარიშო და საგეგმო, მარკეტინგისა და მათემატიკური გათვლის განყოფილებები.

სადაზღვევო შემთხვევის გადამუშავება

სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის შემდეგ წინასწარ დათქმული პერიოდის განმავლობაში მომხმარებელი ვალდებულია დაუკავშირდეს თავის სადაზღვევო კომპანიას.

მომხმარებელი სადაზღვევო პოლისში წინასწარ მითითებულ ტელეფონზე და მისამართზე უკავშირდება სადაზღვევო ორგანიზაციის ერთ-ერთ რეგიონალურ ქვეორგანიზაციას, ბიუროს ან წარმომადგენლობას.

რეგიონალური ორგანიზაცია თავის მხრივ ინფორმაციას სადაზღვევო შემთხვევის მოხდენისა და ზარალის შესახებ მასშტაბების შესახებ უგზავნის ცენტრალურ ოფისს.

დაზღვევის საგანისა და ზარალის სპეციალიზირებული განყოფილება ასეთ დროს აგზავნის თავის სპეციალისტებს, რომლებიც უშუალოდ შეისწავლიან სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზარალს და მის ხასიათს. გამონაკლისი გახლავთ ჯანდაცვის დაზღვევა. ჯანმრთელობის დაზღვევის დროს მელ რიგ კერძო სადაზღვევო კომპანიებში მეტად მარტივი მექანიზმია მიღებული. ჯანმრთელობის დაზღვევაში ცენტრალურ ბიუროს არ უხდება სპეციალისტების გაგზავნა ავადმყოფის შესასწავლად, მათ როლს ამ შემთხვევაში თვითონ ექიმები ასრულებენ. ევროპული სადაზღვევო კომპანიები ასეთ დროს ექიმებს მთლიანად ენდობიან. რაც შეეხება ამერიკული “მართვადი მედიცინის” managed-care-ს

კომპანიები კი მხოლოდ თავიანთ კომპანიის საკუთრებაში მყოფ საავადმყოფოებს და ექიმთა კოლექტივებს აღიარებენ.

სადაზღვევო შემთხვევის შესწავლის შემდეგ სადაზღვევო კომპანია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ახდენს ზარალის შესაბამის ანაზღაურებას.

ქვედაზღვევა (Unterversicherung) – როგორ უნდა განისაზღვროს სადაზღვევო შემთხვევის მოხდენისას სადაზღვევო კომპანიის მიერ – დაზღვეული მომხმარებლისათვის ასანზღაურებელი თანხის ოდენობა? წარმოვიდგინოთ შემთხვევა რომლის დროსაც, A სადაზღვევო კომპანია ხანძრისაგან აზღვევს ჩარხმშენებელი ქარხნის რამოდენიმე მნიშვნელოვან დაზგა-დანადგარს, რომელთა ღირებულება სადაზღვევო პერიოდის დაწყებისას X-ის ტოლია.

ამორტიზაციის შედეგად ჩარხების ღირებულება წელიწადში n-ჯერ მცირდება. დავუშვათ, რომ სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან მეხუთე წელს ქარხანა ხანძრისაგან დაზარალდა, რომლის დროსაც ხსენებული ჩარხები განადგურდა.

სადაზღვევო კომპანია ზარალისაგან 100%-იანი დაზღვევის შემთხვევაში ასანაზღაურებელი თანხის ოდენობას შემდეგი წესით განსაზღვრავს: X ჩარხების ღირებულება აუცილებლად შემცირდება n-ით (წლების ოდენობა გამრავლებული ცვეთადობის მაჩვენებელ n-ზე), ე.ი. სადაზღვევო კომპანია დაზღვეული საწარმოს გადაუხდის $(x-n)$ თანხას.

ზარალის 80%-ით დაზღვევის შემთხვევაში სადაზღვევო თანხა მსგავს პირობებში იქნება $(x-n)80/100$ და ა.შ.

დაზღვევისას სადაზღვევო თანხის ამგვარ შემცირებას ქვედაზღვევას უწოდებენ.

სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმება – სტორნო

სადაზღვევო ხელშეკრულების გაუქმების ინიციატორად შეიძლება გამოვიდეს როგორც მომხმარებელი, ასევე სადაზღვევო ორგანიზაციის შიდა სამსახური.

მსგავს შემთხვევაში სადაზღვევო ორგანიზაცია ბოლო გადახდილ სადაზღვევო პრემიას ხშირად უკან უბრუნებს მომხმარებელს.

არაძირითადი მუშა პროცესი

ძირითადი სამუშაო პროცესის გარდა სადაზღვევო კომპანიაში სხვა მნიშვნელოვანი, მაგრამ არაძირითადი შემდეგი სამუშაოები მიმდინარეობს:

- 1) გადაზღვევის პროცესის წარმართვა;
- 2) ტარიფების საჯარო გამოცემა;
- 3) შესაბამის სამმართველოებთან სტატისტიკური ინფორმაციის მიღება;
- 4) შესაბამის სახელმწიფო ორგანოებზე სტატისტიკური ინფორმაციის გაცემა;
- 5) მოგების განაწილება და ა.შ.

პროცესის ავტომატიზაცია

ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის განვითარების შემდეგ სადაზღვევო კომპანიები რომლებიც ადრე დიდ არქივებს ფლობდნენ, ავტომატიზაციამ მოიცვა. სადაზღვევო კომპანიების ავტომატიზაცია შემდეგ საფეხურებს მოიცავს:

- ა) საოფისო სამუშაოების ავტომატიზაციის პროცესებში ჩართვა;
 - ბ) სადაზღვევო პრემიების ოდენობების ავტომატური გამოთვლა
 - გ) რისკების ფინანსური შეფასება;
- ე. ალბათობის პროცესის გამოთვლის ავტომატიზაცია;
- ე) სადაზღვევო შემთხვევისას ზარალის ღირებულების გაანგარიშება;
 - ვ) მიკროფილმებზე მონაცემთა კომპიუტერული დამახსოვრება;
 - ზ) სადაზღვევო კომპიუტერული სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა.

X დაზღვევის მიკრო და მაკროეკონომიკური მნიშვნელობა

10.1. დაზღვევის მიკროეკონომიკური ფუნქციები

განვითარებულ ქვეყნებში დაზღვევის ეკონომიკა სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.


დაზღვევის მიკროეკონომიკურ ფუნქციას შეადგენს:

1. დაზღვევის საბოლოო პროდუქტით – ზარალის ანაზღაურების დარწმუნებულობით ადამიანების ძირითადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

2. ადამიანებისათვის სათამაშო სივრცის გაზრდა.

1. დაზღვევა, როგორც მეწარმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა თავად ადამიანთა მოთხოვნილებების საფუძველზე წარმოიშვა. თუ მას მასლოუს ცნობილი პირამიდის მიხედვით განვიხილავთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ დაზღვევის პროდუქტი – დარწმუნებულობა ადამიანის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას განეკუთვნება საკვების, ტანსაცმელის და სხვა პირველადი მოთხოვნილებების შემდგომ.

ნახ. №15



თავად ადამიანი ყოველთვის ცდილობს მიღწეული ღირებულებების შენარჩუნებას. მეწარმეობის არცერთ ფორმას არ ძალუძს ისეთი მასტაბილირებელი როლი შეასრულოს ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, როგორც დაზღვევა. თვით ფიუნქრსელი საბირჟო ვაჭრობის ერთ-ერთი მასტაბილირებელი ფორმა – ჰეჯირება,

მხოლოდ ფასების სეზონური ცვალებადობისაგან აზღვევს მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჰეჯირებას დიდი როლი აკისრია სასოფლო-სამეურნეო პროცესების გაწონასწორებაში, იგი მაინც მოკლევადიან ოპერაციებს განეკუთვნება. ამ ფონზე დაზღვევის სწორად ორგანიზებული კომპანია მრავალი ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ადამიანისათვის მნიშვნელოვან სამეურნეო პროცესებს აზღვევს და ზარალის შემთხვევაში ბანკროტობისაგან იცავს ადამიანთა ორგანიზებულ ჯგუფებს.

2. ადამიანების სამოქმედო სივრცის გაფართოება დაზღვევის მნიშვნელოვანი, ფსიქოლოგიური ხასიათის ფუნქციაა. სამოქმედო სივრცე, რომელსაც ჩვენ თამაშის სივრცე უწოდეთ, ხშირად თვით ადამიანის, მისი შეხედულებების და რაც მთავარია შიშის მიერ არის წარმოქმნილი. ასეთ აბსტრაქტულ წარმონაქმნს თითქმის ყოველი პიროვნება გონების ერთ-ერთ უჯრაში ატარებს.

“არ გადახტე, დაიმტვრევი” ხშირად მიაძახებს დედა თავის ცელქ შვილს. “არ გარისკო, თორემ მთელ ქონებას დაღუპავ” – გვეუბნევა ხშირად საკუთარი გონება და ჩვენც ხშირად ვემორჩილებით მას. წარმოიდგინეთ, რომ ხართ საშუალო ასაკში და აშენებთ სასტუმროს ქალაქის ერთ-ერთ წარმატაც რაიონში. თქვენ მეუღლეს და შვილებს შემოსავლი წყარო არ გააჩნიათ. ერთადერთი ფულის წყარო თქვენ ხართ. ფუნდამენტი ჩასხმულია, გაქვთ აღებული ვალები თამასუქით და ყოველთვიური მოგების იმედით ოპტიმისტურად უყურებთ ცხოვრებას, რადგანაც სასტუმრო წინასწარ გაქირავებული გაქვთ. რა მოხდება მაშინ, თუ თქვენ უეცრად საოპერაციო გახდებით. ოპერაცია კი დიდ თანხებს შეიწირავს. თუ არ გაქვთ ჯანმრთელობის დაზღვევა გაფორმებული, მაშინ თქვენ საოპერაციოდ მოიხმართ იმ ფულს, რაც სახლის მშენებლობაზე არის გათვალისწინებული, ხოლო შემდეგ საშუალოდ დიდ ვალებში დარჩებით და რომელიმე მევალე თქვენს მიერ დაწყებულ მშენებლობას დაეპატრონება.

აქედან დასკვნა: ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი, რომელიც ყველანაირ ამბულატორიულ და კლინიკურ მკურნალობას მოიცავს თქვენ სიცოცხლესაც დაიცავს და თქვენს ბიზნესსაც. მაშინ რამდენიც გნებავთ იმდენი იშრომეთ, ინერვიულეთ, იყვირეთ, თქვენი სიცოცხლე ხომ დაცულია.

გარდა ჯანმრთელობის დაზღვევისა, გაიფორმეთ სიცოცხლის დაზღვევაც, რადგანაც ამ შემთხვევაში თქვენი შვილები სოლიდური თანხით გააგრძელებენ ცხოვრებას. ამ შემთხვევის განხილვისას ვიგრძნობთ, თუ როგორ მცირდება შიშის ზღვარი.

თუ პიანისტის შემოსავლის წყარო თითებია, მაშინ მან აუცილებლად უნდა დააზღვიოს ეს საოცარი ინსტრუმენტი, რათა შემთხვევით კარებში თითის მოყოლის დროს არ გადაირიოს ან არ მოკლას უნებლიე დამნაშავე.

როგორც ვხედავთ დაზღვეული ფასეულობანი ადამიანს ფართო არჩევანის უფლებას ანიჭებს.

1812 წელს ბოროდინოს ველზე იმპერატორმა ნაპოლეონმა ვერა და ვერ გაბედა ბრძოლაში საკუთარი გვარდიის ჩაბმა – “50 000 ვერსტზე პარიზიდან მე ვერ გამოვიყენებ ჩემს გვარდიას” – განუცხადა მან მარშლებს, რომლებიც რუსების საბოლოო დასამარცხებლად იმპერატორს ამ ბრწყინვალე რეზერვის გამოყენებას თხოვდნენ. ბრძოლაც გაურკვეველი რეზულტატით დამთავრდა.

ჩვენი გადასახედიდან ჩანს, რომ ნაპოლეონი ამ მომენტში შიშით არის მოცული. მეცნიერული ენით რომ ვთქვათ ბრწყინვალე სარდლის “სათამაშო სივრცე” ბოროდინოზე შეზღუდულია ორი პირობით:

- 1) პარიზიდან “50 000 ვერსტის“ დაცილებით, და
- 2) საიმპერატორო გვარდიის სიძლიერით.

ვინ იცის ყოფილიყო ნაპოლეონი პარიზიდან “25 000 ვერსტზე“ დაცილებული, იქნებ მას როგორც ადრე გვარდიის ანუ 30 000 საუკეთესო მეომრის თამაში შეტევით საბოლოოდ დაემარცხებინა რუსეთის იმპერია, გაეუქმებინა რუსეთში ბატონყმობა და რუსეთის რესპუბლიკა შეექმნა.

არის მეორე აზრი – არ ყოფილიყო გვარდია ასეთი განსწავლული და ლამაზი, რომლის იმპერატორის მიმართ ერთგულებაზე ლეგენდები დადიოდნენ იქნებ ნაპოლეონს მისი ნახევარი მაინც გაეწირა და ბრძოლა მოეგო, იმპერატორი ხომ ფატალისტი იყო თავისი ბუნებით.

არავენ იცის, მაგრამ ჩვენ დაზღვევის სპეციალისტები ასე ვფიქრობთ: “ნაპოლეონ ბონაპარტი რომ გვარდიის დამარცხებისაგან

რაიმე ფორმით დაზღვეული ყოფილიყო, იგი აუცილებლად გამოიყენებდა მას და მოიგებდა სამხედრო კამპანიას.”

10.2. დაზღვევის მაკროეკონომიკური მნიშვნელობა

დაზღვევას შემდეგი მაკროეკონომიკური ფუნქცია გააჩნია:

1. დაზღვევა როგორც რისკის გაუვნებლობის მექანიზმი;
2. დაზღვევა როგორც კაპიტალის შემკრები სამეურნეო დარგი;
3. დაზღვევა როგორც ზარალის ანაზღაურების მექანიზმი;
4. დაზღვევა როგორც სამუშაოს მიმცემი და გადასახადების გადამხდელი სახალხო-მეურნეობრივი რგოლი

1) დაზღვევის მთავარ ფუნქციას რისკების გაუვნებელყოფა წარმოადგენს. სადაზღვევო ორგანიზაცია ახდენს რისკების შეფასებას და კონკრეტულ სადაზღვევო პრემიების ფასად მათთვის თავზე აღებას. სადაზღვევო კომპანიები აქტიურად მოქმედებენ სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში: მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში, ტრანსპორტში და ტურიზმში, ჯანდაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფაში, სოცდაზღვევასა და კინონინდუსტრიაში, სპორტში და სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში.

მომავალ XXI საუკუნეში დაზღვევამ ეკონომიკური სამართლებრივი და პოლიტიკური გარდაქმნების, გლობალიზაციისა და მეგაკაპიტალიზმის პირობებში აქტიურად უნდა იღვაწოს რისკის ბაზარზე, სადაც მან მზარდი კონკურენციის პირობებში ახალი სადაზღვევო მიმართულებები უნდა აითვისოს.

2) დაზღვევის ეკონომიკა თავისი სპეციფიკაციის გამო კაპიტალის შემკრებ და ინვესტიციების განმახორციელებელ ბერკეტად გვევლინება.

სადაზღვევო ორგანიზაციები კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ეროვნული კაპიტალით შექმნილი სადაზღვევო კომპანია ქვეყნის ეკონომიკისათვის გარდა რისკების გაუვნებელყოფისა ორ პროცესში ეხმარება ქვეყნის ეკონომიკას: 1) ბრუნვიდან კაპიტალის დიდი ნაწილის ამოღება, 2) ამ კაპიტალის ლიკვიდურ აქტივებში დაბანდება.

ე.ი. სადაზღვევო კომპანია მძლავრ ფინანსურ ბერკეტს წარმოადგენს, რომელიც გარდა სპეციფიკური ფუნქციებისა ასრულებს

ინფლაციის შემცირების და ფულის მასის დასაქონლების მეშვეობით, ადგილობრივი კონიუნქტურის გამაუმჯობესებელ როლს.

მოზიდულ კაპიტალს სადაზღვევო კომპანია განსაკუთრებით მომგებიან აქტივებში აბანდებს. დასავლეთის სადაზღვევო ორგანიზაციები თავიანთი საბროკერო ფირმების მეშვეობით აქტიურად მოქმედებენ საფონდო და სასაქონლო ბაზარზე, ბირჟებზე.

წარმოების გამოცოცხლების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები დიდ ინვესტიციებს აკეთებენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ასევე უძრავ ქონებაში, რომელიც განსაკუთრებით სტაბილურ საინვესტიციო ფასეულობებს წარმოადგენენ.

3) სადაზღვევო კომპანია ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის მოხდენისას აანაზღაუროს დაზღვეული მხარის ზარალი. ზარალის ანაზღაურების მექანიზმი თუ შემთხვევა ეჭვს არ იწვევს მაქსიმალურად მარტივად უნდა ეჩვენოს დაზღვეულს და პოტენციურ მომხმარებელს. ზარალის ანაზღაურებით სადაზღვევო ორგანიზაცია რეკლამას იკეთებს, ამიტომაც ზარალის კეთილსინდისიერ და დროულ ანაზღაურებას ყოველი სადაზღვევო ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია.

4) სადაზღვევო ორგანიზაციები იმ საბუშაოს მიმკემ ორგანიზაციებს განეკუთვნებიან, რომელთაც განსაკუთრებით გრძელი და განტოტვილი გასაღების ქსელი გააჩნიათ. მათ მრავალი შტატიანი და უშტატო თანამშრომელი ჰყავთ. სადაზღვევო ორგანიზაციები მრავალ ქვეყანაში იხდიან მოგების, საშემოსავლო და სხვა გადასახადებს. ამ მხრივ ისინი ფისკალური პოლიტიკის ერთ-ერთ სანდო წყაროდ გვესახება.

შემოკლებათა განმარტება

- ზ.გ.მ. – ზარალის გამომწვევი მიზეზები
- დ.ტ.ე. – დაზღვევის ტექნიკური ერთეული
- მ.შ.პ. – მთლიანი შიდა პროდუქტი
- ბრ.პ. – ბრუტო პრემია
- ნ.პ. – ნეტო პრემია
- ს.მ. – სატარიფო მახასიათებლები

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – 1997წ. თბილისი გამომცემლობა სამართალი
2. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ – 1999წ. 10 აგვისტოს მდგომარეობით
3. აზრები ბლუზ პასკალი, თარგმანი ბ. ბრევეადისა, აღმანახი საუნჯე 1976წ.
4. B. Pascal, Gedanken über Gott und den Menschen. Insel-Verlag. Leipzig 1948.
5. Jakob Bernoulli Wahrscheinlich Keitsrechnung. Ostwald's Klassiker bei exakten Wissenschaften. Nr.107 Wilhelm Engelmann. Leipzig 1899
6. Frank Knight “Risk, Uncertainty and Profit” London 1992
9. Forschungsinstitut d. Friedr.-Ebert-Stiftung (Hrsg.) (1994) Privatisierung von Gesundheitsleistungen. Die soziale Krank enversicherung auf Abwegen (Selbsverlag).
10. Friedrich-Ebert-Stiftung (Hrsg.) (1993) Individualisierung und Solidarität. Über die Gefährdung eines Grundwertes (Selbstverlag).
11. Helten, Elmar (1993) Wertewandel und fortschreitende Individualisierung der Prämien- Ende der Versicherungsolodarität und des Ausgleichs im Kollektiv, in: Dieter Farny und die Versicherungswirtschaft, hrsg. von Robert Schwebler
12. Farny, Dieter Die “neuen” strategischen Erfolgsfaktoren der Versicherungsunternehmen im deregulierten Marlit 1997.
13. Farny, Dieter Versicherungsbetriebschre, Karsruhe (VWV), 2.Auflage. 1995.

14. Hondrich, Karl Otto und Koch-Arzberger, Claudia (1992)
Solidarität in der modernen Gesellschaft, Frankfurt (Fischer-Taschenbuch).
15. Kissling, Christian (1994)
Gesundheit hat keinen Preis. Solidarität in der Krankenversicherung, Hrsg. Schweizerische Nationalkommission Justitia et Pax (Publikationsreihe Bd. 28), Zürich (NZN).
16. Lauer-Kirschbaum, Thomas und Rüb, Friedbert W. (1994)
Politik mit dem Risiko: Der politische Risikoausgleich bei Krankheit, in: Blanke, Bernhard (Hrsg.), Krankheit und Gemeinwohl. Gesundheitspolitik zwischen Staat, Sozialversicherung und Medizin, Opladen (Leske und Budrich).
17. Meyer, Peter K. (1994)
Auswirkungen des EG-Diskriminierungsverbots von Mann und Frau auf die private und betriebliche Krankheits- und Altersvorsorge in Europa (Veröffentlichungen der Forschungsstelle für Versicherungswesen an der Westfälischen Wilhelms-Universität zu Münster mit Unterstützung des Vereins zur Förderung der Forschungsstelle für Versicherungswesen an der Westfälischen Wilhelms-Universität zu Münster e. V., Münsteraner Reihe, Heft 21), Karlsruhe (VfW).
18. Nell, Martin (1993)
Versicherungsinduzierte Verhaltensänderungen von Versicherungsnehmern; eine Analyse der Substitutions-, Moral Hazard- und Markteffekte unter besonderer Berücksichtigung der Krankenversicherung, Karlsruhe (VfW).

20. Rust, Ursula (1990)
 Familienlastenausgleich in der gesetzlichen Kranken-, Unfall- und Rentenversicherung (Beitr. z. Sozialpolitik u z. Sozialrecht 9), Berlin (Erich Schmidt).
21. Schmidt, Claudia (1989)
 Die Frauenprämie in der privaten Krankenversicherung im Lichte des Gleichberechtigungsgrundsatzes, Dissertation Saarbrücken.
22. Schmidt, Günter (1995)
 Über die Schwierigkeiten, vernünftig mit Risiken umzugehen. in: Risiko, Versicherung, Markt, FS Walter Karten. hrsg. von D. Hesberg, M. W. Schott, Karlsruhe (VfW), S. 27 ff.
23. Schulenburg, J.- Matthias Graf von der (1987)
 Selbstbeteiligung. Theoretische und empirische Konzepte für die Analyse ihrer Allokations- und Verteilungswirkungen, Tübingen (Mohr/Siebeck).
24. Schulenburg, J.- Matthias Graf von der (1993)
 Grundsicherung durch Gesetzliche Krankenversicherung. Nachfrage nach ergänzenden Krankensicherungssystemen - einige theoretische Grundlagen, in: Dieter Farny und die Versicherungswirtschaft, hrsg. von Robert Schwebler e. a., Karlsruhe (VfW), S. 349 ff.
25. Schulenburg, J.- Matthias Graf von der (1995)
 Wie wahr ist der Schein? Die Wahrscheinlichkeit. in: Risiko, Versicherung, Markt, FS Walter Karten. hrsg. von D. Hesberg, M. Noll und W. Schott, Karlsruhe (VfW). S. 39 ff
26. Schulenburg, J.-Matthias Graf von der, Susanne Wähling Die Versicherungswirtschaft auf dem Weg ins nächste Jahrtausend Buhl 1997.

27. **Scuß, Wilhelm (1993)**
Verwehte Worte, in: Dieter Farny und die Versicherungswirtschaft, hrsg. von Robert Schwebler e. a. Karlsruhe (VFW), S. 467 ff.

28. **Volk, Michaela (1989)**
Individualprinzip versus Sozialprinzip. Eine ordnungstheoretische und ordnungspolitische Untersuchung an Hand der Stellung der Gesetzlichen Krankenversicherung in der Sozialen Marktwirtschaft, Bayreuth (Verlag P.C.O).

დაზღვევის ეკონომიკა
მომავალი ათასწლეულის
გზაზე

*პროფესორი მათეას გრაფი ფონ დერ შულენბურგი,
სუზანე ველინგი*

დაზღვევის ეკონომიკა მომავალი ათასწლეულის გზაზე

საავტომობილო დაზღვევაში დაზღვეულთა და ფულვეულთა გამოკითხვის შედეგები

*პროფესორი მათიას გრაფი ფონ დერ შულენბურგი
სუზანე ველინგი*

I. შიშველილი საბაზრო პირობები

ევროკავშირის საბჭოს 1994 წლის 29 ივლისის ძალაში შესული კანონი სადაზღვევო სამართლის მართლზომიერების მიმართულე-ბების შესახებ გერმანიისათვის ბოლო და გადამწყვეტი ნაბიჯი აღ-მოჩნდა, ევროკავშირის დაზღვევის შიდა ბაზრის განვითარების საქმეში. კანონის არსი ბაზრის ლიბერალიზებაში მდგომარეობს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ბაზრის იმედს საზღვრის დაუ-ბრკოლებელი გადალახვის, განუსაზღვრელი დერეგულირების¹⁾ და სახელმწიფოს მხრიდან შემოტევის საშიშროების გაუქმების შესახებ. ამით წინასწარი სატარიფო და პირობითი თანხმობის ვალდებულება უქმდება. ამგვარად არც დაზღვევის პირობები და არც ტარიფები შესაბამის ფედერალურ სამეთვალყურეო უწყებასთან წინასწარ შე-თანხმებული არ უნდა იყვნენ. ამასთან ერთად წარმატებით სარგე-ბლობს პრინციპი წარმოშობის ადგილის (ქვეყნის) მიხედვით გადა-მოწმების შესახებ, რომელიც თანაბარ პირობებში აყენებს ევროპის ბაზრის ფინანსურ უწყებებს.

ევროპის შიდა ბაზრის ხორცშესხმასთან სადაზღვევო საქმის ისეთი მრავალი ცვლილება არის დაკავშირებული, რომლებიც აქამდე მკაცრი რეგულირებით (სახელმწიფოს მხრიდან) გამოირ-ჩეოდა. მარეგულირებელ ორგანოსთან წინასწარი სატარიფო შე-თანხმება სიცოცხლის, ჯანმრთელობის და საავტომობილო სავალ-დებულო დაზღვევაში გაუქმებულია. სავალდებულო დაზღვევის

¹⁾ დერეგულირება - რეგულირების უკუ პროცესი. ახალი ეკონომიკური მიმართუ-ლება აღიარებული ევროკავშირის მიერ, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის რეგულირების მაქსიმალურ შემცირებას ითვალისწინებს.

სახეობების მესვეურებმა თავიანთი პირობები კვლავაც უნდა წარუდგინონ დაზღვევის ფედერალურ სამეთვალყურეო უწყებას, მაგრამ მათ ამ უწყების დადებითი პასუხის გარეშეც შეუძლიათ აღნიშნული პირობების ბაზრისათვის შეთავაზება. ფედერალურ სამეთვალყურეო უწყებას რჩება ამ პირობების გაკრიტიკების საშუალება, როცა იგი ამას აუცილებლად ჩათვლის. “სამეთვალყურეო უწყების ძირითადი პრინციპი ფასებისა და პროდუქტის წინასწარ კონტროლში მდგომარეობს, რომელმაც აქამდე შესწავლილ შეცდომებისაგან უნდა დაგვიცვას”.

ბაზრის ლიბერალიზება და დერეგულირება დამზღვევ ორგანიზაციებს აიძულებს ეროვნულ ბაზარზე უფრო მკაცრი კონკურენცია გამოსცადონ და შესაბამისად უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკა განახორციელონ. ქვეყნის შიგნით არსებულ კონკურენტების გვერდით საზღვარგარეთელი მზღვეველებიც უკვე პოტენციურ კონკურენტებად მოიაზრებიან. მათ თავიანთი საქმიანობა გერმანიის მიწაწყალზე გერმანიის ფედერალური სამეთვალყურეო უწყების კონტროლის გარეშეც შეუძლიათ. ლიბერალიზებით თვით ბაზრის მოცულობაც გაიზარდა და ამგვარად მოსალოდნელი კონკურენტების რაოდენობამაც მოიმატა. დერეგულირების ფონზე კონკურენციის ინტენსიურობაც მატულობს. აქედან გამომდინარეობს შემდეგი:

**თეზისი 1: დაზღვევის ბაზარზე კონკურენცია
აშკარად გამგავრდა**

1994 წლის ზაფხულამდე გერმანიის სამეთვალყურეო უწყების დაზღვევის ბაზრის მასალები, რომელთა მოძიების ინტერესი დაზღვეულთა ინტერესების დაცვაში მდგომარეობს, პროდუქტებისა და ტარიფების კონტროლის, სტაბილურობას და საბაზრო დინამიკას ასახავდა. მზღვეველთა ამგვარი მდგომარეობა “შემცირებული კონკურენციის ფასად იყო შეძენილი, სადაც მზღვეველი პროდუქტის განვითარებისა და ფასწარმოქმნის დროს შეზღუდული გახდება”.

ლიბერალიზება და დერეგულირება დაზღვევის ბაზარზე კონკურენციის გამძაფრების ერთადერთი საფუძველი არ გახლავთ. გერმანიის ეკონომიკური სიტუაცია ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. უმუშევრობის მაღალი ქვოტა, ხელფასის ტარიფების შემცირებული მატება, მზარდი სოციალური უზრუნველყოფის გადასახადით საოჯახო ბიუჯეტებში შემცირებული შემოსავლების დაბეგრა – სადაზღვევო ორგანიზაციების მხრიდან ფასწარმოქმნის ოსტატურ პოლიტიკას მოითხოვს.

სადაზღვევო ხელშეკრულების მოცულობა და მიზანშეწონილობა ამ დროს უფრო კრიტიკულად ფასდება, ვიდრე მზარდი საოჯახო შემოსავლების პირობებში. ბიუჯეტის მცირე საღაროები და სამუშაო ადგილებზე ზრუნვა აიძულებს კერძო კლიენტებს საქმეში დარწმუნებულობა, სტაბილურობა ჩააბანდონ. ამგვარი მდგომარეობა სადაზღვევო ორგანიზაციებს მომხმარებელთა ძლიერ უზრუნველყოფას აიძულებს. ფირმებს შორის მზარდი კონკურენცია ფასებისა და მასშტაბების ბრძოლაში გადაიზრდება. საინფორმაციო მომსახურება და მომხმარებელთა ერთგულება ხელს უწყობს ბაზრის კონკურენციას, რომელიც დიფერენცირებასა და კონტროლზე ახდენს გავლენას. გამძაფრებული კონკურენციის მახასიათებლების საშუალებით – ჩვენს მიერ მოცემული თეზისი 1 დასაბუთდება ან პირიქით. აქ მოცემული მახასიათებლები ემპირიული გამოკვლევებით ადრე გადამოწმებულია.

მასალები ემპირიული გამოკვლევისათვის ჰანოვერის უნივერსიტეტის დაზღვევის ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ არის მოძიებული. გამოკითხვა საავტომობილო დაზღვევაში გაერთიანებულ პირებს ჩაუტარდათ. საავტომობილო დაზღვევის ბაზარი გამოკვლევისათვის ყველაზე ხელსაყრელია, რადგანაც ავტომფლობელები, რომლებიც ამ დაზღვევაში სავალდებულოდ არიან გაერთიანებული მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენენ. ამასთან მზღვეველთა მხრიდან დაზღვევის ეს დარგი ახალ მომხმარებელთა მოზიდვისათვის არის გამოყენებული. საავტომობილო დაზღვევის ბაზარი ინტენსიური კონკურენციით გამოირჩევა.

II. საბაზრო ცვლილებების შედეგები

2.1. ბრძოლა ფასებითა და პირობებით

წინსაწარი სავალდებულო სატარიფო შეთანხმება მისთვის დამახასიათებელი მზარდი კონკურენციით შეიძლება შემდეგი თეზისით გამოიხატოს:

თეზისი 2: ფასის გავლენა მატულობს

ფასის გავლენა ყველაზე მეტად მოსჩანს იმ სადაზღვევო სფეროებში სადაც:

რეგულირების დონე აქამდე ძალიან მაღალი იყო;

ახალი მიმწოდებლები არაკონკურენტუნარიან მიმწოდებლებს ებრძვიან;

ძლიერი, კაპიტალის მფლობელნი ერთმანეთთან ფასებით ბრძოლას ახორციელებენ.

კონკურენციის ინტენსიურობა და ფასების გავლენა მზღვეველის მზადყოფნაზე არის დამოკიდებული. საავტომობილო დაზღვევაში გაერთიანებულთა გამოკითხვით დაზღვეულთა 47,7%-მა ერთხელ მაინც შეიცვალეს დამზღვევი ორგანიზაცია. ფასი, ანუ სადაზღვევო პრემია, არის მომხმარებელთა მხრიდან სადაზღვევო ორგანიზაციის ამორჩევის მთავარი საფუძველი (გრაფ. №1). გრაფიკზე მოცემულია ცხოვრებაში პირველად დაზღვეულთა და სადაზღვევო ორგანიზაციების გამომცველთა (ვისაც ერთხელ მაინც შეუცვლია მზღვეველი ორგანიზაცია) დიფერენცირება. პირველად დაზღვეულთა ქვეშ ის დაზღვეული პირები იგულისხმებიან, რომლებმაც სადაზღვევო ორგანიზაცია არ შეიცვალეს. გამომცველნი არიან პირები, რომლებიც მრავალ სადაზღვევო ორგანიზაციაში არიან დაზღვეულნი.

სადაზღვევო ორგანიზაციების გამომცველთათვის სადაზღვევო პრემიის ოდენობა უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვიდრე პირველად (ანუ ერთხელ დაზღვეულთათვის) დაზღვეულთათვის. სადაზღვევო ორგანიზაციების ამორჩევისას დაზღვეულთა მიერ დასახელებული ძირითად საფუძვლებს ნათლად გვაჩვენებს ტაბულა 50№1.

შემოსავალი DM –ში	1. საფუძველი	2. საფუძველი
< 2000	კარგი საკონსულტაციო მომსახურება (41,4%)	ხელმისაწვდომი პრემია (27,6%)
2000–3999	ხელმისაწვდომი პრემია (52,4%)	კარგი საკონსულტაციო მომსახურება (37,8%)
4000-5999	ხელმისაწვდომი პრემია (64,6%)	ნათესავეებისა და ნაცნობების რჩევა, რეკომენდაცია (35,4%)
≥ 6000	ხელმისაწვდომი პრემია (63, %)	რომელიმე სადაზღვევო ფირმის კლიენტად უკვე ყოფნა (30,6%)

უდავოდ საინტერესოა, რომ ყველაზე დაბალი შემოსავლის კლასი (საოჯახო შემოსავალი <2000 DM) სადაზღვევო ორგანიზაციის არჩევის საფუძველად უფრო ხშირად „კარგ საკონსულტაციო მომსახურებას“ ასახელებს ვიდრე „ხელმისაწვდომ პრემიას“. რაც შეეხება შემოსავლის უმაღლეს კლასს (≥ 6000 DM) აქ სადაზღვევო ორგანიზაციის არჩევის მთავარ საფუძველად უფრო ხშირად ხელმისაწვდომი პრემია არის დასახელებული.

ეს განსაკვიფრებელია, რადგანაც დაბალშემოსავლიანი ოჯახები იძულებულნი არიან ფასებზე გაამახვილონ ყურადღება.

შესაძლებელია ამ მხრივ შემდეგი ჰიპოთეზა გამოითქვას: მაღალი შემოსავლები უკეთეს განათლების დონესთან არის დაკავშირებული. უკეთეს განათლებას მზარდ ინფორმირებულობასთან მიეყვარათ. ინფორმირებული ადამიანები ნაკლებ ყურადღებას ანიჭებენ საკონსულტაციო მომსახურებას და ამიტომაც მათთვის ხელმისაწვდომი ფასები სადაზღვევო კომპანიის არჩევისას ძირითადი საფუძველია.

შემოსავლებსა და სასკოლო განათლებას შორის სინადვილემში შეინიშნება პირდაპირი კავშირი, ე.ი. როცა მაღალია განათლება მეტია შემოსავალი (*ყოველ შემთხვევაში ასეა დასავლეთ ევროპაში. მთარგმნელის შენიშვნა*). ფინზინგერმა, გრუნე-ჰენცემ და შულენბურგმა შეისწავლეს და დაამტკიცეს კავშირი განათლების დონესა

და ინფორმირებულობას შორის²⁾. ამგვარად ზემოხსენებული კიპითეზა დამტკიცებულია.

დაზღვეულთა გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები თეზის 2 ადასტურებენ. ყოველ შემთხვევაში ფასი მაშინ ხდება კონკურენციის მნიშვნელოვანი პარამეტრი, როცა ბაზარზე მოთხოვნილება მიწოდების შესახებ საკმარის ინფორმაციას ფლობს და შესაბამისადაც იქცევა, ე.ი. ფასის გულისათვის იგი მზადაა სადაზღვევო ორგანიზაცია გამოიცვალოს.

2.2 დაზღვეულთა ინფორმირებულობა

სადაზღვევო პირობების წინასწარი შეთანხმების ამოცანა და სადაზღვევო ბაზრის დერეგულირება სადაზღვევო მომსახურების შეთავაზებისას დივერსიფიკაციის საშუალებას იძლევა. სადაზღვევო ხელშეკრულებები შესაძლებელია უფრო მრავალმხრივი გახდნენ. მზარდი ფასების კონკურენციის პირობებში ეს დაზღვეულთა მხრიდან კარგ ინფორმირებულობას მოითხოვს. ყოველივე ამას შემდომ თეზისთან მიეყვართ:

თეზისი 3: დაზღვეულთა ინფორმირებულობა იზრდება

ეს თეზისი გაგვაკვირვებს, რადგანაც ვიცით, რომ ბაზარზე შეთავაზების მრავალფეროვნების ზრდასთან დაზღვეულთა ინფორმირებულობა კლებულობს. მომთხოვნთა ზოგადი ინფორმირებულობა მათი დაინტერესებულობით აიხსნება.

1996 წლის გამოკითხვა ადასტურებს მე-3 თეზისს. რისკიანობის მზარდი სევმენტირება დამზღვევი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სადაზღვევო ფასისა და განხორციელებული სადაზღვევო ქმედების ურთიერთმიმართებას აძნელებს. დაზღვეულთათვის გამოკითხვის შედეგად 1996 წელს ინფორმაციის მიღებაში დიდ როლს ასრულებდნენ ADAC-ს ინფორმაციები 46%, კერძო რჩევები 26,5% და სადაზღვევო ორგანიზაციები 21,4%.

²⁾ ფინზინგერი-გრუნე-ქენცე-შულენბურგი (1987 წ.) S. 67 F.

ევროკავშირის შიდა სადაზღვევო ბაზრის შექმნის შესახებ არსებული ინფორმაცია 1994 წლიდან მოქმედებს დაზღვეულებზე გამოკითხულთა ინფორმირებულობაში დიდ როლს ასრულებს პრესა, რადიო, ტელევიზია, და სხვა. (გრაფიკი №2). გამოკითხულთა 16,5%-მა სრული არაინფორმირებულობა გამოავლინა.

2.3. კლიენტთა ერთგულება

დაზღვეულთა მზარდ ინფორმირებულობას შემდეგ თეზისთან მიყვავართ:

თეზისი 4: კლიენტთა ერთგულება კლავსულოს

ეს თეზისი კლიენტთა მიერ სადაზღვევო ორგანიზაციის გამოცვლის ფაქტორის შესწავლის დროს იყო დასაბუთებული. სადაზღვევო ორგანიზაციებისათვის საინტერესოა, თუ რატომ იცვლიან მათი კლიენტები მზღვეველს. (გრაფიკი №3)

გამოცვლის მთავარ მიზეზად აქაც პრემიებს შორის განსხვავება არის მოცემული. სადაზღვევო ფირმები, რომლებიც ხელმისაწვდომ სადაზღვევო ხელშეკრულებებს გვთავაზობენ სხვა სადაზღვევო კომპანიების კლიენტების მოზიდვის მეტ შანსებს ფლობენ.

დაზღვეულთა მზადებას შეიცვალონ სადაზღვევო ორგანიზაციები ასახავს №2 ტაბულა. გამოკითხულ დაზღვეულთა 55,6%-ს შეუძლია შეიცვალოს დამზღვევი კომპანია უკეთესი სადაზღვევო ტარიფებისა და დაზღვევის საბოლოო პროდუქტის მიღებისათვის. უცხოელ მზღვეველთან გადასვლის პერსპექტივა გერმანიაში ჯერჯერობით საკმაოდ დაბალია – 26,4%. კლიენტთა ერთგულება ხელმისაწვდომ ფასებთან ერთად ასევე მომხმარებლის სრული დაკმაყოფილებით მიიღწევა. გრაფიკი №3 პირველად დაზღვეულთა და დამზღვევი ორგანიზაციის შემცველთა დიფერენცირებას ასახავს.

2.4. Merger & Aquisition

კაპიტალით მდიდარი სადაზღვევო ორგანიზაციების გავლენა გაიზრდება. აქედან გამომდინარე, საბაზრო ცვალებადობები ორგანი-

ზაციების შერწყმასთან, გამსხვილებასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარეობს, რომ:

თეზისი 5: ბაზრის კონცენტრაცია მატულობს

ამის დასასაბუთებლად 1995 წლის გამოკითხვა მოვიშველიოთ: მომავალი 7 წლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ დაზღვევის გარკვეულ სახეობებში კერძოდ, სიცოცხლის, ზარალის და ავადმყოფობის დაზღვევაში მოღვაწე ბიზნესმენტა რაოდენობა შემცირდება. გამოკითხულთა 83% ვარაუდობს სადაზღვევო ფორმების რაოდენობის შემცირებას, მხოლოდ 12% არის საწინააღმდეგო აზრის. გრაფიკი №4.

2.5. დიფერენცირების პოლიტიკა

მზარდი კონკურენცია სადაზღვევო ორგანიზაციას კონკურენტებისაგან ძლიერ თავდაცვას აიძულებს. ამას შემდეგ თეზისთან მივყავართ:

თეზისი 6: ამას მივყავართ გასაღების, პროდუქტის ფასის მზარდ დიფერენცირებისაკენ

დაზღვევის უცხოელი მეწარმეები გასაღების სისტემასთან დაკავშირებით ცდილობენ გერმანულ ბაზარზე შემოსვლას. პირდაპირი გასაღება აქ დიდ მნიშვნელობას შეიძენს, რადგანაც გასაღების ეს ფორმა ფინანსურად იაფია და იგი ხელსაყრელი ღირებულების მქონე ხელშეკრულებების შეთავაზების საშუალებას იძლევა. ადგილობრივი მეწარმეები ასევე შეეცდებიან მომხმარებელთა ახალი სეგმენტი მოიზიდონ.

გასაღების განსხვავებულ სისტემებს თუ რა მნიშვნელობა ექნებათ მომავალში გეიჩვენებს გამოკითხვის შედეგები.

უწინარეს ყოვლისა მაკლერების და ფირმების წარმომადგენლების საბაზრო სეგმენტები გაიზრდება. ერთი ფირმის წარმომადგენლისა და სტრუქტურული გასაღებისათვის ბაზრის სეგმენტე-

ბის დაკარგვა არის მოსალოდნელი. ამგვარი შეფასება პირველ რიგში, ერთი ფირმის წარმომადგენლებს დააინტერესებს, რომელთა წილი გერმანიაში ყოველთვის დიდი იყო და 70-80%-მდე მერყეობდა.

გრაფიკი №5 თანახმად დაზღვეული პირები სწორედ დაზღვევის წარმომადგენლებს ანიჭებდნენ უპირატესობას სადაზღვევო კონტრაქტების შექმნისას. 1996 წლისათვის მდგომარეობა იცვლება.

გასაღების დიფერენცირების გვერდით დიდ მნიშვნელობას იძენს დაზღვევის პროდუქტისა და მისი ფასის დიფერენცირება. ამას გვიჩვენებს 1995 წლის გამოკითხვის შედეგები (გრაფიკი №6). ის, რომ პროდუქციისა და ფასის პოლიტიკა დიდ როლს შეიძენს დამზღვევთა სტრატეგიულ ქმედებაზე არის დამოკიდებული. „დამზღვევი მეწარმეები აგრესიულ სტრატეგიას (ყურადღება გამახვილებულია საინოვაციო მზადყოფნაზე, რაც ითვალისწინებს: ახალი პროდუქტების, გასაღების მიმართულებების, საკომუნიკაციო პოლიტიკის, ახალი სამომსახურებო პოლიტიკის ბაზარზე წარმოდგენას) ან სანიშო სტრატეგიას (განსაკუთრებული სიახლეების შემოტანა: ძვირფასი ავტომობილებისათვის განსაკუთრებული ტარიფების შემოღება და ა.შ.) უჭერენ მხარს. ამგვარად, ფასების პოლიტიკა დაქვემდებარებულ როლს ასრულებს და მნიშვნელოვანი ხდება ინოვაციური პროდუქტისა და პროცესების დანერგვა.

2.6. კონტროლინგი

ბაზის ცვლილებების პერიოდში ფირმის გადარჩენის აუცილებლობას შემდეგ თეზისთან მივყავართ:

თეზისი 7: კონტროლინგის მნიშვნელობა ბაიზრღება

პროდუქტის წარმოქმნა, ფასების მკაცრი დიფერენცირება დიდ მოთხოვნებს უყენებს კალკულაციისა და მონაცემების სფეროს. გრაფიკი №7 გვიჩვენებს, რომ იმ მეწარმეების რიცხვი, რომელთა ამოცანად მომავალში კონსულტაცია და რიცხვთა ინტერპრეტაცია იქნება იზრდება.

გამოკითხული მეწარმეები თვლიან, რომ კონტროლინგის პასუხისმგებლობა მომავალში ორგანიზაციების ღირეპტორთა საბჭოებს და მათ თავმჯდომარეებს დაეკისრებათ. აქედან გამომდინარე, კონტროლინგის მონაცემების მნიშვნელობა მეწარმეებისათვის გაიზრდება. მას შემდეგ, რაც სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენცია ბაზრის ლიბერალიზირებისა და დერეგულირების პირობებში ვითარდება, წარმოიშეება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი იქნება დაზღვევის ეკონომიკა მომავალ ათასწლეულში. ყოველივე ეს საავტომობილო დაზღვევის მაგალითზე იქნება წარმოდგენილი.

3. გზა მომავალ ათასწლეულში

სადაზღვევო ბაზრის დერეგულირებასა და ლიბერალიზებას მიყვარათ სტრუქტურების ცვლადობასა და ბაზრის მონაწილეებს შორის აზრობრივ ცვლადობასთან. ზევით მოცემულ ასპექტებს დაზღვევის ეკონომიკის შემდგომ მახასიათებლებთან მიყვარათ:

- კონკურენცია (პროდუქტის და ფასის) და მისი ინტენსიურობა მატულობს. დამზღვევმა უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ პოზიციას დაიკავებს იგი კონკურენციაში (ინოვაციურ თუ კონსერვატორულ პოზიციას);

კონკურენციის მიზეზით იზრდება ფასების ზეწოლა. მომხმარებელთა შენარჩუნებისათვის, კაპიტალით ღარიბი დაზღვევის მეწარმეები დაინტერესებული არიან თავიანთი საბაზრო ნიშის მოძებნასა და განსაკუთრებული სტრატეგიის განვითარებაში;

მიმდინარეობს გასაღებისა და მიწოდების პროდუქტების და ფასების სისტემაში მიმართულებების სრული დიფერენცირება. ამგვარი დიფერენცირება დამზღვევ მეწარმეთათვის ბაზარზე დარჩენის აუცილებლობას წარმოადგენს;

პროდუქციისა და ფასების მზარდ დიფერენცირებას გამჭვირვალე ბაზრამდე მიყვარათ, რომელიც თავის მხრივ ახალ მოთხოვნებს უყენებს სადაზღვევო აგენტებსა და დაზღვეულებს, რათა ისინი საბაზრო ინფორმაციას უკეთ ფლობდნენ და უკეთეს ფასს და პროდუქტს იღებდნენ;

კარგი რისკების მისაღებად იწყება უკეთესი ფასებისა და მომსახურების წარმოდგენა. კონკურენცია მიმდინარეობს ძირითადად კარგი რისკების დასაზღვევად;

რადგანაც დაზღვეულის ინფორმირებულობა მატულობს დამზღვევს მოუწევს სადაზღვევო საქმეში გათვითცნობიერებულ მომხმარებელთან იქონიოს საქმე;

კონკურენციის შედეგად მატულობს ბაზრის კონცენტრაცია. იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალით ღარიბი ფირმები თავიანთ ნიშებს ვერ მოძებნიან, მხოლოდ კაპიტალით მდიდარი მეწარმეები გადარჩებიან;

მომხმარებელთა ერთგულება მცირდება. დაზღვეულნი ადვილად გადავლენ იმ სადაზღვევო ორგანიზაციებში, რომელთა სახელშეკრულებო პირობები უკეთესია;

კონტროლინგის მნიშვნელობა იზრდება, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ კონტროლინგის გარეშე დამზღვევ ორგანიზაციებს ბაზარზე გადარჩენის არავითარი შანსი არ ექნებათ.

რომელ გზას დაადგენ სადაზღვევო ორგანიზაციები 1994 წლის ივლისის შემდეგ. ზემდგომ ორგანიზაციასთან ტარიფების და სადაზღვევო პირობების წინასწარი შეთანხმების აუცილებლობის გაუქმებამ დიდი ცვლილებები შეიტანა დაზღვევის პროდუქტისა და ტარიფების სტრუქტურაში. საავტომობილო დაზღვევაში აწი სატარიფო მახასიათებლების არჩევისას მკვეთრად გამოარჩევენ მყარ მახასიათებლებს – ავტომობილის ასაკს, ტიპს. ე.წ. არა მყარ მახასიათებლებისაგან – ავტოფარეხის არსებობა, ნაკლებად ექსპლუატაცია და სხვა. ზარალის დამზღვევთა გაერთიანება შეიმუშავებს სადაზღვევო ტარიფებს ტიპების მიხედვით, რომლებიც ადრე ძრავის სიმძლავრეს შემდგომ განიხილებოდა.

დღეს ჯერ კიდევ ტარიფების მრავალფეროვნებაში შეუძლებელია მომავლის ნათლად განჭვრეტა. სადაზღვევო ორგანიზაციების მიზანი ინდივიდუალური ტარიფების მეშვეობით მომხმარებელთა „დაბბაში“ მდგომარეობს. რაც თავის მხრივ დაზღვეულთა მხრიდან კარგ ინფორმირებულობას მოითხოვს. ე.წ. „კარგი რისკები“, რომლებიც კარგ ფულსაც ხვეტავენ ბაზრის განვითარების საშუალებაა. წამგე-

ბიანი ანუ „ცული რისკები“ ამ პროცესებში არახელსაყრელ ტარიფებს უნდა ავაცილოთ.


დერეგულირებამ და ლიბერალიზებამ დიდი მოძრაობა გამოიწვია დაზღვევის ბაზარზე და კერძოდ, საავტომობილო დაზღვევის მეტ-ვეურთა შორის. მზარდი კონკურენციის გამო აქ ფასების ზეწოლის ფაქტორი განსაკუთრებით ძლიერდება.

ბაზრის განვითარება გეაჩვენებს, რომ ამ პროცესებს ვერც ერთი მზღვეველი მეწარმე თავს ვერ აარიდებს. ამავე დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ ნიჭიერების და ახალი იდეებით მომქმედ მცირე მეწარმეს უფრო ძვირი დაუჯდება მომხმარებელთა შენარჩუნება ვიდრე, მის ღიდ მოწინააღმდეგეებს.

ისმის კითხვა, 1994 წლამდე დაზღვევის ბაზარზე მომქმედი რეგულირების მექანიზმი ინოვაციის საწინააღმდეგო სისტემად უნდა მოვთხოლოთ? კითხვაზე დამადასტურებელი პასუხის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როცა ბაზრის განვითარება ინოვაციურ განვითარებას ნიშნავს. ამაში შეიძლება კაცმა ექვიც შეიტანოს, რადგანაც დაზღვევის ახალი პროდუქტი არა თუ არ შეინიშნებოდა ძველ ბაზარზე, არამედ შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი პროდუქტები მხოლოდ ძველს მკაცრად დიფერენცირებულ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ყოველივე ეს იქნებ დერეგულირების გარეშეც ყოფილიყო შესაძლებელი. ყოველ შემთხვევაში დამზღვევი ორგანიზაციების მხრიდან ამგვარი ქმედება არ იყო აუცილებელი, რადგანაც რეგულირების სისტემაში მყოფი მზღვეველები კონკურენციაზე, ბაზრის სეგმენტებზე და კლიენტთა შენარჩუნებაზე ნაკლებ ყურადღებას ამახვილებდნენ.


დერეგულირებამ საყოველთაო „გაღვიძება“ გამოიწვია. სადაზღვევო ბაზარზე აწი იქროლებს გამომაცოცხლებელი სიო, რომელიც ამ დარგში საუკეთესო სამეწარმეო აზროვნებას ააღორძინებს და სიახლეების წარმოშობას შეუწყობს ხელს. ამავე დროს, 93 წლიანი რეგულირების შემდგომ 2½ წელზე მეტი დერეგულირება აუცილებელიც არის.

პრაზიკი 1: მზღვეველის შერივეის სავუკლები




- 7 ხელსაყრელი პრემია;
- 6 - მზღვეველის რჩევა;
- 5 კარგი ინფორმაცია;
- 4 ზარალის ანაზღაურება;
- 3 - უკვე მყოფი დაზღვევაში;
- 2 - აგენტის რჩევა;
- 1 - და სხვა.

გრაფიკი 2: ინფორმაციის წყაროები



- 1 - ღაზღვევის აგენტი;
- 2 - ნაცნობები-ნათესაები;
- 3 - საკუთარი მზღვეველი;
- 4 - არცერთი;
- 5 - ჟურნალი;
- 6 - რადიო-ტელევიზია;
- 7 - პრესა.

ბრაზიკი 3: მზღვეველის შეცვლის საფუძველი



- 1 უთანხმოება;
- 2 დარწმუნებულობა;
- 3 – საზღაურის შემცირება;
- 4 – საცხოვრებლის გამოცვლა;
- 5 – განსხვავება მომსახურებაში;
- 6 – განსხვავება პრემიაში.

ტაბულა 2: მზღვეველის გამოცვლისათვის
მზად ყოფნა


- გამოიცვლით თუ არა მზღვეველს?

◆ დიახ	55,6%
◆ არა	35,1%
◆ არ ვიცი	9,3%



- დააზღვევთ თუ არა თქვენს მანქანას უცხოეთის მზღვეველთან?

◆ დიახ	26,4%
◆ არა	62,3%
◆ არ ვიცი	11,3%


ბრაზიკი 4: ბასალების მეთოდების განვითარების მნიშვნელობა



ბრაზიკი 5: როგორ აწესრიგებთ თქვენი
საკუთარ საღაზღვევო საქმეებს




ბრაზიკი 6: დაზღვევის პირობებში
ცვლილებები



- 10 – დიფერენცირ. ფასების პოლიტიკა;
- 9 – პროდუქტის სიღრმე;
- 8 – პროდუქტის ვარიაცია;
- 7 – სერვიზი;
- 6 – სისწრაფე;
- 5 – აგრესიული ფასების პოლიტიკა;
- 4 – პრობლემები ზარალის დადგომისას;
- 3 – დაზღვევისათვის უცხო პროდუქტები;
- 2 – შეთავაზების მოცულობა;
- 1 – და სხვა.

გრაფიკი 7: კონტროლინგის ამოცანებში ცვლილებები



- 1 – რიცხვების მიწოდება;
- 2 – დაცვა;
- 3 – დაგეგმვის ორგანიზება;
- 4 – კონტროლინგის ინსტრუმენტების მომზადება;
- 5 – რჩევები;
- 6 – რიცხვების ინტერპრეტირება;
- 7 – მენეჯმენტის მომზადება.

**ტაბულა 3: კონტროლინგის სტრუქტურის
ბანთავსება**

	ლლეს	7 წელიწადში
ორგანიზაციის საბჭოში	–	6,5
საბჭოს თავმჯდომარესთან	58,7	73,
სხვა სტრუქტურებთან	41,3	19,6
გაწვევრიანება	–	–

ბამოყენებულ ლიტერატურა

1. Asmus, W. (1989)
Kraftfahrtversicherung, 4. Auflage, Wiesbaden.
2. Basedow, J. (1994)
Stand und Perspektiven der Deregulierung im Versicherungswesen, in: Schwintowski, H.-P. (Hrsg), Deregulierung. Private Krankenversicherung. Kfz-Hsftpflichtversicherung. Beiträge der Dritten Wissenschaftstagung des Bundes der Versicherten, Baden-Baden, S. 23-34.
3. Drittes Gesetz zur Durchführung versicherungsrechtlicher Richtlinien des Rates der Europäischen Gemeinschaft (Drittes Durchführungsgesetz/EWG zum VAG), in: BGBl 1994, S. 1630-1669.
4. Baran, P. (1994)
Die Umsetzung der EG-Richtlinien in der Kraftfahrzeug-Haftpflichtversicherung, in: Die Versicherungsrundschau 49, Nr. 6/7, S. 161-171.
5. Benölken, H. und May, G. (1994)
Die KFZ-Versicherung in einem sich wandelnden Umfeld, in: Versicherungswirtschaft 49, Heft 13, S. 817-822.
6. Drabbe, H. (1994)
Verwirklichung des Binnenmarktes der Versicherungen – Was bleibt zu tun?, in: Versicherungswirtschaft 49, Heft 9, S. 550-555.
7. Finsinger, J., Grüne-Herze, R., Schulenburg, J-M. Graf von der (1987) Zum Verhalten der Nachfrager auf dem Kraftfahrzeugpflichtmarkt, in: Zeitschrift für die gesamte Versicherungswissenschaft 76, Heft 4, S. 667-684.
8. Gesamtverband der Deutschen Versicherungswirtschaft e. V., GDV (Hrsg.) (1996) Die deutsche Versicherungswirtschaft, Jahrbuch 1996, Karlsruhe.
9. Hoffmann, K. und Krüger (1996)

- 1996: Start frei für ruinösen Wettbewerb?, in: Versicherungskaufmann, Heft 4, S. 24-28.
10. Hohlfeld, K. (1996)
Auswirkungen der Deregulierung aus aufsichtsbehördlicher Sicht, Mannheimer Vorträge zur Versicherungswissenschaft, Heft 64, Karlsruhe.
 11. Kromschröder, B. (1996)
Risikoentsprechende Prämien differenzierung in der Kfz-Haftpflichtversicherung, in: Die Versicherungs Rundschau 50, Nr. 11, S. 9-14.
 12. Lemor, U. D. (1994)
Die rechtlichen Rahmenbedingungen für die Kraftfahrtversicherung nach der Deregulierung, in: Versicherungswirtschaft 49, Heft 17, S. 1133-1141.
 13. Müller, H. (1993)
Die zukünftige Rolle des Bundesaufsichtsamtes für das Versicherungswesen. Insbesondere im Hinblick auf die Kraftfahrtversicherung, in: Versicherungswirtschaft 48, Heft 9, S. 548-555.
 14. Schulenburg, J.-M., Schmidt, M. (1992)
Die Kfz-Versicherungskunde in West und Ost. Ergebnisse einer Versichertenbefragung im vereinten Deutschland, in: Zeitschrift für die gesamte Versicherungswissenschaft 81, Heft ½, S. 299-314.
 15. Schwintowski, H.-P. (Hrsg.) (1994)
deregulierung. Private Krankenversicherung. Kfz-Haftpflichtversicherung. Beiträge der Dritten Wissenschaftstagung des Bundes der Versicherten, Baden-Baden.
 16. Schweizerische Rückversicherungs-Gesellschaft (Hrsg.) (1996)
Deregulierung und Marköffnung: Die europäische Assekuranz am der Schwelle zu einem neuen Wettbewerbszeitalter, in: sigma Nr. 7.
 17. Scully, M. (1995)

Die Jagd nach den “guten” Risiken, in: Versicherungskaufmann, Nr. 4, S. 24-28.

18. Wähling, S., Trumpfheller, J., Schulenburg, J.-M. (1996)
Der deutsch Versicherungsmarkt nach der Jahrtausendwende. Eine Einschätzung der Versicherungsunternehmen, in: Zeitschrift für die gesamte Versicherungswissenschaft 85, Hcft 1, S. 155-169.
19. Wolter, S., Schattschneider, U. (1995)
Neuerungen im deutschen versicherungsrecht 1994: Konsequenzen um Umsetzung in die Praxis, Diskussionspapier Nr. 49, Institut für Versicherungsbetriebslehre, Universität Hannover.